ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
15 თებერვალი **პარასკევი** 2013
№037 (13 953) ფასი 80 თეთრი

# ცქიტიშვილი თუ რობინ ჰუდი?

## ნიკას 31 ქულა და 12 მოხსნა



ლიბანის ჩემპიონატში რეკორდ-მატჩი ჩაატარა ნიკა ცქიტიშვილმა, რომელმაც „ბიბლოსთან" 31 ქულა, 12 მოხსნა, 2 დაფარება და თითო ჩაჭრა-პასი მოაგროვა.

მან სნაიპერის სიზუსტით სტყორცნა: 10-დან 9 ორქულიანი, 6-დან 4 სამიანი, 1-დან 1 საჯარიმო გამოიყენა.

სკიტას კარგი თამაში „ჩამპვილის" გამარჯვების საწინდარი გახდა -"ბიბლოსი" 93:86 დაამარცხა.

# ევროპალიგა სენსაციებით განახლდა

## შოკი მადრიდსა და ნეაპოლში

UEFA EUROPA LEAGUE



9

ყაზანის „რუბინმა" მადრიდში „ატლეტიკოს" დამარცხება მოახერხა

# ფაჩულიამ და ქორეებმა ორლანდოს გადაუფრინეს



10

# ვოლფსბურგი ბაიერნს ემუქრება

BUNDESLIGA

გერმანია. ბუნდესლიგა. პარასკევის მატჩის წინათქმა

4





ვალერი კარპინი და ჯანო ანანიძე

# ყოჩაღ, ქართველო!

## ვალერი კარპინის კომპლიმენტი ჯანო ანანიძეს

საქართველოს ნაკრების ჰავბეკი ჯანო ანანიძე მოსკოვის „სპარტაკთან" ერთად ესპანეთში შეკრებაზე იმყოფება.

მარბელაში დაბანაკებული მოსკოველები სეზონის განახლებისთვის აქტიურად ემზადებიან, მათი მთავარი მწვრთნელი ვალერი კარპინი კი ერთობ უცნაურ ვარჯიშებს იგონებს.

აი, მაგალითად, ამჯერად „სპარტაკის" თავკაცმა ფეხბურთელების გამძლეობაზე შემოწმება მოინდომა და ამის გაკეთება რატომღაც მუსიკის თანხლებით გადაწყვიტა. მოედანზე გამოტანილი ვეებერთელა დინამიკიდან გამომავალი ჰანგების ფონზე „სპარტაკის" ფეხბურთელებმა სიქის გაცლამდე ირბინეს.

მათ შორის იყო ჯანოც, რომელიც ბოლო დრომდე ინდივიდუალურად ვარჯიშობდა.

როგორც ჩანს, ჯანო ანანიძემ კარპინის ტესტს თავი კარგად გაართვა და ამ უკანასკნელისგან შექებაც დაიმსახურა. საიტმა www.championat.com -მა მარბელადან რეპორტაჟი გამოაქვეყნა, ერთ-ერთ ფოტოზე კი სწორედ ქართველი ფეხბურთელი და მისი მწვრთნელია აღბეჭდილი.

„ყოჩაღ, ქართველო!" - ეს კომპლიმენტი ვალერი კარპინისგან ჯანო ანანიძემ დაიმსახურა, რომელმაც გაცილებით მეტის გარბენა შეძლო, ვიდრე ბევრს წარმოედგინა", - წერს საიტი.

www.sportall.ge

ქართული ფეხბურთი

საქართველოს ჩემპიონატი

# ზურაბ პეტრიაშვილი: საუკეთესო, ალბათ, ჟორდანია იყო...




ზურაბ პეტრიაშვილი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დაფუძნებიდან 23 წელი გავიდა. 1992 წლის 3 ივლისს სფფ ფიფაში მიიღეს, ხოლო 1993 წლის 17 ივნისს - უეფაში. მას შემდეგ მოიპოვეს საქართველოს ეროვნულმა და ასაკობრივმა ნაკრებებმა ევროპისა და მსოფლიოს შესარჩევ ციკლებში მონაწილეობის უფლება, კლუბებს კი ევროთასებზე გამოსვლის საშუალება 1993 წლიდან მიეცათ.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ხუთი პრეზიდენტი ჰყავდა: **ნოდარ ახალკაცი-უფროსი** (1990-1998), **მერაბ ჟორდანია** (1998-2005), **ნოდარ ახალკაცი-უმცროსი** (2005-2009) და **ზვიად სიჭინავა** (2009 წლიდან). არ დაგვავიწყდეს **გიორგი ნემსაძეც**, რომლის პრეზიდენ-


საქართველოს ეროვნული სტადიონი
ბილეთი პირველი ეროვნული ჩემპიონატის გახსნაზე!
იარუსი 1
სექტორი 19
რიგი
ადგილი
სამხრეთი ტრიბუნა
011130
ფასი 2 მან.
სერია
ამ ბილეთის მფლობელს უფლება აქვს დაესწროს სეზონის გახსნის მატჩს 2000 წელს!

პირველი ეროვნული ჩემპიონატის პირველი მატჩის ბილეთი

ტობაც თხუთმეტ წუთში დასრულდა: 2007 წლის 13 მაისის ყრილობის შემდეგ დატრიალებულ მოვლენებზე ყველას კარგად მოეხსენება. მაგრამ ამ ისტორიაში ბევრი რამ უცნობია, მათ შორის, რა კავშირი ჰქონდა ამ ყრილობას სპორტის აკადემიის ტერიტორიის გაყიდვასთან, ვის რა ინტერესები ამოძრავებდა, როდესაც ლეგიტიმურად არჩეული ნემსაძე გაიტაცეს და პოსტზე უარი იძულებით ათქმევინეს. ამ ისტორიაში კიდევ არაერთი უცნობი და დაუჯერებელი ფაქტი გამოიკვეთება.

... "ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგის" პრეზიდენტი და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის 1990 წლის 15 თებერვლის დამფუძნებელი ყრილობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე **ზურაბ პეტრიაშვილი** "ლელოსთან" განვლილ წლებს აფასებს.

## გადაკეთებული წესდებების პერიოდი

ყველა პერიოდში იყო გარემოებები, რომელიც ქართული ფეხბურთის განვითარებას ხელს უშლიდა. აშკარაა, რომ ის ყოველთვის ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობასა და პოლიტიკოსთა განწყობაზე იყო დამოკიდებული და არა სისტემაზე, რომელიც ვერა და ვერ ჩამოყალიბდა.

*უფროსი **ნოდარ ახალკაცის** პერიოდში საქმე იდეალურად დაიწყო: ხალხი სტადიონზე დადიოდა, ლეგიონერებს აქეთ ვიწვევდით, მედია პირველ ჩემპიონატს მაღალ დონეზე აშუქებდა, კლუბებს სპონსორები და თანამდგომები არ აკლდათ. მოკლედ, პირველი ჩემპიონატი მაღალ დონეზე ჩატარდა. მაგრამ სწორედ მაშინ დადგა კანონზე მაღლა კონიუქტურულ-პოლიტიკური თუ ვილაცის ინტერესები. შემდგომ წლებში ტენდენციად იქცა დებულებებისა და წესდებების თვითნებურად შეცვლა - ეს ყველაზე დიდი შეცდომა იყო.*

*თუ თავიდან ყველას "ჩვენიანს" ვეძახდით, მერე "სხვების" კატეგორიაც გაჩნდა და ნელ-ნელა ჩემპიონატი საბჭოთა პერიოდის კორუფციაში ჩაფლულ საქართველოს პირველობას დაემსგავსა.*

ეროვნული ჩემპიონატების ინიციატორები, დანარჩენი კლუბების თბილისის "დინამოსა" და ლანჩხუთის "გურიას" დონემდე გაზრდაზე ვოცნებობდით. მაგრამ მოხდა პირიქით: თუ მეორე ჩემპიონატში ინერცია შევინარჩუნეთ, მერე საუკეთესოებმა უცხოეთში წასვლა დაიწყეს და საქართველოს ჩემპიონატში გამოუცდელები და ვეტერანები შეგვრჩნენ. შედეგად, ჩვენი ლიდერები თავად დაეშვნენ სხვათა დონეზე. ახლა კი ისეთი კატასტროფაა, საქართველოს ჩემპიონატი ტრამპლინის როლსაც ვერ ასრულებს. დიდ მიზნებს ვინ ჩივის, ჩვენი ფეხბურთელები საშოვარზეც სიამოვნებით მიდიან.

## მაინც ყველაზე უკეთესი

**მერაბ ჟორდანიას** დროს, ვითარება ოდნავ დამშვიდდა, მაგრამ მაინც არასტაბილური და ფეთქებადი გარემო იყო. კარგად ვიცით, როგორ დასრულდა მისი მმართველობის პერიოდი, სარმების დადებით, ხელისუფლება ყველანაირად ხელს უშლიდა, რადგან ფედერაციაში საკუთარი პროტეჟეს მიყვანა სურდათ.

იყო ნდობის საკითხიც, მერაბის მმართველობის დროს ბევრი კითხვა ჩნდებოდა და ვერ ვიტყვი, რომ იდეალური პრეზიდენტი იყო. ეს კარგად გამოიყენეს და კარგად ორგანიზებული შავი პიარიც აუგორეს.

მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ ჟორდანია მაინც ყველაზე უკეთესი პრეზიდენტი იყო, რადგან ნაკრებების, კლუბებისა და ეროვნული ჩემპიონატის განვითარებას დიდი ყურადღებას აქცევდა და წინააღმდეგობის მიუხედავად, საამისოდ ბევრსაც აკეთებდა.

## გამოუყენებელი დიდი ფული

უმცროსი **ნოდარ ახალკაცის** პერიოდში სახელმწიფომ ფეხბურთში დიდი ფული პირველად ჩადო. მიმაჩნია, რომ განვითარების ეს უნიკალური შანსი ხელიდან გავუშვით და ფული უაზროდ უცხოელ მწვრთნელებს დავახარჯეთ.

თუ მანამდე ნაკრების მწვრთნელებს მაქსიმუმ 2 000 ლარს უხდიდნენ, **კლაუს ტოპმიოლერის** შემოსავალი ციკლში ორ მილიონ ევროს მიუახლოვდა. დიდი ხელფასები ჰქონდათ ახალგაზრდული და ასაკობრივი ნაკრებების გერმანელ თავკაცებსაც. შედეგი არც ნაკრებებს ჰქონდათ და არც გუნდებს, პირიქით, უკან-უკან წავედით და ეს თანხა დაიკარგა.

ერთხელ ნოდარ ახალკაცმა თქვა, 55 მილიონი საშუალო ევროპული დონის კლუბის ბიუჯეტია, მეტი არაფერიო. მაგრამ ამ 55 მილიონით საქართველოში ინფრასტრუქტურული და სხვა მრავალი პრობლემის მოგვარება იყო შესაძლებელი.

*ჩემი აზრით, 2005-2009 წლები ყველაზე უარესი პერიოდი იმიტომაც იყო, რომ მაშინ ძალიან ბევრი სტადიონი გასხვისდა.*

## იმედგაცრუებული

2009 წელს ფედერაციის თავკაცად **ზვიად სიჭინავას** მისვლამ დამაიმედა. მაგრამ მალე გამაოგნა – ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობის 20 წელი გულშემატკივრებს მივულოცოთ-მეთქი. წერილობით მომმართეთ და სიამოვნებითო. აშკარად მივხვდი, არ იცოდა, 15 თებერვალი რა დღე იყო და ამ წერილიდან სურდა გაერკვია...

მოვიდა დაპირებებით, მაგრამ რეალურად, ისიც ძველი პოლიტიკის გამგრძელებელი გამოდგა. კვლავ დავკარგეთ სტადიონები, თუნდაც, მის მშობლიურ ზუგდიდში, ვერა და ვერ აშენდა ბათუმის არენა... ეს სწორედაც რომ ფედერაციის პრეზიდენტს ეხება, რადგან წარმატებული ხელმძღვანელი ასეთ პრობლემას მოაგვარებდა და მხოლოდ სხვათა დავალებების შემსრულებელი არ იქნებოდა...

არ დავუკარგავ, რომ სიჭინავას პერიოდში ბევრი სტადიონი შეაკეთეს, მაგრამ საკითხავია, სახელმწიფოსა და უეფა-ფიფას დახმარებები ეფექტიანად დაიხარჯა? სამწუხაროდ, ისევ პრობლემაა ფინანსური გამჭირვალეობა, რაში და რამდენი იხარჯება.

*ისევ მძიმე მდგომარეობაშია ბავშვთა ფეხბურთი. არ სრულდება დაპირება, რომ ფედერაციის არჩევნები უფრო დემოკრატიულად ჩატარდებოდა - სუბიექტების რაოდენობა კვლავ შეზღუდულია.*

*მან ფეხბურთი ვერც პოლიტიკური გავლენებისგან დაიცვა. ამის მაგალითი გიორგი დემეტრაძის ამბავი გამოდგება, რომელსაც გვერდში არ დაუდგა და დახასიათება არ მისცა. კახა კალაძის გამოსამშვიდობებელი შეხვედრის ჩატარებაზეც ხელები დაიბანა, არადა საკლუბო ფეხბურთში ასეთი ტიტულოვანი ქართველი ფეხბურთელი არ გვყოლია.*

*მოკლედ, ქართული ფეხბურთის წინსვლას ხელს უამრავი პრობლემა უშლიდა. არადა, დარწმუნებული ვარ, ეროვნული ჩემპიონატისა და ფედერაციის დამოუკიდებლობის ინიციატორთა ჩანაფიქრი მესამედითაც რომ განხორციელებულიყო, დღეს ბევრად უკეთესი ფეხბურთი გვექნებოდა.*

# ქართულ ფეხბურთს პატრიარქის დალოცვამაც ვერ უშველა

**"ფეისბუკზე" კარგად დავიწყებული ძველი სურათი გამოფინეს. 1990 წლის 27 აპრილს გამოსული გაზეთის, "ქართული ფეხბურთის" პირველი ნომრის სათავო გვერდზე საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ილია II-ის სურათი და მილოცვაა: *"ღმერთმა დალოცოს ქართული ეროვნული ფეხბურთი"*. იქვე მითითებულია იმ პირთა და ორგანიზაციების სია, რომლებიც პირველ ეროვნულ ჩემპიონატსა და ახლად დაარსებულ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ფინანსურად დაეხმარნენ. სიაში პირველი საქართველოს საპატრიარქო წერია – 100 000 მანეთი. დიახ, ეს საერთოდ იყო პირველი შენაწირი, რაც პატრიარქის სურვილი გახლდათ და ილია II-მ ასე ახსნა – *"აჯობებს, პირველი შენატანი ეკლესიამ გააკეთოსო"*.**



1990 წლის 30 მარტი

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II პირველი ეროვნული ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალზე




სამწუხაროდ, 1990 წელს კარგად და მადლიანად დაწყებული საქმე მადლიანად ვერ გავაგრძელეთ და ქართული ფეხბურთი დღევანდელ უფსკრულამდე მივიყვანეთ. საბჭოეთში რეიტინგით მესამე საფეხბურთო ქვეყანა დღეს არც სანაკრებო დონეზე ვარგა და არც საკლუბოზე.

ამ 23 წლის განმავლობაში ყველაფერში ჩამოვრჩით: ინფრასტრუქტურაში, დაფინანსებაში, გართულდა სპონსორებთან ურთიერთობა, ვერ ხერხდება ეროვნული ჩემპიონატის ტელევიზიებამდე მიტანა და შემდეგ სტაბილურად დამკვიდრება, ბავშვებში საერთო მეთოდოლოგიისა და მოთხოვნების დამკვიდრება, ფასიანი ჯგუფების მასობრიობამ კი ღარიბ ოჯახებს ფეხბურთისკენ გზა მოუჭრა. მოკლედ, ჩვენი უთავბოლოობით, ქართულ ფეხბურთს ამ მადლიანი კაცის დალოცვამაც ვერ უშველა.

და კიდევ: რა თქმა უნდა, ჩვენი ფეხბურთის დაძაბუნებაში ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მოწყვეტა იყო, თბილისის "დინამო" (საბჭოთა პერიოდის ეროვნული ნაკრები) ყოველთვის ბარაქიან შევსებას იღებდა. სიტყვებად რომ არ დარჩეს, ფაქტს მოგახსენებთ: 1994 წელს საქართველომ გასვლაზე ალბანეთს 1:0 სძლია და იმ დღეს ნაკრებში აფხაზეთიდან დევნილმა 6-მა ფეხბურთელმა ითამაშა – **მურთაზ შელიამ, გიორგი ჩიხრაძემ, გელა ინალიშვილმა, თემურ ქეცბაიამ, გოჩა გოგრიჭიანმა** და **მიხეილ ჯიშკარიანმა.**

ქართველების მასობრივი დეპორტაციის შემდეგ, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ვარსკვლავებს ძველებურად ველარ ზრდიან, მაგრამ ორი აზრი არ არის, ჩვენ შორის ურთიერთობების აღდგენა და მათი კლუბების საქართველოს ჩემპიონატში ჩართვა მნიშვნელოვანი საკითხია.

**რომან ფიფია** ბოლო წლებში პირველი ადამიანია, რომელმაც ეს თემა წამოსწია. თურქულ შეკრებაზე მოლდოველთა სეპარატისტული რეგიონის გუნდ "ტირასპოლთან" შეხვედრის შემდეგ თბილისის "დინამოს" პრეზიდენტმა ცნობილი განცხადება გააკეთა, სადაც ტირასპოლის კლუბი მისაბაძ მაგალითად დაასახელა და თქვა, რომ საქართველოს ჩემპიონატში აფხაზეთისა და ცხინვალის გუნდების ჩართვა სასურველი იქნებოდა.

ღმერთმა უწყის, ეს როდის მოხდება, მაგრამ თუ სურვილი არ გაჩნდა, საქმე მკვდარი წერტილიდან ვერ დაიძვრება. აფხაზ და ოს ძმებთან მისასვლელი გზა კი ყოველდღიურად უნდა ვეძებოთ.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტუაცია

## ირაკლი კლიმიაშვილი

# მთავარია სიტყვა და ურთიერთობა



ირაკლი კლიმიაშვილი (მარცხნივ) დილაში უზბეკეთიდან დაბრუნდა

„უზბეკეთში ხალხი სტადიონზე დადის, იქ ფეხბურთი ძალიან უყვართ, მაგარი სიტუაციაა, საქართველოშიც უყვართ ფეხბურთი, მაგრამ ჩვენთან ხალხი სტადიონზე არ დადის, არ ვიცი, რატომ არის ასე" - ეს **ირაკლი კლიმიაშვილმა** გვითხრა, ვინც ერთ-ერთი გამორჩეული იყო საქართველოს ჩემპიონატში, მერე რუსეთში წავიდა, იქიდან ტაშკენტის „ფახთაქორში" გადავიდა, ამ სეზონის პირველი ტაპი კი გორის „დილაში" ითამაშა. მაყურებელი ბევრი მართლა არ ჰყავს საქართველოს ჩემპიონატს, არადა არცთუ ცოტაა ისეთი თამაში, მართლა რომ ღირს იმად, სტადიონზე ნახვიდე და სიამოვნება მიიღო.

24 წლის კლიმიაშვილი ახლა ჯერ უგუნდოდაა, ინდივიდუალურად ვარჯიშობს და მეგობრებთან ერთად მინი-ფეხბურთს თამაშობს., გორის „დილაში" გატარებულ ნახევარ სეზონზე კი ამას ამბობს: „თბილისის „დინამოს" „დილა" მხოლოდ სამი ქულით ჩამორჩება და ჯერ კიდევ ყველაფერი წინ არის. მეორე წრეში რატომ წავაგეთ „დინამოსთან" 0:3? ეს ფეხბურთია, იმ კონკრეტულ თამაშში „დინამომ" გვაჯობა. „დილას" კოზირი ის იყო, რომ ბევრმა გამოცდილმა მოთამაშემ მოიყარა თავი, მათ მაღალ დონეზე ჰქონდათ ნათამაშევი ფეხბურთი. „დილა" ახლაც ძალიან კარგი გუნდია. გიორგი დარასელია ყველა ფეხბურთელს აძლევდა თავის გამოჩენის შანსს, აქცენტს შეტევაზე აკეთებდა".

კლიმიაშვილს საქართველოში ყველა იცნობს, მან თბილისის „ვიტ ჯორჯიაში" შექმნა საკუთარი თავი. ყოველმხრივ მოწესრიგებული, შრომისმოყვარე, ალღოიანი და შეუპოვარი ნახევარცველია, გუნდში ისეთი დეტალია, რომელიც არასდროს გილალატებს, ასეთ ფეხბურთელს ყველა დაეყრდნობა.

კლიმიაშვილი შარშან, ორწლიანი განშორების შემდეგ დაუბრუნდა საქართველოს ჩემპიონატს და ვკითხეთ, თუ რა ცვლილებები შეამჩნია.

„საქართველოს ჩემპიონატში რომ დავიწყე თამაში, 17 წლის გახლდით. მაშინ უფრო დაძაბული ჩემპიონატი გვქონდა, უფრო მეტი იყო კარგი გუნდი და უფრო მეტი გამოცდილი ფეხბურთელი თამაშობდა. გულშემატკივართა დასწრებაც მეტი იყო, ხომ გახსოვთ, რა ხდებოდა ზესტაფონში, ბოლნისში... პოზიტივსაც უნდა დანახვა. დღეს უკვე საკმაოდ ბევრი ქართული გუნდი დადის უცხოურ შეკრებაზე, რაც ფეხბურთელისთვის აუცილებელია. მოთამაშე იცვლის გარემოს, ეთამაშება ძლიერ უცხოურ გუნდებს და ძალიან კარგია, ამის საშუალება ბევრ ქართულ გუნდს რომ გამოუჩნდა".

კლიმიაშვილს ხუთჯერ უთამაშია ეროვნულ ნაკრებში, უფრო მეტჯერაც ყოფილა გამოძახებული ქვეყნის უპირველეს გუნდში, ახალგაზრდულ ნაკრებში კი ერთ-ერთი საკვანძო ფეხბურთელი გახლდათ.

*„მაშინდელ ახალგაზრდულ ნაკრებში 1988-1990 წლებში დაბადებული ფეხბურთელები ვთამაშობდით, უმეტესობა ბავშვობიდან ერთად მოვდიოდით - ბექა გოცირიძე, გულვერდ თომაშვილი, ვახტანგ კვარაცხელია... მაშინდელ ახალგაზრდულ ნაკრებში იყვნენ ჯანო ანანიძეც და თორნიკე ოქრიაშვილიც, მათე ვაწაძეც ჩვენთან იყო და ასეთი გუნდი ერთ მუშტად ოთარ გაბელიამ შეკრა. რატომ ვერ გავედით შესარჩევის ჯგუფიდან? ეტყობა, მარილი გვაკლდა, კიდევ ცოტა იღბალიც".*

საქართველოს ჩემპიონატი ცუდი სკოლა არ არის, ფეხბურთელი აქ ბევრ რამეს სწავლობს როგორც სპორტსმენიც და როგორც ადამიანიც.

*„საქართველოს ჩემპიონატში გატარებული წლებიდან კარგის გარდა ბევრი ცუდიც მახსოვს, მაგრამ ეს ცუდიც კი კარგად მახსენდება. პირველი ნაბიჯები „ავაზაში" გადავდგი, მერე სხვადასხვა გუნდებში ვცდილობდი მოწყობას და მეუბნებოდნენ, რა გინდა ფეხბურთში, აქედან უნდა წახვიდეო. ვარსკვლავებს ვერ ვწყვეტდი, მაგრამ ფეხბურთის თამაშს რომ შევძლებდი, ამისი მჯეროდა და ყველაფერს შრომით მივაღწიე. ჯერ „ვიტ ჯორჯიას" მეორე გუნდში მივედი მიშა კალმახელიძესთან, მერე კი რამაზ მუმლაძემ გამზარდა ფეხბურთელად, ამ მწვრთნელის დიდი დამსახურებაა, წინ რომ წავიწიე".*

„ვიტ ჯორჯია" და ახალგაზრდული ნაკრები - დადგა დრო, კლიმიაშვილს უცხოეთშიც მოესინჯა ძალა. არაერთი გუნდი დაინტერესდა მისით, მაგრამ ტრანსფერს პირი არ უჩანდა. კლიმიაშვილი მახაჭყალის „ანჟიმ" იყიდა „ვიტ ჯორჯიასგან".

*„დაღესტნურ კლუბში ერთი წელი გავატარე, პირველ გუნდთან ვვარჯიშობდი, კაპიტანი რობერტო კარლოსი იყო. ეტო და ტრაორე კი მაშინ მოვიდნენ, როცა უკვე ვტოვებდი „ანჟის". ისეთმა ძვირადღირებულმა ფეხბურთელებმა მოიყარეს თავი „ანჟიში", რომ ძირითადში მოხვედრის შანსი აღარ მქონდა. პირველივე შეკრებაზე რომ ვიყავი „ანჟისთან", ტაშკენტის „ფახთაქორი" ჯერ კიდევ მაშინ დაინტერესდა ჩემით და ერთი წლის შემდეგ ამ გუნდში გადავედი განათხოვრებით. უზბეკეთზე და იქაურ ფეხბურთზე კახა მახარაძეს დაველაპარაკე, ის უკვე ჩემს იქ მისვლამდე თამაშობდა „ფახთაქორში". კახამ ყველაფერი ამიხსნა, მაგრამ ტაშკენტში რომ ჩავედი, იმაზე უკეთესი სიტუაცია დამხვდა, ვიდრე ამას წარმოვიდგენდი. უზბეკეთში „ფახთაქორი" და მისი ფეხბურთელები განსაკუთრებულად უყვართ, როცა „ფახთაქორი" თამაშობს, ხალხი სხვა საქმეს თავს ანებებს და თამაშის საყურებლად მიდის".*

მაინც რა გაქანების ფეხბურთელია ირაკლი კლიმიაშვილი? სად, რომელ ლიგაში შეძლებს თავის გამოჩენას?

*„ჩემი სურვილია, რომ დასავლეთ ევროპაში ვითამაშო. კარგად მძინავს და კარგად ვილვიძებ - თუ მხოლოდ ამით დავკმაყოფილდები, ასე არ ივარგებს. მინდა, რომ ჩემი ყოველი ნაბიჯი წინსვლისკენ გადავდგა".*

ქართულ ფეხბურთში პრობლემებს რა გამოლევს, ბევრი რამ ფინანსებს უკავშირდება, თუმცა არის რაღაც-რაღაცებიც, რაც კიდევ ერთი ხელის შემშლელი ფაქტორია.

*„ვიტ ჯორჯიაში რომ დავიწყე თამაში, ხელფასი ჯერ 30 ლარი მქონდა. ფულს დიდ ყურადღებას არასდროს არ ვაქცევდი, რადგან ფულზე უფრო სხვა რამე უნდა ფასობდეს. ყოფილა შემთხვევები, ჩემი მოტყუება რომ უცდიათ, რაც უთქვამთ, ის არ შეუსრულებიათ. სიტყვა, ადამიანური ურთიერთობა ჩემთვის ყველაზე მთავარია. კლუბში რომ კარგი სიტუაციაა, ეს მოედანზეც გადადის. ქართულ ფეხბურთში ყველა ღრმად რომ მიუდგეს ამ საკითხს, ეს ყველასთვის კარგი იქნება"* - ასე სჯერა კლიმიაშვილს...

**დავით თავართქილაძე**

ფიფას რეიტინგი

# ტირანას პროგრესი მოჰყვა

როგორც ვივარაუდეთ, ტირანაში გამარჯვებამ საქართველოს ნაკრებს ფიფას რეიტინგში პოზიციები გაუმყარა – გუშინ გამოქვეყნებულ ახალ სიაში ჩვენი ეროვნული გუნდი სამი საფეხურით დაწინაურდა და დღეისთვის 69-ე ადგილზეა. ჩვენ მიერ ძლეული ალბანეთი კი შვიდი პოზიციით დაქვეითდა და საქართველოს ორი პუნქტით ჩამორჩა.

თებერვალში გამართულმა ამხანაგურმა მატჩებმა რეიტინგში საკმაო კორექტივები შეიტანა. ზესამეული უცვლელი დარჩა, სამაგიეროდ, ბრაზილიის დამარცხებით ინგლისი მეექვსედან მეოთხე ადგილამდე აღზევდა, პენტაკამპეონები კი კვლავ მათთვის სამარცხვინო, მე-18 საფეხურზე არიან.

ერთადერთი ოფიციალური ტურნირი, რომელიც იანვარ-თებერვალში გაიმართა, აფრიკის ერთა თასის გათამაშებაა და ამიტომაც, იქ მიღწეული წარმატება გუნდებს განსაკუთრებით დაუფასდათ – შავი კონტინენტის ჩემპიონი ნიგერია 22 ადგილით აღზევდა და 30-ეა, ვიცე-ჩემპიონი ბურკინა ფასო კი ერთბაშად 37 პუნქტით დაწინაურდა და რეიტინგში 55-ე ადგილი უკავია.

რაც შეეხება საქართველოს ნაკრების მეტოქეებს 2014 წლის მუნდიალის შესარჩევ ციკლში – ესპანეთი, რა თქმა უნდა, რეიტინგის ლიდერია, საფრანგეთმა მე-17 ადგილი შეინარჩუნა, ბელარუსი 65-ეზე დარჩა, ფინეთი კი 84-ედან 85-ეზე ჩამოქვეითდა.

პოსტსაბჭოთა სივრციდან საქართველოს ნაკრებს რუსეთი (მე-10), უკრაინა (46-ე), უზბეკეთი (57-ე) და ბელარუსი (65-ე) უსწრებენ.

ფიფას რეიტინგის საუკეთესო ოცეული კი ასე გამოიყურება:

1. ესპანეთი
2. გერმანია
3. არგენტინა
4. ინგლისი
5. იტალია
6. კოლუმბია
7. პორტუგალია
8. ჰოლანდია
9. ხორვატია
10. რუსეთი
11. საბერძნეთი
12. კოტდივუარი
13. ეკვადორი
14. შვეიცარია
15. მექსიკა
16. ურუგვაი
17. საფრანგეთი
18. ბრაზილია
19. განა
20. ბელგია

**ლევან ჯანეზაშვილი**

ბენდელიას თასი

# დინამოს ნახევარფინალშია

**ზაზა ბენდელიანის** სახელობის XXII ტურნირზე გუშინ მორიგი 1/4-ფინალური შეხვედრა გაიმართა. დიღმის ბაზაზე თბილისის "დინამო 2"-მა "ზოოვეტს" უმასპინძლა.

**დინამოელებმა 2:1 გაიმარჯვეს და ნახევარფინალში „ქართლისა" და „იუსი ბესტის" წყვილში გამარჯვებულს შეხვდებიან – ეს მატჩი დღეს, 15 თებერვალს გაიმართება.**

შეგახსენებთ, რომ ნახევარფინალში გავიდა „ვიტ ჯორჯიაც" (ხონის „იმერეთი" 3:0 დაამარცხა). ვეტერინართა მეტოქე 16 თებერვალს „ტორპედო 2"-სა და ცხინვალის „სპარტაკი 2"-ს შორის გამარჯვებული იქნება.

**მერაბ მამულაშვილი**

სამზადისი. ჩიხურა

# ჩხეტიანის დუბლი



სოსო ფრუიძე

თურქეთში განაგრძობს შეკრებას საჩხერის „ჩიხურა". **სოსო ფრუიძის** გუნდი გუშინ ყაზახეთის პირველი დივიზიონის წარმომადგენელს, აქტაუს „კასპიის" ეთამაშა და 2:1 დაამარცხა. ორივე გოლი „ჩიხურას" თავდამსხმელმა **გაგა ჩხეტიანმა** გაიტანა, ერთი "მაკრატელათი", მეორე კი თავურით.

„ჩიხურას" სასტარტო შემადგენლობა: **სომხიშვილი, ოდიკაძე, ე. საჯაია, გუშარაშვილი, ძამსაშვილი, დილმელაშვილი, ლომაშვილი, შ. კაშია, კირკიტაძე, ნ. კვასხვაძე, გ. ჩხეტიანი.**

ტრავმის გამო ვერ ითამაშეს **დავით ბოლქვაძემ, ბესიკ დეკანოიძემ, ირაკლი ზაბახიძემ** და **ლევან ბაკურაძემ.**

მეორე ტაიმში შეცვლაზე შემობიდნენ: **ლაშა ჭელიძე, ჯაბა ბერიანიძე, გიორგი ქიმაძე** და **ლაშა ჩიკვაიძე.**

„ჩიხურა" სამშობლოში 17 თებერვალს დაბრუნდება, მანამდე კი თურქეთში კიდევ ერთ საკონტროლო შეხვედრას ითამაშებს.

**დავით თავართქილაძე**

სამზადისი

# მძიმე ფრე

გუშინ თურქულ შეკრებაზე ბოლნისის "სიონი" ბელოპოლეს "ედინსტვოს" შეხვდა, რომელიც ჩერნოგორიის 12-გუნდა ჩემპიონატში მე-9 ადგილზეა.

მატჩი ბოლნისელთა უპირატესობით დაიწყო და მალე "სიონი" ორბურთიანი უპირატესობით დაწინაურდა: ეტყობა, მშვენიერ ფორმაში შედის 32 წლის **კოკა მიკუჩაძე**, რომელმაც 22-ე წუთზე კარიდან გამოსული მეკარე შენიშნა და დაახლოებით 35 მეტრიდან ბურთი თავზე გადაუგდო – 1:0.

27-ე წუთზე მარცხენა ფლანგიდან **ზაალ ელიავას** გამჭოლი გადაცემის შემდეგ, ვლადიმერ **უგრეხელიძემ** ბურთი კარში შეუჩერებლად დაარტყა - 2:0.

თითქოს საქმე მოთავებული იყო, მაგრამ ბოლნისელთა მთავარი მწვრთნელის **არმაზ ჯელაძის** თქმით, ბალკანელებმა უხეშობა დაიწყეს, რის გამოც, მოთამაშეებს მოუწოდა, ხისტ ორთაბრძოლებს მორიდებოდნენ.

ჩერნოგორიელებმა მეორე ტაიმში ამით ისარგებლეს და ანგარიში გაათანაბრეს. "სიონს" კი გოლი არ ჩაუთვალეს და ბოლნისელთა აზრით, მეტოქემ პირველი გოლი თამაშგარედან გაიტანა. ასეა თუ ისე, შეხვედრა ფრედ, 2:2 დასრულდა.

*"ასეთი უხეში გუნდის მნახველი არ ვარ. ეს განსაკუთრებით ბოლოს გამოამჟღავნეს, რომ არ დამარცხებულიყვნენ. მიკროტრავმა ბევრმა ჩვენმა მოთამაშემ მიიღო, მაგრამ საბედნიეროდ სერიოზულად არავინ დაშავებულა"* – თქვა არმაზ ჯელაძემ.

სიონი: **ბობლიაშვილი – ფოფხაძე, ქემოკლიძე, საპირი, ელიავა – ჯოჯუა, ჰაიდუჩეკი - უგრეხელიძე, მანწკავა, ლექვთაძე - მიკუჩაძე**

შეცვლაზე: **სვანიძე, ჩივაძე, ნემსაძე, ისიანი, ხურციძე, ფალავანდიშვილი.**

"სიონი" ანთალიაში ბოლო საკონტროლო შეხვედრას 17 თებერვალს მინსკის "დინამოსთან" ჩაატარებს, 18-ში კი გუნდი სამშობლოში დაბრუნდება.

**მერაბ მამულაშვილი**

სამზადისი

# მეტალურგმა შეკრება მოგებით დაასრულა

რუსთავის "მეტალურგმა" გუშინ თურქულ შეკრებაზე ბოლო შეხვედრა გამართა, ნოვოკუზნეცკის (რუსეთი) "მეტალურგი" 1:0 დაამარცხა, გოლი **ირაკლი სიხარულიძემ** გაიტანა.

"მეტალურგი": **ალავიძე(ბათიაშვილი 46), დ. საჯაია(ჯაფარიძე 46), მახვილაძე (გავაშელიშვილი 68), ინწკირველი (ცნობილაძე 57), სუხიაშვილი, რაზმაძე, ქავთარაძე(განუგრავა 68), გეწაძე(ოთარაშვილი 82), ხაბელაშვილი (ფიფია 57), ახალკაცი(ზ. ლობჟანიძე 72), სიხარულიძე.**

რუსთავის "მეტალურგი" შინ დღეს დაბრუნდება.

**დავით თავართქილაძე**

● სპარტაკი



ბურთით თორნიკე თუხარელი

# ფრე ჩინელებთან, სინჯები გრძელდება

პირველი ლიგის ლიდერი ცხინვალის "სპარტაკი" ანთალიაში მზადებას აგრძელებს. ავსტრიული პირველ (რიგით მეორე) ლიგაში მოასპარეზე ლინცის "ბლაუ ვაისთან" სპარინგის შემდეგ **ვლადიმერ ხაჩიძის** გუნდი ჩინეთის მთავარი ლიგის წარმომადგენელს, "ჰანჯოუ გრინთაუნს" გაეჯიბრა.

მოკლედ შიდაქართლელთა სპარინგპარტნიორის შესახებ – "ჰანჯოუ გრინთაუნის" მთავარი მწვრთნელი იაპონიის ეროვნული ნაკრების ყოფილი თავკაცი (2007-2010 წლებში) **ტაკეში ოკადა** გახლავთ. მისმა გუნდმა ჩინეთის მთავარი ლიგის 2012 წლის სეზონი მე-13 ადგილზე ჩაამთავრა (16 გუნდს შორის) და ახალი, 2013 წლის სეზონისთვის მაღალი მიზნებისათვის აპირებს ბრძოლას. ამ მიზნით ოკადამ გუნდი ლეგიონერებით გააძლიერა: ჩინელების გარდა, "ჰანჯოუს" შემადგენლობაში თამაშობენ კორეელი, ბრაზილიელი და კოტდივუარელი ფეხბურთელები.

"ჰანჯოუ გრინთაუნმა" აქტიურად დაიწყო თამაში და პირველი ტაიმის შუაწელს ანგარიში გახსნა. თუმცა ათიოდე წუთში სპარტაკელთა შემტევმა **თორნიკე თუხარელმა** წონასწორობა აღადგინა. თუხარელის გოლის შემდეგ თამაშის სადავეებს ცხინვალელები დაეუფლნენ და დაწინაურებაც შეეძლოთ, მაგრამ თუხარელმა დუბლის შესრულების შანსი ვერ გამოიყენა და ტაიმიც 1:1 დასრულდა. ჩინელებმა მეორე ტაიმიც აქტიურად დაიწყეს და სწრაფი გოლით დაწინაურდნენ. მაგრამ აზიელთა სიხარულმა დიდხანს არ გასტანა, 77-ე წუთზე **ვარლამ კილასონიამ** ანგარიში გაათანაბრა. მალევე **ზვიად მეტრეველს** შეეძლო „სპარტაკი"დაეწინაურებინა, მაგრამ ჩინელთა მეკარემ საიმედოდ ითამაშა და საბოლოოდ, შეხვედრა ფრედ, 2:2 დასრულდა.

"სპარტაკი": **ნადირაძე, ჭაფოძე, ქურდაძე, თვალავაძე, ლემონჯავა, თუხარელი, ხიზანეიშვილი, შონია, კილასონია, ბურძენაძე, მეტრეველი.**

მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: **ზუხბაია, კაკაშვილი, ხადარცევი, ნარიმანიძე, კაბისოვი, ხუბეჟოვი, მაქაცარია.**

"სპარტაკი" დღეს მორიგ სპარინგს გამართავს: ცხინვალელები უკრაინის პერშა (პირველი) ლიგის მესამეადგილოსან "ოლექსანდრიას" გაეჯიბრებიან.

*"ჩვენი გუნდი 5 თებერვლიდან მოყოლებული ანთალიაში ემზადება. მზადების პირველ ორ დღეს სათანადო ამინდი ვერ იყო, მაგრამ ახლა ამინდიც ხელს გვიწყობს და გუნდს ყველა პირობა აქვს სათანადოდ მომზადებისთვის. შეკრება მთავარი მწვრთნელის მიერ წინასწარ მომზადებული გეგმის მიხედვით მიმდინარეობს. გუნდი დღეში ორჯერ ვარჯიშობს. ფიზიკური კონდიციებზე აქამდე გავაკეთეთ აქცენტი, ახლა კი სხვადასხვა ტაქტიკური ვარიანტების დამუშავების პროცესი მიმდინარეობს. ერთი სიტყვით, ყველაფერი გეგმის მიხედვითაა. გუნდთან ერთადაა კლუბის პრეზიდენტი დიმიტრი სანაკოევიც. ამ ამხანაგურ მატჩებში შედეგი მეორეხარისხოვანია, მთავარია, ისინი ახალი ტაქტიკური ვარიანტების დასამუშავებლად, ახალი ფეხბურთელების გამოსაცდელად და გუნდის სათანადოდ შეთამაშებისთვის, მაქსიმალურად იქნას გამოყენებული"*, - გვითხრა კლუბის დირექტორმა **ვაჟა ტოგონიძემ**, რომელსაც თურქეთში შევეხმიანეთ.

როგორც უკვე გაცნობეთ, ვლადიმერ ხაჩიძის გუნდში ხუთი ახალი ფეხბურთელია, რომლებიც, პოტენციურ ახალწვეულებად მოიაზრებიან, რადგან მათი საკითხი ჯერჯერობით გადაწყვეტილი არაა. ამ კვინტეტში კი შემდეგი ფეხბურთელები შედიან:

მარცხენაფლანგელი **კონსტანტინე ხიზანეიშვილი**, რომელიც მიმდინარე სეზონის პირველ ნახევარში თბილისის "დინამოს" დუბლებში ასპარეზობდა; მეკარე **ვლადიმერ ზუხბაია**, რომელიც ბოლნისის "სიონში" გამოდიოდა; შემტევი ნახევარმცველი **ხეთაგ ხადარცევი**, რომელიც ბოლოს ყაზანის "რუბინის" დუბლებში თამაშობდა; ვლადიკავკაზის "ალანიას" სარეზერვო გუნდის ორი ფეხბურთელი - საყრდენი ნახევარმცველი **გიორგი კაბისოვი** და მცველი **ზაურ დარჩიევი.**

კლუბის დირექტორს მათზეც დავეკითხეთ.

*"ახალი ფეხბურთელებიდან ერთის გარდა, ყველა თამაშობს. სამწუხაროდ, ზაურ დარჩიევი დაშავდა, ტრავმა მიიღო დავით გელაშვილმაც და ისინი ამჟამად მკურნალობენ. რაც შეეხება დანარჩენ ახალ ფეხბურთელებს, მეტ-ნაკლებად ყველა წარმოჩნდა. ამ ბიჭებს მონდომება არ აკლიათ და იმედია, ასე გააგრძელებენ. ახალი ფეხბურთელების საკითხზე გადაჭრით ჯერ ვერაფერს გეტყვით. წინ კიდევ ორი ამხანაგური მატჩი გველის. მწვრთნელები ამ ორ შეხვედრაშიც დააკვირდებიან ამ მოთამაშეებს და მათ საკითხს ანთალიური შეკრების შემდეგ გადავწყვეტთ"*, - აღნიშნა ვაჟა ტოგონიძემ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ფუტსალი

# იბერიამ მორიგი ბრაზილიელი დაიმატა

"იბერია სტარი" 2013 წლის აპრილში თბილისში გასამართი უეფას თასის ოთხთა ფინალისთვის ემზადება. ცნობილია, რომ საქართველოს ჩემპიონის შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა - ოთხმა ბრაზილიელმა ლეგიონერმა უკრაინას მაიშურა: საქართველოს მოქალაქეობის მქონე **რონიმ, ბრუნო მელომ, ბეტინიომ** და **რომარიომ**.

თუმცა, "იბერიამ" შევსებაც ბრაზილიიდან მიიღო: **ბრუნო დე ოლივეირა პალმა** ("მარეკო"), **პაულო ცეზარ დუტრა ჟუნიორი** ("პარანავაი") და **ემერსონ გომეს დუ ნასიმენტო** ("კოლეჟიო ლოდრინენსე").

იანვრის დასაწყისში გვითხრეს, რომ კლუბის მთავარი მწვრთნელი **სერჟიო ბენატი** ბრაზილიიდან კიდევ ერთ მოთამაშეს ელოდა. შევიტყვეთ, რომ ისიც ბრაზილიის ფუტსალის უმაღლეს ლიგაში თამაშობდა, რომელიც საფეხბურთო NBA-სავით, ყველა დანარჩენ ლიგაზე ერთი თავით მაღლა დგას.

ეს ფეხბურთელი **ედიგლეუსონია**, რომელიც ბოლოს "პარანაენსეში" თამაშობდა. ბრაზილიური ინტერნეტგამოცემა "ფივეკომპანიფუტსალის" ცნობით, მან "იბერია სტართან" კონტრაქტი უკვე გააფორმა და ოთხთა ფინალში ითამაშებს.

ედიგლეუსონს ევროპულ სარბიელზე გამოსვლის დიდი გამოცდილება გააჩნია, იყო ესპანური "გვადალახარას" მოთამაშე, აზერბაიჯანის ნაკრების წევრი და ამ ქვეყნის საუკეთესო კლუბის, "არაზის" ერთ-ერთი ლიდერი, ორჯერ ითამაშა ოთხთა ფინალში.

"ფივეკომპანიფუტსალთან" საქართველოს ჩემპიონის ახალწვეულმა მცირე კომენტარი გააკეთა: *"რა თქმა უნდა, ოთხთა ფინალის უდავო ფავორიტები "ბარსელონა" და მოსკოვის "დინამო" არიან, მაგრამ ჩემი ახალი გუნდი საკუთარ მოედანზე ითამაშებს და შესაძლოა, ამ ფაქტორმა საჩვენოდ იმოქმედოს. ვიცი, რომ "იბერია სტარი" ძლიერი კლუბია, სადაც სერჟიო ბენატი და მრავალი ბრაზილიელი დამხვდება"*.

შეგახსენებთ, რომ უეფას თასის ოთხთა ფინალის მატჩებს სპორტის სასახლე 26-28 აპრილს უმასპინძლებს. გამარჯვებისთვის იბრძოლებენ თბილისის „იბერია სტარი", წინა გათამაშების გამარჯვებული „ბარსელონა", მოსკოვის „დინამო" და ალმაატის „კაირათი".

**მერაბ მამულაშვილი**

● გერმანია. ბუნდესლიგა. პარასკევის მატჩის წინ

# ვოლფსბურგი ბაიერნს ემუქრება

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ყველაზე ცოტა გაშვებული გოლი, საუკეთესო ბურთების შეფარდება, ყველაზე მეტი ქულა, უდიდესი, 15-ქულიანი უპირატესობა მეორეადგილოსანთან - „ბაიერნი" ამ სეზონში რეკორდებს ამყარებს და არაერთ რეკორდს უმიზნებს. დღეს, რეკორდმაისტერისთვის წინააღმდეგობის გაწევას „ვოლფსბურგი" ეცდება.**

**15 თებერვალი**

ვოლფსბურგი-ბაიერნი 23:30



დანტეს და დავიდ ალაბას ბაიერნი შესანიშნავ ფორმაშია

ბუნდესლიგის 22-ე ტური დღეს „ვოლფსბურგისა" და „ბაიერნის" დაპირისპირებით გაიხსნება. „მგლებმა" წინა ტურში „ფიურტს" სტუმრად 1:0 მოუგეს და ცხრილში მდგომარეობა გამოისწორეს, მაგრამ მე-12 ადგილზე ყოფნა მათთვის ცუდი შედეგია.

*„დღევანდელი მდგომარეობა ჩვენთვის მიუღებელია, რადგან სეზონის წინ მიზნად მინიმუმ ევროპალიგის საგზურის მოპოვება დავისახეთ. „ბაიერნთან" წარმატების მიღწევა, რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია, მაგრამ შეუძლებელი არ არის და ჩვენ სწორედ ამის დამტკიცებას შევეცდებით,"* - აცხადებს „კიკერისთვის" მიცემულ ინტერვიუში „ვოლფების" თავდამსხმელი **ბას დოსტი**, რომელმაც „ფიურტის" კარში გამარჯვების გოლი გაიტანა და 8 გოლით „ვოლფების" საუკეთესო ბომბარდირია.

*„დასაკარგი არაფერი გვაქვს. „ბაიერნთან" მოსაგებად ვიბრძოლებთ,"* - ეს კი „ვოლფსბურგის" მთავარი მწვრთნელის, **დიტერ ჰეკინგის** სიტყვებია.

ბავარიულ გრანდთან სამი ქულის აღება ამ სეზონში მხოლოდ „ლევერკუზენმა" შეძლო და ფაქტია, რომ ვოლფსბურგელებს „ფარმაცევტების" მიღწევის გამეორება ძალიან გაუჭირდებათ, მაგრამ ისიც ცხადია, რომ „მგლებს" ასეთი სენსაციის მოხდენა ხელეწიფებათ - მით უმეტეს იმ დროს, როცა „ბაიერნს" მომდევნო კვირაში ჩემპიონთა ლიგის პირველი მერვედფინალური მატჩი ელის.

თუმცა „ბაიერნი" შესანიშნავ ფორმაშია და გარდა იმისა, რომ მეორე წრის ყველა თამაში მოიგო, **მანუელ ნოიერს** ერთი გოლიც კი არ გაუშვია, „შალკესთან" 4:0 კი კიდევ ერთი დასტური გახლდათ იმისა, რომ ბავარიულ გრანდს წელს ჩემპიონობაში ველარავინ შეეცილება. „ბაიერნის" თავკაცი **იუპ ჰაინკესი** „არსენალთან" მატჩის წინ ალბათ როტაციას მიმართავს - შეიძლება **თომას მიულერი** და **მარიო მანჯუკიჩი** დაასვენოს. „ბაიერნს" დღეს **ხავი მარტინესი** ტრავმის გამო დააკლდება, **კლაუდიო პისარო** კი გაციებულია.

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 21 | 17 | 3 | 1 | 55-7 | 54 |
| 2. ბორუსია (დ) | 21 | 11 | 6 | 4 | 47-26 | 39 |
| 3. ლევერკუზენი | 21 | 11 | 5 | 5 | 41-29 | 38 |
| 4. აინტრახტი | 21 | 11 | 4 | 6 | 38-31 | 37 |
| 5. ფრაიბურგი | 21 | 8 | 7 | 6 | 26-20 | 31 |
| 6. მაინცი | 21 | 9 | 4 | 8 | 28-25 | 31 |
| 7. ჰამბურგი | 21 | 9 | 4 | 8 | 26-27 | 31 |
| 8. ბორუსია (მ) | 21 | 7 | 9 | 5 | 31-32 | 30 |
| 9. ჰანოვერი | 21 | 9 | 2 | 10 | 39-39 | [illegible] |
| 10. შალკე | 21 | 8 | 5 | 8 | 33-35 | 29 |
| 11. ვერდერი | 21 | 8 | 4 | 9 | 36-38 | 28 |
| 12. ვოლფსბურგი | 21 | 7 | 5 | 9 | 22-30 | 26 |
| 13. ნიურნბერგი | 21 | 6 | 7 | 8 | 20-27 | 25 |
| 14. შტუტგარტი | 21 | 7 | 4 | 10 | 23-39 | 25 |
| 15. ფორტუნა | 21 | 6 | 6 | 9 | 26-29 | 24 |
| 16. ჰოფენჰაიმი | 21 | 4 | 4 | 13 | 26-45 | 16 |
| 17. აუგსბურგი | 21 | 2 | 9 | 10 | 17-33 | 15 |
| 18. ფიურტი | 21 | 2 | 6 | 13 | 13-35 | 12 |

**გოტფრიდ ლენცი**

● ამბები

## გაისკა მენდიეტა დიჯეი გახდა

წარსულში ცნობილი ესპანელი ნახევარმცველი **გაისკა მენდიეტა** პროფესიას იცვლის - მუსიკალური დიჯეი ხდება. მენდიეტას ისეთ კლუბებში უთამაშია, როგორიც „ვალენსია", „ლაციო" და „ბარსელონაა". ახლახან გაისკა ერთ-ერთ ღამის კლუბში დიჯეის ვაკანტურ ადგილზე მოეწყო და ნახევარ განაკვეთზე იმუშავებს.

მისი დებიუტი ახალ პროფესიაში რამდენიმე კვირის წინათ ლონდონში შედგა. 38 წლის ექს-ფეხბურთელმა საქმეს თავი შესანიშნავად გაართვა. საფეხბურთო კარიერა მენდიეტამ 2008 წელს დაასრულა, მისი ტრანსფერი „ვალენსიადან" „ლაციოში" ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ძვირად ღირებულია - რომაულმა კლუბმა ესპანელში 48 მილიონი ევრო გადაიხადა.

## სიმეონე: ადრე თუ გვიან ინტერის მწვრთნელი გავხდები

იტალიური პრესის ინფორმაციით, მილანის „ინტერის" ხელმძღვანელობა ზაფხულში **დიეგო სიმეონეს** მიწვევას აპირებს.

„ნერაძურის" პრეზიდენტი **მასიმო მორატი** უკვე შეხვდა არგენტინელ სპეციალისტს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მადრიდის „ატლეტიკოს" ხელმძღვანელობა სულაც არ აპირებს სიმეონე იოლად დათმოს, მისი მოღვაწეობით ყველა კმაყოფილია - „ატლეტიკო" მე-3 ადგილზე მყოფ „რეალს" 4 ქულით უსწრებს.

აი, რას ამბობს თავად დიეგო სიმეონე: *„ადრე თუ გვიან მე აუცილებლად გავხდები მილანის „ინტერის" მწვრთნელი. „ინტერში" ძალიან ბევრი დადებითი მახსენდება, ისევე როგორც „ატლეტიკოში". მადრიდში თავი კარგად წარმოვაჩინე, როგორც ფეხბურთელმა და ახლა მინდა, როგორც მწვრთნელი გამოვადგე გუნდს. მერე კი ვნახოთ, რას მიმზადებს ბედი"*.

## ავიაკატასტროფას დონეცკში 5 გულშემატკივარი შეეწირა

ტრაგედია დატრიალდა დონეცკში ჩემპიონთა ლიგის მატჩამდე „შახტარსა" და დორტმუნდის „ბორუსიას" (2:2) შორის. მატჩზე ოდესიდან გულშემატკივართა ჯგუფი ან 24-ით მიფრინავდა დონეცკში, თვითმფრინავს ავარიული დაშვება მოუწია დონეცკში, რომელიც არ დასრულდა მშვიდობით: ბორტზე მყოფი 44 ადამიანიდან 5 დაიღუპა, 12 კი სერიოზულად დაშავდა. სწორედ ამის გამო „შახტარისა" და „ბორუსიას" მატჩი წუთიერი დუმილით დაიწყო.

## კალიარის პრეზიდენტი დაიჭირეს

გუშინ იტალიის პოლიციამ „კალიარის" პრეზიდენტი **მასიმო ჩელინო** დაიჭირა. 56 წლის ფუნქციონერი „ის არენას" მშენებლობის საქმეზე დააკავეს. მის გარდა განყოფილებაში მიიყვანეს პროვინციის მერი და სამშენებლო კომისიის წევრი.

პოლიციის ცნობით, სამივე დაკავებული ქონების მიტაცებასა და სამართალდამცავების გაცურების მცდელობაში არის ბრალდებული.

შეგახსენებთ, რომ „კალიარი" ახალი სეზონიდან „ის არენაზე" თამაშობს, ერთი-ორჯერ გუნდს შეექმნა პრობლემები საშინაო თამაშების ჩატარებისას, რადგან სტადიონს უსაფრთხოების სერთიფიკატი არ მისცეს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ანტონიო კასანო

# ფეხბურთი მხოლოდ სიამოვნებისთვის

## ბალოტელის არც კი დაესიზმრება, ისეთები მაქვს გაკეთებული მის ასაკში

**ანტონიო კასანო** ფანტაზისტაა, ეს ეპითეტი კი იტალიაში განსაკუთრებულად ფასობს... ასეთები იყვნენ რობერტო ბაჯო, რობერტო მანჩინი, ჯუზეპე სინიორი... დღემდე არიან ფრანჩესკო ტოტი და ალესანდრო დელ პიერო (თუნდაც ავსტრალიაში). კიდევ რამდენიმე ფეხბურთელის გახსენება შეიძლება, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ფანტაზისტობა რჩეულთა ხვედრია.

კასანო „მილანში“ თამაშობდა, როდესაც გულთან დაკავშირებული პრობლემები შეექმნა და მაშინ, კარიერის დასრულებაზეც კი დაფიქრდა. მას შემდეგ ფიზიკურად მოისუსტებს, სხვებზე ნაკლებს დარბის და ასე ითამაშა ევროპის ჩემპიონატზეც. მიუხედავად ამისა, ევროფორუმზე კასანომ შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა და მარიო ბალოტელისთან ბრწყინვალე ტანდემი შექმნა. ყველას კარგად გვახსოვს, ნახევარფინალში გერმანიასთან მის მიერ გაკეთებული ფინტი, რასაც სუპერმარიოზე საგოლე გადაცემის გაკეთება მოჰყვა. სწორედ ასეთი არაორდინარულია ანტონიო მოედანზეც და მის მიღმაც.

30 წლის შემტევს „რაი სპორტი“ ესაუბრა, მის ინტერვიუს კი მცირე შემოკლებით გთავაზობთ...



ანტონიო კასანო

**- რამდენად კმაყოფილი ხართ ზამთრის სატრანსფერო ფანჯრით?**

- სიმართლე გითხრათ, ამაზე არც მიფიქრია. „ინტერს“ აქვს რესურსი, რომ დასახულ ამოცანას მიაღწიოს და თუ ამაში ახალი ფეხბურთელები დაგვეხმარებიან, კარგი იქნება. ფაქტია, რომ მეგავარსკვლავები არ გადაგვიბირებია, მაგრამ ამაზე არ უნდა ვიდარდოთ.

**- „ინტერის“ მიზანი ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაა, მაგრამ სეზონის წინ, ალბათ სკუდეტოზეც ფიქრობდით...**

- ჩვენ „ინტერში“ ვთამაშობთ და როდესაც ასეთი დიდი გუნდის წევრი ხარ, მხოლოდ მწვერვალებს უმიზნებ. რა თქმა უნდა, გვსურდა ჩემპიონობისთვის ბრძოლა, მაგრამ ამ ეტაპზე, ეს გამორიცხულია. გუნდი ფორმირების პროცესშია და ამ ფონზე, ჩემპიონთა ლიგის საგზური შესანიშნავი შედეგი იქნება.

**- ხომ არ ნანობთ, რომ ზაფხულში „მილანიდან“ „ინტერში“ გადახვედით?**

- არანაირად, რადგან „მილანში“ საქმეები ცუდად წამივიდა. ბოლო პერიოდში, მუდმივად თადარიგში მიწევდა ჯდომა და ვგრძნობდი, რომ მასიმილიანო ალეგრი აღარ მენდობოდა. ჩემთვის არაკომფორტულია ისეთ მწვრთნელთან მუშაობა, რომელსაც ერთ დღეს რალაც ახალი აზრი გაუელვებს თავში და ამას შეიძლება შენი ინტერესები შეეწიროს. ანდრეა სტრამაჩონისთან მშვიდად ვარ, რადგან ვიცი, რომ ტაქტიკური სქემების გამო, კარგი თამაში არ დაგეკარგება.

**- „მილანში“ მარიო ბალოტელი გადავიდა, რომელსაც ხასიათით გადარებენ...**

- მარიოსთან ახლო მეგობრული ურთიერთობა მაქვს და სიმართლე გითხრათ, სულაც არ ვგავართ ერთმანეთს. ბალოტელის უყვარს პრესის ფურცლებზე, ჟურნალების გარეკანზე მოხვედრა, მე კი ეს ჭირივით მეზიზღება. სამაგიეროდ, ის ჩემზე წყნარი და პროგნოზირებადია. სანაკრებო შეკრებებზე ყოველთვის დროულად ცხადდებოდა და ყველა დავალებას პირნათლად ასრულებდა. მის ასაკში ნამდვილი გიჟი ვიყავი, ვარჯიშებიდან გავრბოდი და ათას სკანდალში ვეხვეოდი. მოკლედ, ჩემსა და მარიოს შორის დიდ მსგავსებად ვერ ვხედავ.

**- რა რჩევას მისცემდით მარიოს?**

- აი ეს კი ჩემთვის მართლაც ახალი ამპლუაა, რადგან რჩევა არავის უკითხავს. მარიო შესანიშნავი ადამიანი და საოცრად ნიჭიერი ფეხბურთელია, არც შრომა ეზარება და არც ისე ცუდად იქცევა, როგორც ამას ჟურნალისტები წერენ. ამიტომ, იყოს ის, რაც არის, ჩემი რჩევაც ეს იქნება.

**- ჩეზარე პრანდელი ნაკრებში აღარ გიწევს, არადა, იმავე ბალოტელისთან ევროპის ჩემპიონატზე შესანიშნავი ტანდემი გქონდათ...**

- იმედია, ნაკრებში კიდევ ვითამაშებ, რადგან ეს ყველაზე სასიამოვნო განცდაა. ბალოტელის იოლად შევეწყვე და დასანანი იქნება თუ აღარ მოგვიწევს ერთად თამაში. ჩეზარე პრანდელის ამ თემაზე ვესაუბრე და ვიცი, რასაც ფიქრობს. მას რაც შეიძლება მეტი ახალი ფეხბურთელის ნახვა სურს საქმეში და მისი მესმის კიდეც. ვიცი, რომ თუ მაღალ დონეზე ვითამაშებ, მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრების კარგი შანსი მექნება. ჩემი მხრივ, ცდას არ დავაკლებ.

**- თქვენი მეწყვილე თავდამსხმელებიდან რომელს გამოარჩევდით?**

- ეროვნულ ნაკრებში მარიო ბალოტელისთან მართლაც კარგი ტანდემი გამომივიდა და ეს უკვე აღვნიშნეთ. ვერაფრით დავივიწყებ „სამპდორიაში“ გატარებულ პერიოდს და ჯამპაოლო პაცინის მხარდამხარ თამაშს, რომელსაც გოლის გატანის იშვიათი ალღო აქვს. მაშინ, „სამპდორია“ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე გავიყვანეთ და ძირითად ბადეში მოსახვედრად სულ ცოტა დაგვაკლდა. საოცარი ადამიანია დიეგო მილიტო, ვის მხარდამხარ ასპარეზობაც უდიდესი სიამოვნებაა. დიეგოსთან დავმეგობრდი და მოედანს მიღმაც დიდ დროს ვატარებთ ერთად. თუმცა, ყველაზე გამორჩეული შემტევი, ვისთან ერთადაც ოდესმე მითამაშია, ფრანჩესკო ტოტია. მართალია, ვერაფრით დავუმეგობრდი და ხშირად ვკამათობდით კიდეც, მაგრამ ფენომენალური მოთამაშეა და ამას წყალი არ გაუვა. ისეთი პოზიციიდან შეეძლო პასის მოცემა, ვერაფრით ვერ წარმოვიდგენდი. ჩესკო უდავოდ დიდი ფეხბურთელია.

**- რისი მიღწევა გსურთ კიდევ ფეხბურთელის ამპლუაში?**

- დიდად არც ამაზე ვფიქრობ, რადგან ფეხბურთში ჩემი მთავარი მოტივაცია სიამოვნების მიღებაა. თითოეული თამაშისგან მაქსიმალურ სიამოვნებას ვიღებ და ამაზე უარის თქმას ჯერ არ ვაპირებ. როდესაც გულთან დაკავშირებული პრობლემები შემექმნა და კარიერის დასრულება მირჩიეს, ჩემზე უბედური არავინ იყო. საბედნიეროდ, ყველაფერი მოგვარდა და თამაში გავაგრძელე. ჩემი მთავარი მოტივაცია ფეხბურთისგან სიამოვნების მიღებაა, ასე იყო 18 წლის ასაკშიც და ასეა დღესაც.

**- რას გააკეთებთ კარიერის დასრულების შემდეგ?**

- ვეტერანთა გუნდს შევქმნი და ამხანაგურ მატჩებში მივიღებ მონაწილეობას. გუნდში მოვიწვევ რობერტო ბაჯოს და ბავშვობის ოცნებას ავიხდენ. მასთან თამაში ყოველთვის მინდოდა, მაგრამ დროში ავცდით ერთმანეთს. თუ ხავიერ ძანეტი ოდესმე დაასრულებს კარიერას, ისიც ჩემს გუნდში გადმოვა და ერთად, დაუმარცხებლები ვიქნებით. ისე კი, ფეხბურთში მსურს დარჩენა, რადგან სხვაგვარად უბრალოდ ვერ წარმომიდგენია.

ნაპოლი

# მაცარის უარი ახალ კონტრაქტზე

## პრესაში რეიაზე ალაპარაკდნენ



ვალტერ მაცარიმ კონტრაქტის გახანგრძლივებისგან თავი შეიკავა

**იტალიურ** სპორტულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, არის შანსი, მომდევნო სეზონიდან „ნაპოლის“ მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე **ედუარდო რეიამ** იმუშაოს, რომელიც ბოლოს „ლაციოს“ ედგა სათავეში. საქმე იმაშია, რომ აქტიურად ვრცელდება ცნობები **ვალტერ მაცარის** ნეაპოლიდან შესაძლო აბარგების შესახებ და თუ ეს მართლაც ასე მოხდა, **აურელიო დე ლაურენტისს** მისი შემცვლელის მოძებნა მოუწევს. აღნიშნული ხმების გავრცელებას თავად მაცარიმ დაუდო სათავე, რომელმაც ნეაპოლელთა ახალ შეთავაზებაზე უარი განაცხადა და ხელშეკრულება არ გაახანგრძლივა. ჯერ მოვუსმინოთ ვალტერს და შემდეგ განვაგრძოთ თემა:

*„კლუბმა ახალი კონტრაქტი შემომთავაზა, რაც ჩემთვის სასიამოვნო სიურპრიზი იყო, მაგრამ ამ ეტაპზე, ხელის მოწერისგან თავი შევიკავე. მირჩევნია, სეზონის ბოლოს მივიღო გადაწყვეტილება, როდესაც ბევრ კითხვაზე მექნება პასუხი. რა კითხვებზე? - პირველ რიგში იმაზე, იქნება თუ არა თვითონ „ნაპოლისთვის“ კარგი ჩემი დარჩენა. დამიჯერეთ, გადაწყვეტილებას სწორედ ამ გადასახედიდან მივიღებ“.*

აი ასეთი მოულოდნელი განცხადება გააკეთა ვალტერ მაცარიმ და მთელი საფეხბურთო იტალია აალაპარაკა. რაც შეეხება რეიას, მის ხელში „ლაციო“ კარგად ასპარეზობდა და მუდმივად მაღალი ადგილებისთვის იბრძოდა.

მაცარის შესაძლო წასვლის და შესაბამისად, რეიას მისვლის შესახებ კომენტარი თვით „ნაპოლის“ პრეზიდენტმა აურელიო დე ლაურენტისმა გააკეთა და უმჯობესია, თავად მას მოვუსმინოთ: *„მაცარი შესანიშნავად მუშაობს და მასთან განშორების არავითარი სურვილი არ მაქვს. სწორედ ამიტომ შევთავაზეთ ახალი კონტრაქტი, რომელსაც ჯერ არ აწერს ხელს. თუმცა, ეს ბევრს არაფერს ნიშნავს და სადღაც მესმის კიდეც, რადგან შუა სეზონში, მწვრთნელი სხვა საკითხებზე უნდა იყოს კონცენტრირებული. ბევრი რამე იმაზეა დამოკიდებული, რომელ ადგილზე დაასრულებს ჩემპიონატს „ნაპოლი“ - შესაბამისად, მის შემცვლელზე ჯერჯერობით არ ვფიქრობ და იმედია, უახლოეს მომავალში არც ვიფიქრებ. თუმცა, ეს მხოლოდ ჩემი გადასაწყვეტი არაა და თუ თავად ვალტერი წასვლას მოისურვებს, მაშინ სხვა მწვრთნელზე მართლაც მოგვიწევს დაფიქრება. ისე კი, ედუარდო რეიას მუშაობის სტილი ძალიან მომწონს და არ გამოვრიცხავ, რომ ოდესმე მას თანამშრომლობა შევთავაზო“.*

იუვენტუსი

# კვალიარელას პროტესტი

## მეტი სათამაშო დრო!



ფაბიო კვალიარელა უთამაშებლობამ შეაწუხა

„იუვენტუსში“ ექვსი დაახლოებით თანაბარი დონის თავდამსხმელი ირიცხება და შესაბამისად, **ანტონიო კონტე** როტაციას მიმართავს. ბოლო პერიოდში, აქცენტი **მირკო ვუჩინიჩზე, სებასტიან ჯოვინკოსა** და **ალესანდრო მატრიზე** კეთდება, სხვები კი უფრო ჩრდილში არიან მოქცეულნი. **ნიკლას ბენდტნერი** არ ხმაურობს, **ნიკოლა ანელკა** ახალი ჩასულია ტურინში და ჯერ ვერც იხმაურებს, აი **ფაბიო კვალიარელამ** კი უკვე ღიად გამოთქვა უკმაყოფილება:

*„ზამთარში არაერთი გუნდიდან მქონდა შემოთავაზება, მაგრამ უარი განვაცხადე, რადგან ტურინში თავს შესანიშნავად ვგრძნობ. თუმცა, თუ უთამაშებლობა დიდ ხანს გაგრძელდება, წასვლაზე დაფიქრება მომიწევს. 30 წლის ვარ და აღარ მაქვს იმის დრო, რომ თადარიგში ვიჯდე. ვარჯიშებზე ბოლომდე ვიხარჯები და ყველაფერს ვაკეთებ იმისთვის, რომ უფრო მეტი დრო მომეცეს, თუმცა სანადელს ჯერ ვერ მივაღწიე“.*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

### იტალია. სერია A. პარასკევის მატჩის წინ

მილანი-პარმა 23:45

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 24 | 17 | 4 | 3 | 50-16 | 55 |
| 2. ნაპოლი | 24 | 15 | 5 | 4 | 46-21 | 50 |
| 3. ლაციო | 24 | 13 | 5 | 6 | 34-25 | 44 |
| 4. ინტერი | 24 | 13 | 4 | 7 | 39-29 | 43 |
| 5. მილანი | 24 | 12 | 5 | 7 | 42-30 | 41 |
| 6. ფიორენტინა | 24 | 11 | 6 | 7 | 41-29 | 39 |
| 7. უდინეზე | 24 | 9 | 9 | 6 | 35-33 | 36 |
| 8. კატანია | 24 | 10 | 6 | 8 | 31-30 | 36 |
| 9. რომა | 24 | 10 | 4 | 10 | 49-45 | 34 |
| 10. პარმა | 24 | 8 | 8 | 8 | 30-31 | 32 |
| 11. სამპდორია | 24 | 8 | 5 | 11 | 31-30 | 28 |
| 12. ტორინო | 24 | 6 | 11 | 7 | 27-27 | 28 |
| 13. კიევო | 24 | 8 | 4 | 12 | 25-39 | 28 |
| 14. ატალანტა | 24 | 8 | 5 | 11 | 21-33 | 27 |
| 15. ბოლონია | 24 | 7 | 5 | 12 | 33-34 | 26 |
| 16. კალიარი | 24 | 6 | 7 | 11 | 26-41 | 25 |
| 17. ჯენოა | 24 | 5 | 7 | 12 | 25-36 | 22 |
| 18. პესკარა | 24 | 6 | 3 | 15 | 20-49 | 21 |
| 19. სიენა | 24 | 6 | 6 | 12 | 24-34 | 18 |
| 20. პალერმო | 24 | 3 | 9 | 12 | 21-38 | 18 |

*შენიშვნა: სიენა - 6 ქულა, ატალანტა – 2, სამპდორია – 1, ტორინო – 1*

## უცხოური ფეხბურთი

ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი. I ტური

# ბომბონერა დაეცა

**I ჯგუფი**

| ბოკა–ტოლუკა | 1:2 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 ს. სილვა (23-პენ), 1:1 ესკიველი (59), 1:2 ე. ბენიტესი (73).

**III ჯგუფი**

| ატლ. მინეირო–სან პაულო | 2:1 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 ჟო (13), 2:0 რევერი (73), 2:1 ალოიზიო (83).

**VI ჯგუფი**

| რეალ გარსილასო–სანტა ფე | 1:1 |
|---|---|

**გოლები:** 0:1 კ. მარტინეს ბორხა (15), 1:1 ბოგადო (76).

**VIII ჯგუფი**

| კარაკასი–ფლუმინენსე | 0:1 |
|---|---|

**გოლი:** 0:1 ფრედი (32).

## მარცხიანი დაბრუნება

ლიბერტადორესის თასის ერთ-ერთ ფავორიტად მიჩნეულმა „ბოკა ხუნიორსმა“, ამ ტურნირზე **კარლოს ბიანკის** დაბრუნება სათანადოდ ვერ აღნიშნა. გუშინდელი დღის მთავარი სენსაცია სწორედ „ბომბონერაზე“ დაფიქსირდა, სადაც სტუმრად მექსიკური „ტოლუკა“ ჩავიდა. 2012 წლის ფინალისტისთვის ყველაფერი იდეალურად დაიწყო – 23-ე წუთზე, მეტოქის საჯარიმოში **ლაუტარო აკოსტა** წააქციეს, რასაც სტუმართა კარში 11-მეტრიანის დანიშვნა მოჰყვა. **სანტიაგო სილვას** მიზანმა არ უმტყუნა და ანგარიში გაიხსნა, 1:0.

ამის შემდეგ, ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ „ბოკა“ უპირატესობას გაუშვებდა, მაგრამ მეორე ტაიმი „ტოლუკამ“ შესანიშნავად დაიწყო და 52-ე წუთზე პენალტი უკვე მასპინძლების კარში დაინიშნა, თუმცა „ტოლუკას“ მცველმა, **კარლოს ხერარდო როდრიგესმა** 11-მეტრიანი ვერ გაიტანა და მასპინძლები გადარჩნენ.

ამ შეხვედრის უდავოდ საუკეთესო მოთამაშე 36 წლის ვეტერანი **ანტონიო ნაელსონი**, იგივე **ზინია** გახდა. მექსიკის ნაკრების ფეხბურთელმა, მეორე ტაიმში ორი საგოლე პასი გააკეთა და საკუთარი გუნდი სახლში სამი ქულით დააბრუნა. 59-ე წუთზე ზინიას პასით ცვლილებაზე შემოსულმა **კარლოს ესკიველმა** ისარგებლა, 73-ეზე კი პარაგვაელმა **ედგარ ბენიტესმა**.

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ანგარიში გათანაბრდა, ბიანკიმ შეტევის გაძლიერება სცადა და მოედანზე **ლუკას ვიატრი** გამოიყვანა, მოგვიანებით კი თამაშში **პოლ ფერნანდესიც** ჩართო, მაგრამ უშედეგოდ. „ბოკა ხუნიორსი“ დამარცხდა და სიტუაცია ძალიან გაირთულა, რადგან მის ჯგუფში, რომელიც უკვე ე.წ. „სიკვდილის ჯგუფად“ არაერთხელ მოვიხსენიეთ, თითოეულ ქულას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

მატჩის შემდეგ, საკუთარი გუნდის თამაშით უკმაყოფილი იყო კარლოს ბიანკი. აი, რა თქვა არგენტინელმა სპეციალისტმა: *„მას შემდეგ, რაც მეტოქე დაწინაურდა, თითქოს ყურები ჩამოვყარეთ და დავნებდით, არადა ასეთი შემთხვევა კიდევ ბევრი იქნება და ამისთვის მზად უნდა ვიყოთ. პირველ ტაიმში კარგად ვითამაშეთ, აი, მეორე ნახევარში მეტოქემ აშკარად გვაჯობა, თუმცა აუცილებლად უნდა აღვნიშნო დაცვის ხაზის ცუდი თამაში – ძლიერი გუნდი ასეთ გოლებს არ უნდა უშვებდეს“.*

აქვე დავამატოთ, რომ „ბოკამ“, ლიბერტადორესის თასის ბოლო 9 საშინაო შეხვედრაში მე-3 მარცხი განიცადა, არადა მანამდე შინ 28-მატჩიანი წაუგებელი სერია ჰქონდა.

სტუმრებმა ეს ყველაფერი არ გაითვალისწინეს და ტანმაღალი მცველი საჯარიმოში უმეთვალყურეოდ დატოვეს, რითაც მასპინძლებმა კარგად ისარგებლეს. სტუმრებმა მხოლოდ ანგარიშის შემცირება მოახერხეს – თავი ცვლილებაზე გამოსულმა **ალოიზიომ** გამოიჩინა.

შეხვედრის ბოლო წუთებზე, მასპინძელთა რიგებში **რიჩარლისონი** და **ალეკსანდრო** გამოჩნდნენ. მათ, საბოლოო ჯამში, მოედანზე ერთად 3 წუთი გაატარეს. აღსანიშნავი კი ამ ფაქტში ის არის, რომ 30 წლის რიჩარლისონი და 32 წლის ალეკსანდრო ძმები არიან და მიუხედავად ხანგრძლივი საფეხბურთო კარიერისა, ერთი გუნდის მაისურით, მოედანზე პირველად სწორედ გუშინ გამოვიდნენ. აქვე დავამატოთ, რომ რიჩარლისონი და ალეკსანდრო, პორტუგალიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელის, **დეკუს** ცოლის ძმები არიან.

საბოლოოდ, 2:1 და „ატლეტიკო მინეირომ“ ტურნირი გამარჯვებით დაიწყო. ამ ჯგუფის მეორე შეხვედრა დღეს დილით ბოლივიაში, „სტრონგესტსა“ და სარანდის „არსენალს“ შორის გაიმართა.

## ისევ ფრედი

**ფრედი**, რა თქმა უნდა, ფრედი, ვინ თუ არა ფრედი... „ფლუმინენსემ“ ვენესუელაში „კარაკასს“ მოუგო, ხოლო გამარჯვების მომტანი გოლი ფრედმა გაიტანა. 29 წლის ფორვარდმა ზედიზედ მეოთხე შეხვედრაში (ორი მატჩი კარიოკაზე და ერთი ამხანაგური, ინგლისთან) გაიტანა, სულ კი ყველა ტურნირზე ჩატარებულ ბოლო 10 შეხვედრაში, გასული სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირის ანგარიშზე 9 გოლია.



„ატლეტიკო მინეიროს“ ჟომ და რონალდინიომ მოაგებინეს.

## ბრაზილიური დერბი

ბელუ ორიზონტეში ბრაზილიური დერბი გაიმართა. 2012 წლის ბრაზილიის ვიცე-ჩემპიონი მეოთხე ადგილზე გასულ და კოპა სუდამერიკანას მფლობელ „სან პაულოს“ მასპინძლობდა. საინტერესოა, რომ ეს გუნდები, ლიბერტადორესის თასზე ერთმანეთს მეხუთედ ხვდებოდნენ და წინა ოთხი შეხვედრიდან, რომელიც 70-იან წლებში შედგა, „სან პაულოს“ მოგებული არ ჰქონდა (3 ფრე და 1 მარცხი). ამ შეხვედრაში გაიბრწყინა **რონალდინიომ**, რომელმაც გოლი ვერ გაიტანა, სამაგიეროდ, ორი საგოლე გადაცემა შეასრულა. ჯერ, მე-13 წუთზე, გაუჩოს პასით **ჟომ** იხეირა, ხოლო მეორე ტაიმში თავი „ატლეტიკოს“ მცველმა **რევერმა** გამოიჩინა. ბრაზილიის ნაკრების 28 წლის ფეხბურთელმა ბრაზილიის შარშანდელ ჩემპიონატში 6 გოლი გაიტანა და ამ შედეგით, მცველებს შორის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. როგორც ჩანს, „ფლუს“ დეკუ, **ტიაგო ნევეში** და **გუმი** აკლდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ბრაზილიის ჩემპიონმა ტურნირი გამარჯვებით დაიწყო. ვენესუელის 11-გზის (ყველაზე მეტი) ჩემპიონი, ბრაზილიურ კლუბს მეხუთედ ხვდებოდა და მოედანი კვლავ მოგების გარეშე დატოვა. მასპინძლები უშანსოდ ნამდვილად არ ყოფილან, მაგრამ მთელი შეხვედრის განმავლობაში დამაჯერებელი იყო **დიეგო კავალიერი**.

დღის უკანასკნელი მატჩი კი პერუში გაიმართა. „რეალ გარსილასოს“ და კოლუმბიური „სანტა ფეს“ დაპირისპირება ფრედ დასრულდა. თავიდან სტუმრები იგებდნენ, მაგრამ მასპინძლები პარაგვაელმა მცველმა **როლანდო ბოგადომ** იხსნა. აღსანიშნავია, რომ ბოგადომ „რეალ გარსილასოს“ რიგებში სულ მეორე მატჩი ჩაატარა და მეორე გოლის გატანა მოახერხა – მცველისთვის, თანაც ახალწვეული მცველისთვის, მართლაც შესანიშნავი შედეგია.

საფრანგეთი. ლიგა 1. პარასკევის მატჩის წინ

# ტური საინტერესო მატჩით იხსნება

**15 თებერვალი**

| ლილი-რენი | 23:30 |
|---|---|

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 24 | 15 | 6 | 3 | 45-13 | 51 |
| 2. ლიონი | 24 | 13 | 6 | 5 | 39-24 | 45 |
| 3. მარსელი | 24 | 13 | 4 | 7 | 31-29 | 43 |
| 4. სტ. ეტიენი | 24 | 11 | 7 | 6 | 36-18 | 40 |
| *5. რენი* | *24* | *12* | *4* | *8* | *37-30* | *40* |
| 6. ნიცა | 24 | 10 | 9 | 5 | 36-28 | 39 |
| 7. ბორდო | 24 | 9 | 11 | 4 | 26-16 | 38 |
| 8. ლორიანი | 24 | 9 | 9 | 6 | 39-38 | 36 |
| 9. მონპელიე | 24 | 10 | 5 | 9 | 39-32 | 35 |
| *10. ლილი* | *24* | *8* | *10* | *6* | *30-25* | *34* |
| 11. ვალანსიენი | 24 | 9 | 6 | 9 | 34-35 | 33 |
| 12. ტულუზი | 24 | 8 | 7 | 9 | 30-30 | 31 |
| 13. აიაჩო | 24 | 7 | 9 | 8 | 27-32 | 28 |
| 14. ბასტია | 24 | 7 | 5 | 12 | 29-50 | 26 |
| 15. ბრესტი | 24 | 7 | 3 | 14 | 24-35 | 24 |
| 16. რეიმსი | 24 | 5 | 8 | 11 | 21-28 | 23 |
| 17. ევიანი | 24 | 5 | 8 | 11 | 24-36 | 23 |
| 18. სოშო | 24 | 6 | 5 | 13 | 22-34 | 23 |
| 19. ტრუა | 24 | 3 | 9 | 12 | 26-44 | 18 |
| 20. ნანსი | 24 | 3 | 9 | 12 | 22-40 | 18 |

*შენიშვნა: „აიაჩოს“ – 2 ქულა*

ლიგა 1-ის 25-ე ტური პარასკევს, „ლილის“ და „რენის“ ძალიან საინტერესო დაპირისპირებით გაიხსნება. **რუდი გარსიას** გუნდის ფეხბურთელებმა, წინა ტურში სტუმრად „ლიონს“ მოუგეს და ამით 4-მატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტეს. „რენი“ კი ბოლო დროს შესანიშნავად გამოიყურება და გუნდი უკვე მეხუთე პოზიციაზეა გადასული. მესამე ადგილზე მყოფ „მარსელს“, **ფრედერიკ ანტონეტის** გუნდი მხოლოდ სამი ქულით ჩამორჩება, ასე რომ, ბრეტონელები ჩემპიონთა ლიგის საგზურის მაძიებელთა სიაში უნდა ჩავწეროთ. ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის საგზურის მოპოვების თეორიული შანსი „ლილსაც“ შერჩა, ოღონდ ამ შანსის გასამყარებლად დღეს აუცილებლად უნდა მოიგოს.

მასპინძლებს ამ შეხვედრაში **რიო მავუბა** არ ეყოლებათ, რომელიც ჯერ ვერ გამოჯანმრთელდა. „რენს“ ერთ-ერთი ლიდერი, აფრიკის თასის საუკეთესო ფეხბურთელი, **ჯონათან პიტროიპა** დაუბრუნდა, მაგრამ „ფრანს ფუტბოლის“ ინფორმაციით, ბურკინა ფასოს ნაკრების ფეხბურთელი ამ შეხვედრაში მონაწილეობას არ მიიღებს. სტუმართა გუნდში შესანიშნავ ფორმაში არიან **რომენ ალესანდრინი** და **მევლუთ ერდინჩი** – ორივე ფეხბურთელმა, ბოლო 4 შეხვედრაში 3-3 გოლი გაიტანა.



პიტროიპა კი დაბრუნდა, მაგრამ დღეს არ ითამაშებს.

ბოლო წლებში, ამ გუნდების დაპირისპირებაში, უპირატესობას „ლილი“ ფლობდა, რომელსაც წლევანდელ სეზონამდე 7-მატჩიანი წაუგებელი სერია ჰქონდა, მაგრამ პირველ წრის შეხვედრაში გამარჯვება „რენს“ დარჩა. 28 სექტემბერს, ბრეტონელებმა 2:0 მოიგეს, გოლები კი **ჟულიენ ფერემ** და რომენ ალესანდრინიმ გაიტანეს.

ესპანეთი. ლა ლიგა. პარასკევის მატჩის წინ

**15 თებერვალი**

| სევილია-დეპორტივო | 00:30 |
|---|---|

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 23 | 20 | 2 | 1 | 78-26 | 62 |
| 2. ატლეტიკო | 23 | 16 | 2 | 5 | 44-23 | 50 |
| 3. რეალი | 23 | 14 | 4 | 5 | 58-22 | 46 |
| 4. მალაგა | 23 | 11 | 6 | 6 | 36-21 | 39 |
| 5. ვალენსია | 23 | 11 | 4 | 8 | 32-35 | 37 |
| 6. ვალეკანო | 23 | 12 | 1 | 10 | 33-39 | 37 |
| 7. სოსიედადი | 23 | 10 | 6 | 7 | 37-29 | 36 |
| 8. ბეტისი | 23 | 11 | 3 | 9 | 31-34 | 36 |
| 9. ლევანტე | 23 | 10 | 3 | 10 | 29-35 | 33 |
| 10. ვალიადოლიდი | 23 | 8 | 6 | 9 | 32-29 | 30 |
| *11. სევილია* | *23* | *8* | *5* | *10* | *30-34* | *29* |
| 12. ხეტაფე | 23 | 8 | 5 | 10 | 29-42 | 29 |
| 13. ესპანიოლი | 23 | 7 | 7 | 9 | 30-34 | 28 |
| 14. გრანადა | 23 | 7 | 5 | 11 | 22-32 | 26 |
| 15. ბილბაო | 23 | 7 | 5 | 11 | 29-46 | 26 |
| 16. სარაგოსა | 23 | 7 | 3 | 13 | 23-33 | 24 |
| 17. ოსასუნა | 23 | 5 | 7 | 11 | 19-27 | 22 |
| 18. სელტა | 23 | 5 | 5 | 13 | 21-28 | 20 |
| 19. მალიორკა | 23 | 4 | 6 | 13 | 23-43 | 18 |
| *20. დეპორტივო* | *23* | *3* | *7* | *13* | *27-51* | *16* |

ამბები

## ტიაგო სილვა ჯერ ვერ ბრუნდება

„პარი სენ ჟერმენის“ სამედიცინო შტაბი **ტიაგო სილვას** დაბრუნებას „ვალენსიასთან“ ჩემპიონთა ლიგის მატჩისთვის ვარაუდობდა, მაგრამ, როგორც იცით, 28 წლის მცველს იმ შეხვედრაში არ უთამაშია. როგორც გაირკვა, ბრაზილიელის ტრავმა იმაზე სერიოზულია ვიდრე აქამდე ვარაუდობდნენ. თავად ფეხბურთელი დაბრუნებას „მარსელთან“ ერთ-ერთ შეხვედრაში აპირებს. 24 და 27 თებერვალს, პსჟ „ოლიმპიკს“ ჯერ ჩემპიონატში, შემდეგ კი თასზე დაუპირისპირდება. „ლე პარიზიენის“ ცნობით, ექიმები ვერაფრის გარანტიას ვერ იძლევიან და მათი თქმით, არსებობს იმის შანსი, რომ სილვამ არა მარტო ეს ორი მატჩი, „ვალენსიასთან“ გასამართი საპასუხო შეხვედრაც გამოტოვოს.

შეგახსენებეთ, რომ პარიზელთა ერთ-ერთმა ლიდერმა ტრავმა 12 იანვარს, „აიაჩოსთან“ გამართულ შეხვედრაში მიიღო. ტიაგომ მარცხენა ბარძაყის ზუსტად ის კუნთი დაიზიანა, რომლის გამოც შარშანდელ სეზონში თვე-ნახევარი გამოტოვა.

## მუტუ და გურკუფი სამ კვირას დაისვენებენ

„ბორდოსთან“, ბოლო ტურის შეხვედრაში გამარჯვების მომტანი გოლის ავტორი **ადრიან მუტუ**, დაახლოებით სამ კვირას გამოტოვებს. „აიაჩოს“ 34 წლის რუმინელმა ფეხბურთელმა, რომლის ანგარიშზეც ამ სეზონში 7 გოლია, ტრავმა ერთ-ერთ ვარჯიშზე მიიღო. იმის გასარკვევად, თუ რამდენად სერიოზულია მუტუს დაზიანება, დამატებითი სამედიცინო შემოწმებაა საჭირო, რომელიც უახლოეს დღეებში გაიმართება.

დაახლოებით ანალოგიური ხანგრძლივობის შვებულება ელის **იოან გურკუფს**, რომელმაც ტრავმა „ტოტენჰემთან“ შეხვედრის წინ მიიღო. „ლიონის“ 26 წლის ნახევარმცველი, ლონდონური კლუბის გარდა, ვერც ყოფილ კლუბ „ბორდოს“ დაუპირისპირდება, რომელსაც „ლიონი“ კვირას უნდა შეხვდეს.

## ბაროშმა გალათასარაი დატოვა

**მილან ბაროშმა** „გალათასარაისთან“ კონტრაქტი გაწყვიტა და გუნდი თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვა. 31 წლის ჩეხ ფეხბურთელს ამ სეზონში ერთი მატჩიც არ ჩაუტარებია, რითიც, ბუნებრივია, უკმაყოფილო იყო. ჩეხეთის ნაკრების ფეხბურთელი (93 მატჩი, 41 გოლი) თურქულ კლუბში 2008 წელს გადავიდა და მას შემდეგ, ოთხი სეზონის განმავლობაში, სულ 48 გოლი გაიტანა (93 შეხვედრაში).

**იოჰან ელმანდერის, ნორდინ ამრაბატის, უმუთ ბულუთის** და **ბურაკ ილმაზის** კარგი თამაშის წყალობით, წელს ბაროშს შემადგენლობაში მოხვედრის შანსი არ ჰქონია, ხოლო თურქულ კლუბში **დიდიე დროგბას** მოსვლის შემდეგ, მისთვის გასაგები გახდა, რომ წასვლის დრო იყო.

თუ ჩეხ ჟურნალისტებს დავუჯერებთ, მილან ბაროში კარიერას ყოფილ კლუბ „ბანიკში“ გააგრძელებს, სადაც 1998/2001 წლებში თამაშობდა და 77 შეხვედრაში 23 გოლიც გაიტანა.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძე**

რასიზმი

# ინგლისურ-რუსული ომი: პასუხი ბრალდებაზე ბრალდებით

შესავლის გარეშე მკითხველისთვის ქვემოთ მოყვანილი სტატია შეიძლება გაუგებარი აღმოჩნდეს. შევეცდებით, განვმარტოთ, თუ რამ გამოიწვია ურთიერთბრალდებათა კორიანტელი ბრიტანულ და რუსულ გამოცემებს შორის. ყველაფერი ევროპალიგაზე „ზენიტი"-„ლივერპულის" წუხანდელ მატჩამდე დაიწყო. 12 თებერვალს „დეილი მეილის" ჟურნალისტმა ჯონათან მაკევოიმ რუსეთის ძველ დედაქალაქში თავის მოგზაურობასა და პეტერბურგული კლუბის რადიკალ ფანებთან შეხვედრაზე სტატია შემოგვთავაზა. ნეონაცისტური და ჰომოფობიური განწყობების მქონე ორგანიზებული ჯგუფის არსებობაზე მან ოფიციალური შეკითხვა გაუგზავნა ქვეყნის პრემიერ-მინისტრ დიმიტრი მედვედევის პრესსამსახურს, საიდანაც უპასუხეს, რომ გულშემატკივართა არაკორექტული პოლიტიკური მანიფესტები პირველ რიგში ამ ორგანიზაციების ზრუნვის საგანი უნდა იყოს, ხოლო კანონის დარღვევა კანონის მთელი სიმკაცრით დაისაჯოსო. ჟურნალისტმა დაასკვნა: „რასიზმი რუსეთში ჩვეულებრივი მოვლენაა. თუნდაც იმიტომ, რომ მსოფლიოში ყველაზე დიდი ქვეყანა დიდხანს ცხოვრობდა რკინის ფარდის მიღმა. საბჭოთა კავშირში შავკანიანები მასაში იოლად განირჩეოდნენ. ახლაც ასეა. მთელი კვირის განმავლობაში მხოლოდ სამი შავკანიანი შემხვდა ქუჩაში. პრობლემა უფრო მძაფრად თავს 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე შეგვახსენებს. ამ დროს, კლუბები ცარიელ სიტყვებს სჯერდებიან, უეფა და ფიფა გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმას ერიდებიან, პოლიტიკოსები კი არაფერს აკეთებენ". ამ ყველაფერს დაერთო ისიც, რომ შეხვედრის წინ „ლივერპულის" ხელმძღვანელობამ განაცხადა, გვეშინია, ჩვენი ფეხბურთელები შეურაცხყოფილები არ დარჩნენო. ამ ყოველივეზე „სპორტ ექსპერსის" ჟურნალისტმა ანდრეი ბელოვმა უპასუხა. ჩვენი რუსი კოლეგის წერილს შემოკლებით გთავაზობთ.



მილუოლის ფანები ელ ჰაჯი დიუფის წინააღმდეგ

## ბნელი ინგლისური ისტორია

1876 წელს შოტლანდიური „მაქსველის" რიგებში მცველი **ენდრიუ უოტსონი** თამაშობდა. ის ბრიტანული გვინეიდან იყო წარმოშობით. ისტორიას მის სახელთან დაკავშირებული სკანდალური ამბები არ შემოუნახავს. კუნძულის ისტორიაში პირველი შავკანიანი ფეხბურთელი მშვიდად აკეთებდა თავის საქმეს. მან შოტლანდიის ნაკრებში თამაშიც კი მოასწრო.

მიიჩნევა, რომ პირველი პროფესიონალი შავკანიანი ფეხბურთელი ბრიტანეთში განელი არტურ უორტონი იყო. სახელი მან „პრესტონ ნორთ ენდში" მოიხვეჭა, სადაც 1886 წელს ჩაირიცხა. ზუსტად 100 წლის შემდეგ მისი ქანდაკება ფიფას შტაბბინასთან დადგეს სტადიონებზე რასიზმთან ბრძოლის სიმბოლოდ.

ძალიან დიდხანს, მათ შორის მსოფლიო ომებს შორის პერიოდში და მერეც, სხვა ფერის ფეხბურთელებს ყურადღებას არავინ აქცევდა, მაგრამ 60-იან წლებში ბრიტანეთში კარიბის ზღვის აუზიდან ემიგრანტთა ტალღა დაიძრა, რამაც სიტუაცია რადიკალურად შეცვალა. ტრიბუნებზე მაიმუნის გამოჯავრება და შეურაცხმყოფელი შეძახილები მუშათა კლასის წარმომადგენელთა დიდ ნაწილში ჩვეულებრივ ამბად ითვლებოდა.

1978 წელს **ვივ ანდერსონი** პირველი ფერადკანიანი ფეხბურთელი გახდა, ვინც ინგლისის ნაკრებში ითამაშა. აქედან მოყოლებული „სამი ლომის" ღირსება 70-მდე „აფროინგლისელმა" დაიცვა. უკანასკნელი მათ შორის **რაჰემ სტერლინგი** იყო. გასული საუკუნის 80-იანი წლები ბრიტანული ნაციონალიზმისა და ხულიგანიზმის ეპოქად შეიძლება ჩავთვალოთ. რაც ფეხბურთელთა შეურაცხყოფის მთელ კამპანიაში აისახა.

თუმცა თავისიანებს ფანები არ ამჩნევდნენ და „უპირატესობას მეტოქე გუნდის ფეხბურთელებს" ანიჭებდნენ. ამის მაგალითი იყო **ჯონ ბარნსი** „ლივერპულში" და **ლუთერ ბლისეტი** - „უოტფორდში". ისინი თავიანთი გუნდების კერპები იყვნენ, მაგრამ, „სტემფორდ ბრიჯზე" მათთვის შეიძლებოდა ბანანები ესროლათ და ფაშისტურად მისალმებოდნენ.

1992 წელს პრემიერლიგის დაარსებიდან დღემდე, ლეგიონერთა რიცხვის მატებასთან ერთად, საფეხბურთო ასოციაციამ და ფეხბურთელთა პროფკავშირმა „ფეარ პლეის" კამპანია წამოიწყეს, რომელიც დღემდე გრძელდება. გამკაცრდა კანონები რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

## რასიზმი ყვავის

ბრძოლა ბრძოლად, თუმცა ვითარება დიდად არ შეცვლილა. ამას თავისი მიზეზები აქვს. ინგლისი მომთმენი ქვეყანაა, მაგრამ ხანდახან ზრდილობისა და ტრადიციების უკან თავს გამოყოფს ხოლმე ნამდვილი მონსტრი. BBC-ის ცნობით, უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში, როცა ბრიტანეთს ლეიბორისტები მართავდნენ, ქვეყანაში მორიგი საემიგრაციო ბუმი მოხდა. ქვეყანაში 4 მილიონი უცხოელი ჩავიდა საცხოვრებლად. 2012 წლის მაისში ჩატარებული გამოკითხვით გაირკვა, რომ მოსახლეობის 1/3 თავს რასისტად მიიჩნევს. მეორე გამოკითხვამ გამოავლინა, რომ თეთრკანიანების 88% საკუთარ თავს თეთრ ბრიტანელად მიიჩნევს. საზოგადოება კი უკანასკნელად შოკში ჩააგდო ცნობამ, რომ უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში სკოლებში რასიზმის 88 ათასი შემთხვევაა დაფიქსირებული. აღარაფერს ვამბობთ სტადიონებზე არსებულ განწყობებზე.

„ბოლტონის" ფეხბურთელი **ფაბრის მუამბა** კინაღამ მოედანზევე გარდაიცვალა. მისი შეურაცხმყოფელი კი დააკავეს და მხოლოდ 2-თვიანი პატიმრობა მიუსაჯეს; „ვესტ ჰემის" ფანები დღემდე უყვირიან „ტოტენჰემის" თაყვანისმცემლებს, რომ ჰიტლერი მათ ჯერ კიდევ მისწვდება; დაკავებული არიან „სანდერლენდისა" „ჩელსის" ფანები, რომელთაც **რომელუ ლუკაკუსა** და **დენი უელბეკის** დანახვაზე მაიმუნის განსახიერება დაიწყეს; ამ კვირაში გავრცელდა ვიდეო, სადაც „მილუოლის" ფანები **ელ ჯაჰი დიუფს** ლანძღავდნენ და ყველაზე შოკისმომგვრელი ცნობა: ქვეყნის მასშტაბით ყველა სტადიონზე შესვლა აეკრძალა სამი შვილი დედა **კარემ სტივენსონს**, ვინც „გრიმსბის" ფეხბურთელ **ასვალდ ტომასს** შეურაცხყოფდა.

არსენალი



# ტიერი ანრი მასწავლებლის დასაცავად

ტიერი ანრის ამერიკაში კიდევ ორი წელი მოუწევს დარჩენა

არსენ ვენგერი „არსენალში" 1996 წლის ზაფხულიდან მუშაობს. მას შემდეგ 63 წლის ფრანგმა 3-ჯერ მოიგო ინგლისის ჩემპიონატი (1998, 2002, 2004 წლებში), 4-ჯერ ასოციაციის თასი (1998, 2002, 2003, 2005-ში) და ამდენჯერვე ინგლისის სუპერთასი (1998, 1999, 2002, 2004). „მეთოფეები" უტიტულოდ უკვე მე-8 სეზონს ატარებენ. წელს მათი ერთადერთი იმედი ისევ ასოციაციის თასია. ჩრდილოლონდონელების მხარდამჭერთა ნაწილს მოთმინების ფიალა რა ხანია აევსო. ნაწილს ჯერ კიდევ სჯერა, რომ ვენგერი ის ერთადერთი მწვრთნელია, ვისაც შეუძლია გუნდი წარმატებების გზას დაუბრუნოს. უკანასკნელთა რიცხვს მიეკუთვნება „არსენალის" ყოფილი თავდამსხმელი ტიერი ანრი. აი, რას ამბობს ის:

- როცა ვერაფერს იგებ, ხალხს ბუნებრივად ეპარება ეჭვი შენში. სამწუხაროა, მაგრამ თანამედროვე ფეხბურთი ასეთია. ჩემთვის ძალიან რთულია ვენგერის კრიტიკის მოსმენა, არსენი ჩემთვის ყოველთვის „არსენალის" ტოპმენეჯერი იქნება. ის ჩემ მიმართ განსაკუთრებულად იყო განწყობილი და ამას გარდა ვიცი, თუ რამდენი რამ გააკეთა მან კლუბისთვის. გულშემატკივარი მუდმივად ბოლო წლების გამოსვლით გსჯის, მაგრამ შეადარეთ მაინც ძველი „არსენალი" და ახლანდელი.

ერთადერთი, რაც ვიცი, არის ის, რომ ფეხბურთს სამუდამოდ ვერ ჩამოვშორდები. დაივიწყეთ, რომ ოდესღაც აქ ვთამაშობდი. მე ამ გუნდის უბრალო გულშემატკივარი ვარ. იმედია, ოდესმე დაბრუნების შანსი მომეცემა, რომელსაც აუცილებლად გამოვიყენებ, რადგან ჩემი გული ამ კლუბს ეკუთვნის. თუმცა მესმის, რომ ყველაფერი მარტო ჩემზე დამოკიდებული არ არის. ეს უფრო მეტად ოცნებაა, ვიდრე რეალობა, რომელიც შეიძლება ახდეს. ჩემს კონტრაქტს ამჟამინდელ კლუბთან ვადა კიდევ ორი წლით აქვს. გავა ეს დრო და მერე ვნახავთ, რას გადავწყვეტ.

ამბები

## სიტის დაუცხრომელი ინტერესი

გუშინ ვწერდით, რომ „სელტიკის" 21 წლის საყრდენი ნახევარმცველის **ვიქტორ ვანიამას** შეძენა „არსენალს" ჰქონდა განზრახული. დღეს კი კენიელის პოტენციურ მყიდველთა რიცხვს „მანჩესტერ სიტიც" დაემატა. ინფორმაციას „დეილი მეილი" ავრცელებს. „რომას" 20 წლის მარჯვენა ნახევარმცველის **ერიკ ლამელასადმი** „სიტის" ინტერესზე წერს იტალიური „გაძეტა დელო სპორტი". სამხრეთამერიკელს „ჯალოროსისთან" კონტრაქტი 2016 წლის ზაფხულამდე აკავშირებს. რომაელები მასში ყველაზე ცოტა, 20 მილიონ ევროს მოითხოვენ.

## გალასი ტოტენჰემიდან მიდის

„გარდიანის" ცნობით, „ტოტენჰემის" მთავარ მწვრთნელ **ანდრე ვილაშ ბოაშს** 2013/14 წლების სეზონიდან 35 წლის ფრანგი სტოპერის **ვილიამ გალასის** სამსახური აღარ დასჭირდება. ვეტერანს „დეზებთან" ხელშეკრულება სეზონის ბოლოს უმთავრდება. კლუბმა ფეხბურთელს ოფიციალურად გამოუცხადა, რომ მასთან თანამშრომლობის გაგრძელებას აღარ გეგმავს. გალასის წასვლის შემდეგ პორტუგალიელი მწვრთნელის განკარგულებაში დარჩებიან შემდეგი ცენტრალური მცველები: **იუნეს კაბული** (27 წლის), **მაიკლ დოუსონი** (29), **სტივენ კოლკერი** (21), **იან ვერტონგენი** (25).

## მაკარტი და ბენატია ჩელსიში?

„ჩელსი" „რედინგის" 23 წლის მეკარე **ალექს მაკარტის** შეძენით არის დაინტერესებული. ინგლისელი ფეხბურთელი ავსტრალიელი **ადამ ფედერიჩის** ჩრდილშია მოქცეული. წელს მის ანგარიშზე სულ 7 შეხვედრაა პრემიერლიგაში. ცხადია, დედაქალაქელებს ის სათადარიგოთა სკამის გასაძლიერებლად უნდათ, რადგან თავის მხრივ „სტემფორდ ბრიჯიდან" წასვლას გეგმავს **როს ტერნბული**. „ლურჯები" „არისტოკრატებს" უკვე დაუკავშირდნენ და ტრანსფერზე მოლაპარაკების დაწყება შესთავაზეს.

ლონდონელებს „უდინეზეს" 25 წლის ცენტრალური მცველი **მეჰდი ბენატიაც** ჰყავთ სამიზნეში ამოღებული. მაროკოს ნაკრების ფეხბურთელი ფრიულელთა რიგებში 2010 წლიდან გამოდის, ხელშეკრულება კი 2017 წელს უმთავრდება. კლუბი მას 12,8 მილიონ ევროდ აფასებს. აფრიკელის შეძენას აპირებს მახაჩყალის „ანჟიც".

## პოლდის გოლი ჩაუთვალეს

პრემიერლიგის სპეციალურმა კომისიამ, რომელიც საეჭვო გოლების ავტორებს ადგენს, დაასკვნა, რომ 2 თებერვალს „ემირეტსზე" XXV ტურის შეხვედრაში „სტოკ სიტისთან" (1:0) გატანილი ბურთი **ლუკას პოდოლსკის** ანგარიშზე უნდა ჩაიწეროს. 27 წლის გერმანელმა საჯარიმო დარტყმა ცოცხალ კედელს შემოავლო, თუმცა გზად სტუმართა ფეხბურთელსაც შეეხო, ტრაექტორია ოდნავ შეიცვალა და ბადეში ისე გაეხვია. კომისიის წევრების აზრით, მსგავსი რიკოშეტი ავტოგოლად გამოცხადების საფუძველს არ იძლევა.

## იუნაიტედი სულ უფრო მდიდრდება

„მანჩესტერ იუნაიტედის" განცხადებით, კლუბი მიმდინარე წელს შემოსავლების მკვეთრად მატებას ელის, განსაკუთრებით შარშანდელს შემდეგ, როცა **ალექს ფერგიუსონის** გუნდმა სეზონი „მშრალად" ჩაამთავრა. შიდა ასპარეზზე განცდილი წარუმატებლობების გარდა „ეშმაკები" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფშიც ჩარჩნენ. მიუხედავად ამისა, „იუნაიტედმა" 320 მილიონი ფუნტის მოგება ნახა. წელს ეს რიცხვი 350-360-მდე უნდა გაიზარდოს. სწორედ ამ ტენდენციის დამსახურებაა, რომ ცოტა ხნის წინ ყველაზე ტიტულოვანი ინგლისური კლუბის აქციათა 8% მსოფლიოში ყველაზე მსხვილმა საინვესტიციო კომპანია BlackRock Inc-მ შეიძინა. ამერიკული ფირმის მმართველობაში საერთო ჯამში 3,68 ტრილიონი დოლარის აქტივებია. ცხადია, ამხელა გიგანტისთვის „იუნაიტედის" 3,3 მილიონი აქციის შეძენა პრობლემას არ წარმოადგენდა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. ოთხშაბათის მატჩების მიმოხილვა

# რეალი დე ხეას შეასკდა!

## ჟოზე მოურინიო: შანსები მაინც 50/50-ზეა!

**თამაშმა**, რომელსაც, ჟოზე მოურინიოს თქმისა არ იყოს, მართლაც მთელი მსოფლიო მოუთმენლად ელოდა, იმედი ასი პროცენტით გაამართლა. „რეალმა“ და „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ინტენსიური გადარბენა გააჩაღეს, რომელშიც მადრიდული გრანდი საგრძნობ უპირატესობას ფლობდა (28 დარტყმა კარის მიმართულებით), მაგრამ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ 1:1-ს დასჯერდა, რაც მანკუნიანელთა კიპერ დავიდ დე ხეას დამსახურებაა და „იუნაიტედისთვის“ მისალებზე უკეთესი შედეგია. თუმცა, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ჟოზე მოურინიოს პლეი ოფებში პირველი მატჩის საკუთარ მოედანზე ჩატარება უყვარს და არაერთხელ უთქვამს, რომ საშინაო რაუნდში ფრე კარგ შედეგად მიაჩნია, არც „რეალია“ ცუდ მდგომარეობაში.



მანჩესტერელთა მეკარე დავიდ დე ხეა სანტიაგო ბერნაბეუზე შესანიშნავი იყო

**რეალი–მანჩესტერ იუნაიტედი 1:1**

**გოლები:** 0:1 უელბეკი (20), 1:1 კ. რონალდო (30)

**რეალი (4-2-3-1):** დიეგო ლოპესი - არბელოა, ვარანი, სერხიო რამოსი, კოენტრაო - ხედირა, ჩაბი ალონსო (84. პეპე) - დი მარია (75. მოდრიჩი), იოზილი, კ. რონალდო - ბენზემა (60. იგუაინი).

**მანჩესტერ იუნაიტედი (4-4-1-1):** დე ხეა - რ. და სილვა, ფერდინანდი, ევანსი, ევრა - უელბეკი (73. ვალენსია), კერიკი, ფ. ჯონსი, კაგავა (64. გიგზი) - რუნი (84. ანდერსონი) - ვან პერსი.

**გაფრთხილება:** ვან პერსი, რ. და სილვა, ვალენსია

**მაყურებელი:** 79 429

### რეაქციები

**ჟოზე მოურინიო („რეალის“ მთავარი მწვრთნელი):** *„მანჩესტერ იუნაიტედის“ თამაშების არაერთი ვიდეოჩანაწერი ვნახეთ და გავაანალიზეთ. ვფიქრობ, რომ მეტოქის ამაზე უფრო დეტალურად შესწავლა შეუძლებელია და ისიც ვიცოდით, რომ ფერგიუსონის გუნდი სტანდარტულებს ძალიან კარგად იყენებს, მაგრამ როცა მცველი კუთხურის საჰაერო ორთაბრძოლას აგებს, ამას ვერანაირი ანალიზით ან რჩევა-დარიგებით ვერ უშველი, ჩვენ კი დასანანი გოლი სწორედ ასე მივიღეთ. საერთო ჯამში, ჩემი გუნდის თამაშით ძალიან კმაყოფილი ვარ. ძალიან ბევრი და კარგი საგოლე მომენტი გვქონდა, მაგრამ მთავარი შედეგია, ჩვენ კი თამაში ვერ მოვიგეთ. მიუხედავად ამისა, ამ წყვილში შანსებს მაინც 50/50-ზე ვაფასებ.“*

**კრიშტიანო რონალდო (რეალი):** *„თამაშს ვაკონტროლებდით, მაგრამ გოლები ვერ გავიტანეთ. თუმცა ამის გამოსწორება „ოლდ ტრაფორდზე“ შეიძლება. „რეალს“, რა თქმა უნდა, შეუძლია მანჩესტერში მოგება.“*

**სერ ალექს ფერგიუსონი („მანჩესტერ იუნაიტედის“ მთავარი მწვრთნელი):** *„შანსი ორივე გუნდს ჰქონდა და მოგებაც ორივეს შეეძლო, მაგრამ ორივე მეკარე კარგად თამაშობდა. პირველი ტაიმის მეორე ნახევარში „რეალს“ ბევრის უფლება მივეცით, მაგრამ მეორე ტაიმში გამოვსწორდით. ეს პირველ რიგში უელბეკის დამსახურებაა, რომელმაც ბევრი იშრომა. მადრიდში ფრე კარგი შედეგია, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს - ყველაფერი საპასუხო მატჩში გადაწყდება.“*

### შემადგენლობები

**ჩაბი ალონსომ** გამოჯანმრთელება მოასწრო და ნახევარდაცვის ცენტრში **სამი ხედირას** შეუწყვილდა. ბევრისთვის მოულოდნელად, **ჟოზე მოურინიომ** ძირითადში არა **პეპე**, არამედ **ვარანი** გაამწესა, თუმცა თავისი საყვარელი მცველი მეორე ტაიმში მოედანზე მაინც გამოიყვანა. მადრიდელთა კარს კი **ლოპესი** იცავდა, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაში მესამე მატჩი ჩაატარა.

ფერგიუსონმა აქცენტი შემტევ ფეხბურთზე გააკეთა და ძირითად შემადგენლობაში **კაგავას, უელბეკის, რუნისა** და **ვან პერსის** სახით ოთხი მხოლოდ შეტევაზე ორიენტირებული ფეხბურთელი გაამწესა. ფერგის ტრავმების გამო **იანგი** და **სქოულზი** დააკლდნენ. სამაგიეროდ, სასტარტოში ვიხილეთ **ევანსი** და **ჯონსი**.

### გოლები

**0:1 უელბეკი (20):** რუნიმ კუთხური ჩააწოდა, ლოპესმა კარი უაზროდ დატოვა, **რამოსმა** უელბეკს ხელი ვერ შეუშალა და ამ უკანასკნელმა მადრიდელთა კარში ბურთი თავით გადაგზავნა.

**1:1 რონალდო (30):** მარცხენა ფრთიდან **დი მარიას** მოხდენილ ჩაწოდებას **კრიშტიანო რონალდო** გამოეხმაურა: პორტუგალიელი მოხდენილად ახტა და ბურთი **დე ხეას** კარის მარჯვენა კუთხეში დაახლოებით რვა მეტრიდან, თავური დარტყმით გადაგზავნა. **ევრა** არც ამხტარა, პორტუგალიელს კი მშვენიერი გოლი (რიგით მეშვიდე ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში) გამოუვიდა.

**გმირი**

**დავიდ დე ხეა (მანჩესტერ იუნაიტედი)**

მანკუნიანელთა ესპანელი მეკარე პირველ ტაიმში, ჩაწოდებების დროს კარიდან გამოსვლისას ორჯერ შეცდა და თითქოს თავდაჯერება აკლდა, მაგრამ ხაზზე შესანიშნავად თამაშობდა. დე ხეამ უმეტესად ბრწყინვალე რეფლექსებით ათი დარტყმა მოიგერია, განსაკუთრებით ეფექტური კი ის სეივი გამოუვიდა, რომლითაც **კოენტრაოს** არ გაატანინა. მატჩის წინ ვწერდით, რომ ესპანელს ფერგიუსონისთვის თავისი შესაძლებლობები ბოლომდე არ ჰქონდა დამტკიცებული და წესით, სერ ალექსი ამ მატჩის მერე მაინც უნდა დარწმუნდეს, რომ მისი სახით ბრწყინვალე მეკარე ჰყავს.

**ანტიგმირი**

**რაფაელ და სილვა (მანჩესტერ იუნაიტედი)**

„იუნაიტედის“ მარჯვენა მცველმა კარიერის ერთ-ერთი უსუსტესი თამაში ჩაატარა. მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვისთან მოუწევდა ორთაბრძოლა, **რაფაელი** თითქმის ყოველთვის წაგებული რჩებოდა. ამასთან, არაერთი არაზუსტი პასი გააკეთა და ყვითელი ბარათიც მიიღო.

### მსაჯი

გერმანელმა **ფელიქს ბრიხმა** ვან პერსის გაფრთხილებისას ოდნავ გადაამეტა. სამაგიეროდ, სწორი იყო მისი გადაწყვეტილება მანჩესტერელთა კარში პენალტის არდანიშვნაზე ჯონსისა და დი მარიას ორთაბრძოლის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ კუთხური, რომელსაც „რეალის“ კარში გოლი მოჰყვა, არ უნდა დანიშნულიყო, რადგან ბურთს უკანასკნელად არა რამოსი, არამედ კაგავა შეეხო.

### მწვრთნელები

ბოლო დროს მოურინიო დი მარიას ხშირად აკრიტიკებდა, მაგრამ „მანჩესტერთან“ უმნიშვნელოვანეს მატჩში მაინც ენდო და დი მარიამ ძალიან კარგად ითამაშა. სამაგიეროდ, არ ჩანდა **ქარიმ ბენზემა**, რომელიც ჟოზემ მე-60 წუთზე შეცვალა, მაგრამ **გონსალო იგუაინმაც** ვერაფერი გააწყო.

ფერგიუსონმა სასტარტოში ოთხი შემტევის დაყენება გარისკა. მათ შორის იყო შინჯი კაგავაც, მაგრამ იაპონელს ეტყობოდა, რომ იძულებითი პაუზის შემდეგ საუკეთესო სპორტულ ფორმაში არ არის. შესაბამისი იყო ფერგის რეაქციაც, რომელმაც ერთი საათის შემდეგ, კაგავას ნაცვლად მოედანზე უბერებელი **გიგზი** გამოიყვანა.

### რაც თვალში მოგვხვდა

- მადრიდელებმა თავიდანვე მედგრად შეუტიეს, მოედნის ცენტრს მოკლე პასებით სწრაფად კვეთდნენ და პირველ შვიდ წუთში დე ხეას კარისკენ ხუთჯერ დაარტყეს.
- „იუნაიტედის“ რგოლებს შორის თავიდან დიდი სივრცეები იყო, რაფაელს კი თავდაჯერება აკლდა.
- მადრიდელები პრესინგს მიმართავდნენ და მანჩესტერელებს ვან პერსისკენ მაღალი ბურთების გადაგზავნას აიძულებდნენ, თუმცა ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა ვარანსა და სერხიო რამოსს რამდენიმე ორთაბრძოლა მოუგო.
- „რეალმა“ პირველ ტაიმში თამაში მაღალ ტემპში წარმართა და მიზანმიმართულად უტევდა, მანჩესტერელები კი შეტევიდან დაცვაზე გადართვას აგვიანებდნენ და მადრიდელებმა დე ხეას კარისკენ პირველ ტაიმში 16-ჯერ ამიტომაც დაარტყეს.
- რაკი მანჩესტერელთა შემტევი კვარტეტიდან უკანახაზელებს მხოლოდ რუნი ეხმარებოდა, საყრდენები, ჯონსი და **კერიკი** მოედნის ცენტრში უმეტესად რიცხვობრივ უმცირესობაში იყვნენ და „რეალის“ სწრაფ იერიშებთან გამკლავება უჭირდათ.
- რონალდომ ყოფილი თანაგუნდელების წინააღმდეგ საკმაოდ კარგად ითამაშა. ვერ ვიტყვით, რომ პორტუგალიელმა კარიერის საუკეთესო მატჩი ჩაატარა, მაგრამ საერთო ჯამში, დე ხეას კარისკენ 11-ჯერ დაარტყა, გოლიც მან გაიტანა და შესაბამისად, მადრიდელთაგან ყველაზე სახიფათო იყო.
- „რეალი“ ბოლოს აშკარად დაიღალა. ყოველ შემთხვევაში, მოურინიოს გუნდი ისე ეფექტურად ველარ უტევდა. თუმცა „სამეფო გუნდი“ მეორე გოლის გატანას ბოლო წუთამდე ცდილობდა. საერთო ჯამში, „რეალმა“ მართლა კარგად ითამაშა, მაგრამ მოურინიოს ბიჭებმა მომენტები ვერ გამოიყენეს და ამიტომაც დასჯერდნენ ფრეს.

### დასკვნა

„რეალი“ ფაქტობრივად მთელი მატჩის განმავლობაში დომინირებდა და საპასუხო მატჩისთვის გაცილებით უკეთესი მდგომარეობის შექმნა შეეძლო. მანჩესტერელები კი პირველ რიგში დე ხეას უნდა უმადლოდნენ, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ რომ არ წააგეს. ფაქტია, რომ საპასუხო შეხვედრა გაცილებით საინტერესო იქნება.

# ბორუსია მეოთხედფინალში ჩანს

## თუმცა შახტარს გოლების გატანა დორტმუნდშიც შეუძლია!

**„დონბას არენაზე“ სანახაობრივ თამაშს ველოდით და მოლოდინი გამართლდა: ვინც „შახტარისა“ და „დორტმუნდის“ დაპირისპირებას უყურა, ნაღდად არ ინანებდა. ეფექტურ 4 გოლთან ერთად, სწრაფი ტემპი, ბრძოლა და ტექნიკური ფეხბურთი ვნახეთ, საბოლოო ანგარიში კი ლოგიკურია. ეს 2:2 „დორტმუნდს“ საპასუხო მატჩისთვის თითქოს უპირატესობას ანიჭებს, მაგრამ „შახტარს“ „ვესტფალენშტადიონზეც“ შეუძლია გოლების გატანა...**

**შახტარი–ბორუსია (დ) 2:2**

**გოლები:** 1:0 სრნა (31), 1:1 ლევანდოვსკი (41), 2:1 დუგლას კოშტა (68), 2:2 ჰუმელსი (87)

**შახტარი (4-2-3-1):** პიატოვი - სრნა, ჩიგრინსკი, რაკიცკი, რატი - ფერნანდინიო, ჰიუბშმანი - ალექს ტეიშეირა (83. ედუარდო), მხითარიანი, ტაისონი (62. დუგლას კოშტა) - ლუის ადრიანო.

**ბორუსია /დ/ (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - პიშჩეკი, ფელიპე სანტანა, ჰუმელსი, შმელცერი - კელი, ს. ბენდერი - ბლაშჩიკოვსკი (80. ლაიტნერი), გიოტცე, როისი (91. შიბერი) - ლევანდოვსკი.

**გაფრთხილება:** ფერნანდინიო

**მაყურებელი:** 49 140

### რეაქციები

მირჩა ლუჩესკუ („შახტარის“ მთავარი მწვრთნელი): *„ამ თამაშის მოგება ძალიან გვინდოდა და სამწუხაროა, რომ მიზანს ვერ მივაღწიეთ. „დორტმუნდი“ დღესაც იდეალურად ორგანიზებული გუნდი იყო და ფიზიკურადაც გამძლე კოლექტივი გამოდგა. ამასთან, გერმანელები საკმაოდ აგრესიულად გვეთამაშებოდნენ და მთელ რიგ მომენტებში წნეხის ქვეშ მოგვაქციეს. პლეი ოფებში საკუთარ მოედანზე უხვგოლიანი ფრე ცუდი შედეგია, მაგრამ საკმარისი დრო გვაქვს იმისათვის, რომ შეცდომებზე ვისწავლოთ და საპასუხო შეხვედრისთვის სათანადოდ მოვემზადოთ.“*

**იურგენ კლოპი („ბორუსიას“ მთავარი მწვრთნელი):** *„კარგი ფეხბურთი ვაჩვენეთ და მხოლოდ ორი შეცდომა დავუშვით. ცუდი ისაა, რომ ორივე შეცდომას ჩვენს კარში გოლები მოჰყვა. როცა 0:1-ს აგებ, ნერვიულობა არ შეიძლება. მიუხედავად ამისა, ანგარიში მაინც გავათანაბრეთ და სერიოზული პრობლემები არ შეგვქმნია. კატასტროფული შედეგი არც 1:2 იქნებოდა, 2:2 კი ძალიან კარგია.“*

**სებასტიან კელი („ბორუსიას“ კაპიტანი):** *„შახტარი“ ძალიან კარგად შეთამაშებული, ტექნიკური და მებრძოლი გუნდია. შესაბამისად, 2:2 აბსოლუტურად მისაღები შედეგია, თუმცაღა მოგებაც შეიძლებოდა. მჯერა, რომ მეოთხედფინალში გასვლას შევძლებთ.“*

### შემადგენლობები

„ანჟიში“ გაყიდული **ვილიანი** „შახტარში“ **ტაისონმა** შეცვალა, რომელიც ძალიან საინტერესო ფეხბურთელი ჩანს. ლუჩესკუს ცენტრალური მცველი **კუჩერი** დისკვალიფიკაციის გამო აკლდა, დორტმუნდელებს კი **სუბოტიჩი, გროსკროიტცი** და **გიუნდოგანი** არ ჰყავდათ. ამრიგად, **იურგენ კლოპმა** ძირითადი შემადგენლობა წამყვანი ფეხბურთელებით კი შეაკოწიწა, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის დონის მოთამაშეები სათადარიგოთა სკამზე აღარ დარჩა (თუ არ ჩავთვლით **ნური შაჰინს**, რომელიც ჯერ არ არის საუკეთესო ფორმაში).

**გმირი**

**სებასტიან კელი (ბორუსია)**

დორტმუნდელთა კაპიტანი სამაგალითო გახლდათ. გამოცდილი საყრდენი ბურთს 80-ჯერ შეეხო და ორთაბრძოლების 68 პროცენტი მოიგო. **კელი სვენ ბენდერთან** ერთად მოედნის ცენტრს კარგად აკონტროლებდა და დონეცკელების არაერთი იერიში ჩაშალა.

**ანტიგმირი**

**იაკუბ ბლაშჩიკოვსკი (ბორუსია)**

პოლონელი ნახევარმცველი თავის მოვალეობს ვერ ასრულებდა, რის გამოც **მარიო გიოტცეს** არაერთხელ მოუხდა მარჯვენა ფლანგზე გადასვლა. „კუბა“ დაცვაში რომ ყოფილიყო შეუდარებელი, მაშინ გავამართლებდით, მაგრამ ფაქტია, რომ მარჯვენა მცველ **ლუკაშ პიშჩეკსაც** ვერ ეხმარებოდა. სანამ შეცვლიდნენ, სხვა დროს ერთ-ერთი ყველაზე აქტიური და შედეგიანი პოლონელი ბურთს მხოლოდ 37-ჯერ შეეხო და ორთაბრძოლების ოდენ 33 პროცენტი მოიგო. დონეცკელთაგან კი ყველაზე სუსტი **ჰენრიხ მხითარიანი** გახლდათ.

აქვე ვთქვათ: **მატს ჰუმელსს** ანგარიში რომ არ გაეთანაბრებინა, ანტიგმირად სწორედ მას დავასახელებდით, რადგან **დუგლასის** გოლის დროს პოზიციური შეცდომა დაუშვა.



ლუის ადრიანოსა და მატს ჰუმელსის ორთაბრძოლა

### მსაჯი

ინგლისელი **ჰოვარდ ვები** მოედანზე განვითარებულ მოვლენებს სრულად აკონტროლებდა და ფაქტობრივად უშეცდომოდ იმსაჯა.

### მწვრთნელები

ლუჩესკუმ ტაისონი მოედნიდან მალევე გაიყვანა, რაც ერთობ გასაკვირია, რადგან ეს უკანასკნელი „შახტარში“ ერთ-ერთი ყველაზე აქტიური იყო. სამაგიეროდ, მირჩამ **დუგლას კოშტას** შემოყვანით დაამტკიცა, რომ „კარგი ყნოსვა აქვს“.

კლოპი დაცვაში მაინც **ფელიპე სანტანას** ენდო, რადგან ამ უკანასკნელს ბოლო დროს სათამაშო პრაქტიკა ჰქონდა, ნახევარდაცვის ცენტრში კი შაჰინი მაინც არ გაამწესა და ისევ კელისა და ბენდერის სოლიდურ, მაგრამ არაკრეატიულ წყვილს დაეყრდნო. იურგენმა პირველი ცვლილება მე-80 წუთზე გააკეთა, რადგან სკამზე დიდი არჩევანი არ ჰქონდა.

### დასკვნა

ამ მატჩმა დაგვარწმუნა, რომ გერმანიის ჩემპიონი უკრაინისას სჯობია, მაგრამ „შახტარს“ გოლების გატანა დორტმუნდშიც შეუძლია. ერთი სიტყვით, საპასუხო მატჩი ძალიან საინტერესო იქნება.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ევროპალიგა. 1/16 ფინალი. I მატჩები

# შოკი მადრიდსა და ნეაპოლში

## ტიტული ვაკანტური ხდება, კავანი ბომბარდირობაზე ოცნებას უნდა შეეშვას



ტოტენჰემმა-ლიონი. გარეთ ბეილმა ორივე გოლი ჯარიმიდან გაიტანა

დღის ყველაზე დიდი მოულოდნელობა სამხრეთ იტალიაში მოხდა - **ვალტერ მაცარის** „ნაპოლი“ ჩეხურ „პლზენთან“ შერცხვა - 0:3. არადა, იტალიელთა რიგებში თამაშობდა მიმდინარე გათამაშების ბომბარდირი **ედინსონ კავანი** (7 გოლი). არანაკლები დაემართა თასის მფლობელ „ატლეტიკოს“, **დიეგო სიმეონეს** გუნდს „ვისენტე კალდერონზე“ ნახევარი თამაში 10 კაცით მოთამაშე „რუბინმა“ 2:0 მოუგო. სხვათა შორის, მეორე ბურთი ესპანელებს ესპანელმა **პაბლო ორბაისმა** გაუტანა 94-ე წუთზე.

სანკტ პეტერბურგში 0:2 დამარცხდა **ბრენდან როჯერსის** „ლივერპული“ და მერვედფინალში გასვლის ცუდი პერსპექტივა აქვს. ჰოლანდიურმა „აიაქსმა“ კი დამაჯერებელი ნაბიჯი გადადგა ფინალისკენ, რომელიც „ამსტერდამ არენაზე“ გაიმართება - „სტიაუა“ 2:0 დაამარცხა. „ლევანტემ“ შავი დღე აყარა **მიჩელის** „ოლიმპიაკოსს“ - 3:0. მილანის „ინტერმა“ **როდრიგო პალასიოს** დუბლით მოუგო "კლუჟს". დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ **გარეთ ბეილი** ნახევარი „ტოტენჰემია“, მისი დუბლის წყალობით ლონდონელებმა დღის ყველაზე საინტერესო წყვილში „ლიონი“ 2:1 დაამარცხეს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| | |
|---|---|
| **ანჟი (რუსეთი)– პანმუერი (გერმანია)** | **3:1** |

**გოლები:** 0:1 ჰუშტი (23), 1:1 ეტოო (34), 2:1 აჰმედოვი (48), 3:1 ბუსუფა (64)

| | |
|---|---|
| **ზენიტი (რუსეთი)– ლივერპული (ინგლისი)** | **2:0** |

**გოლები:** 1:0 ჰალკი (69), 2:0 სემაკი (72)

| | |
|---|---|
| **ბატე (ბელარუსი)– ფენერბაჰჩე (თურქეთი)** | **0:0** |

**გაძევება:** მეირელეში (4. ფენერბაჰჩე)

| | |
|---|---|
| **დინამო (უკრაინა)– ბორდო (საფრანგეთი)** | **1:1** |

**გოლები:** 1:0 ჰარუნა (20), 1:1 ობრანიაკი (23)

| | |
|---|---|
| **ლევანტე (ესპანეთი)– ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)** | **3:0** |

**გოლები:** 1:0 რიოსი (10), 2:0 ბარკერო (40-პენ), 3:0 მარტინსი (56)
**გაძევება:** აბდუნი (29. ოლიმპიაკოსი)

| | |
|---|---|
| **სპარტა (ჩეხეთი)– ჩელსი (ინგლისი)** | **0:1** |

**გოლი:** 0:1 ოსკარი (82)

| | |
|---|---|
| **ნაპოლი (იტალია)– პლზენი (ჩეხეთი)** | **0:3** |

**გოლები:** 0:1 დარიდა (28), 0:2 რაიტორალი (79), 0:3 ტედი (90)

| | |
|---|---|
| **აიაქსი (ჰოლანდია)– სტიაუა (რუმინეთი)** | **2:0** |

**გოლები:** 1:0 ალდერბვეირელდი (28), 2:0 ვან რეინი (49)

| | |
|---|---|
| **ლევერკუზენი (გერმანია)– ბენფიკა (პორტუგალია)** | **0:1** |

**გოლი:** 0:1 კარდოსო (61)

| | |
|---|---|
| **ატლეტიკო (ესპანეთი)– რუბინი (რუსეთი)** | **0:2** |

**გოლები:** 0:1 კარადენიზი (6), 0:2 ორბაისი (94)
**გაძევება:** შარონოვი (45. რუბინი)

| | |
|---|---|
| **მიონხენგლადბახი (გერმანია)– ლაციო (იტალია)** | **3:3** |

**გოლები:** 1:0 შტრანცლი (17-პენ), 1:1 ფლოკარი (57), 1:2 კოზაკი (64), 2:2 მარქსი (84-პენ), 3:2 არანგო (88), 3:3 კოზაკი (94)
**გაძევება:** დიასი (69. ლაციო)

| | |
|---|---|
| **ინტერი (იტალია)– კლუჟი (რუმინეთი)** | **2:0** |

**გოლები:** 1:0 პალასიო (20), 2:0 პალასიო (87)

| | |
|---|---|
| **ტოტენჰემი (ინგლისი)– ლიონი (საფრანგეთი)** | **2:1** |

**გოლები:** 1:0 ბეილი (45), 1:1 უმტიტი (55), 2:1 ბეილი (92)

| | |
|---|---|
| **შტუტგარტი (გერმანია)– გენკი (ბელგია)** | **1:1** |

**გოლები:** 1:0 გენტნერი (42), 1:1 პლეტი (90)

| | |
|---|---|
| **ბაზელი (შვეიცარია)– დნეპრო (უკრაინა)** | **2:0** |

**გოლები:** 1:0 შტოკერი (23), 2:0 შტრელერი (67)

| | |
|---|---|
| **ნიუკასლი (ინგლისი)– მეტალისტი (უკრაინა)** | **0:0** |

ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა



### ჩელსიში გულიტის ორეული თამაშობს

„ჩელსის“ სარეზერვო გუნდში თამაშობს 17 წლის ჰოლანდიელი **ნათან აკე**, რომელიც გაჭრილი ვაშლივით ჰგავს... **რუუდ გულიტს**.

ნათან აკეს უკვე ჰქონდა დებიუტი „ჩელსის“ პირველ გუნდში „ბოქსინგ დეიზე“. ის ძალიან ნიჭიერია და ძალიან ჰგავს სახელოვან თანამემამულეს. მან „ნორვიჩთან“ მატჩში ხუან მატა შეცვალა. ჰოლანდიის 19-წლამდელთა ნაკრების კაპიტანს სულ სხვა ამპლუა აქვს, ვიდრე გულიტს - ის ცენტრალური მცველია და მისაბაძ მაგალითად სულ სხვა ფეხბურთელს - **დავიდ ლუისს** მიიჩნევს.

### ვილია ისევ საავადმყოფოში მოხვდა

უკვე ვწერდით, რომ „ბარსელონას“ 31 წლის ფორვარდი **დავიდ ვილია** თირკმელში კენჭის გავლის შეტევის გამო საავადმყოფოში მოხვდა.

„ელ გუახე“ ოთხშაბათს გამოწერეს კლინიკიდან, თითქოს, ვარჯიშიც დაიწყო, მაგრამ ვილიამ ისევ იგრძნო ტკივილი და 14 თებერვალს საავადმყოფოში შეაბრუნეს.

რადგან შეტევა განმეორდა, ვილია ექიმთა მეთვალყურეობის ქვეშ იქნება და „გრანადასთან“ თამაშს აუცილებლად გამოტოვებს.

### რიბერი და აბეზარი ფანი

13 თებერვალს მიუნხენის „ბაიერნის“ ბაზაზე ინციდენტი მოხდა, ფრანგ **ფრანკ რიბერის** გასახდელში უცხო მამაკაცი შეუვარდა. ბავარიული კლუბის ბაზაზე, საბენერ შტრასეზე მავანი ფანი დაცვას რიბერის ახლობლად გაეცნო, ის შეუშვეს, შემდეგ კი შეხლა-შემოხლას ჰქონდა ადგილი.

*„გასახდელში დავბრუნდი და ვხედავ ჩემს ადგილას ვიღაც უცხო ზის. ვკითხე, ვინ ხარ და რა გინდა-თქო, მან მიპასუხა, რომ ჩემთან ლაპარაკი სურდა. ის ძალიან დამწუხრებულად გამოიყურებოდა, მართალია, არ შემშინებია, მაგრამ მცირე შოკი კი მივიღე. არა, ცუდი ბიჭი სულაც არ ჩანდა, მაგრამ, წარმოიდგინეთ, თან დანა რომ ჰქონოდა"?* - განუცხადა ფეხბურთელმა „ეკიპს“.

რიბერიმ დაცვას განუცხადა, რომ არ იცნობდა ამ ადამიანს და დაუპატიჟებელი სტუმარიც ბაზიდან გაათრიეს, ფანი მათ წინააღმდეგობას უწევდა. შემდეგ დაცვის წევრებმა ისიც გაიხსენეს, რომ 2 კვირის წინათაც ნახეს ეს კაცი ბაზაზე, შეშვებას ითხოვდა, ძაღლთან ერთად იყო მისული და ამბობდა, რომ ძაღლი რიბერისთვის უნდა ეჩუქებინა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



# TimeLine

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა და აკუმულატორი



1993 წელი. ბოლის გოლი


1998 წელი. დუბლის ავტორი კარლ ჰაინც რიდლე


1999 წელი. სოლსკიაერის ოქროს გოლი


2000 წელი. ზიდანის დარტყმა და რეალმა ლევერკუზენი დაამარცხა

ჩემპიონთა ლიგამ ზამთრის ძილისგან გამოიღვიძა. გურმანების ენაზე რომ ვთქვათ, ოთხშაბათს დავაგემოვნეთ კახურ ხაშლამასავით გემრიელი მატჩი - „რეალი"-"მანჩესტერი", რომლის შემდეგაც ორივე გუნდის ქომაგს დაუკმაყოფილებლობის გრძნობა დარჩებოდა. ვითომ, მარილი დააკლდა? არა - ცოტა იყო! ჰოდა, მოვითმინოთ 5 მარტამდე. ამ დღეს, განმეორებით შეხვედრაში „მანჩესტერი" „რეალს" უმასპინძლებს.

მადრიდულ-მანჩესტერული დაპირისპირება ყოველთვის მარილიანია, მსოფლიოს კლასიკადაა ქცეული 2000 წლის ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალური მატჩი. პირველი ორთაბრძოლის პერიპეტიები ნამდვილად აღარ მახსოვს (ალბათ იმიტომ, რომ 0:0 დასრულდა), მეორე შეხვედრაში კი ინგლისში მადრიდელებმა 3:2 გაიმარჯვეს. ახლაც თვალწინ მიდგას რეალელი ფერნანდო რედონდოს ქუსლური პასი. ასაკოვნებს უყვართ ასე გახსენება: მაშინ სულ სხვა დრო იყო, „რეალიც" რეალობდა, უფრო შემტევი, სანახაობრივი იყო, მორიენტესი-რაულის დუეტის ხილვა ერთ რამედ ღირდა.

ფეხბურთის მოყვარულთა იმ კატეგორიას განვეკუთვნები, გუნდებს არა სახელის, არამედ სათამაშო სტილის მიხედვით რომ აფასებენ. აქედან გამომდინარე ახლა „ბარსელონა" უფრო მომწონს. შარშან, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალის პირველი შეხვედრების შემდეგ რედაქციაში ვთქვი: თუ ფინალში „ჩელსი" და „ბაიერნი" გავლენ, არ ვუყურებ-მეთქი. არადა, მაშინ პირველ შეხვედრებში „ჩელსის" „ბარსელონა" ჰყავდა დამარცხებული (1:0), „ბაიერნს" - „რეალი" (2:1). გერმანელებისა და ბრიტანელების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, უბრალოდ ვერ წარმოვიდგენდი, რომ ვერც „ბარსა" აღმოფხვრიდა 0:1-ს და ვერც „რეალი" - 1:2-ს. საბოლოოდ ასეც მოხდა და სიტყვა შევასრულე: ჩემპიონთა ლიგის ფინალისას ვიჯექი კომპიუტერთან ყურებჩამოყრილი და ბოლოსლა შევიტყვე, რომ საინტერესო ორთაბრძოლაში ლურჯებმა იმარჯვეს. ბევრი დავკარგე.

შეიძლება ვინმესთვის არაფერს ნიშნავდეს ჩემპიონთა ლიგის ფინალის გამოტოვება, მაგრამ ჩემთვის იოლი არ იყო. თავად განსაჯეთ: 1993 წლის შემდეგ ერთი ფინალიც არ გამომიტოვებია. ახლაც თვალწინ მიდგას „მარსელი"-"მილანის" შეხვედრაში (1993 წელს) ბაზილ ბოლის გოლი. განსაკუთრებით კი მარსელის თეთრ-ცისფერ მაისურში გამოწყობილი რუდი ფიოლერი მახსენდება. სხვათა შორის, ფიოლერისა და კლინსმანის ხათრით გერმანიასაც ვქომაგობდი, მაგრამ...

ერთი ახლო მეგობარი მყავს, გერმანიის ისეთი გულშემატკივარია, მასთან კამათისას ყოველთვის მტყუანი გამოვდივარ. სწორედ ის ქომაგობდა 1998 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალში დორტმუნდის „ბორუსიას". ოთახში ათამდე გულშემატკივარი ვიყავით და ერთის გარდა ყველა ტურინის „იუვენტუსის" მოგებაში ვიყავით დარწმუნებულნი. დელ პიეროს კინკილა, მაგრამ ეფექტური გოლი რიკენის ერთმა და რიდლეს დუბლმა გადაფარა და „ბორუსიამ" „იუვეს" ჩემპიონთა თასი ცხვირწინ აანაპნა 3:1. მატჩის შემდეგ ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა, დანარჩენების დასამშვიდებლად ბრაზილიის თავგადაკლულმა, 45-50 წლის ქომაგმა (იმ დღეს „იუვეს" მხარეს იყო) თქვა: არა უშავს, ნეხვი, შეიძლება ათ წელიწადში ერთხელ აყვავდესო. თანატოლი პროფესორისგან პასუხად მიიღო: რამდენიმე ათეული წელია გიცნობ და ერთხელაც არ აყვავებულხარო...

ალბათ გასაგებია, 90-იან წლებში მეგობარ-მეზობლები რატომ იკრიბებოდნენ - სინათლე ან არ იყო, ან შუა მატჩისას ქრებოდა. ჰოდა, იქ მივდიოდით, სადაც ტელევიზორი აკუმულატორზე ირთვებოდა. მეც მქონდა ასეთი შავ-თეთრი ყუთი, ვგონებ „ელექტრონიკა" ეწერა. ვინ მოთვლის მის შიშხინში რამდენი მატჩი გვაქვს ნანახი. მაგალითად, 1999 წლის ლიგის ფინალი, „მანჩესტერმა" „ბაიერნს" მსაჯის მიერ წამატებულ წუთებზე შერინგემისა და სოლსკიაერის გოლების წყალობით 2:1 რომ სძლია. ესეც კლასიკაში ჩაეწერა, ოღონდ მაშინ ემოცია სათანადოდ ვერ გამოვხატე, რადგან გერმანიის კიდევ


2005 წელი. ლივერპულმა 0:3 შემოატრიალა

ერთ ქომაგთან ერთად ვუყურებდი და ვერ წარმოიდგენთ, როგორ განიცადა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ „ბაიერნმა" მაშინ მთელი შეხვედრა სტაბილურად ჩაატარა და მის გამარჯვებაში ეჭვი, ალბათ, აღარც მანჩესტერელებს ეპარებოდათ... შერინგემისა და სოლსკიაერის გარდა.

სხვათა შორის, იმავე წელს, ჩემს „ელექტრონიკას" ანტენიდან წამოსული ნაპერწკლის გამო ცეცხლი გაუჩნდა და „ბაიერნის" საჩემპიონო იმედივით ჩაიფერფლა.

კიდევ ერთი, სწორედ 1998-99 წლების სეზონში ქართველები ყველაზე ახლოს ვიყავით ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპთან, მაგრამ თბილისში 2:1 (გოლები: ხომერიკი, ცქიტიშვილი) მოგების შემდეგ „დინამომ" ბასკეთში „ატლეტიკთან" 0:1 დათმო და მას მერე ლიგის ჯგუფს ასე ველარ მივუახლოვდით.

...თუმცა ქართველებისთვის ეს შეჯიბრება უცხო არ იყო. კახა კალაძემ სულაც ორჯერ აღმართა ჩემპიონთა თასი - 2003 და 2007 წლებში („მილანის" მაისურით). მესამედაც უნდა მოეგო, მაგრამ შუქი ჩაქრა... ახლავე გაგარკვევთ: 2005 წელს „მილანმა" გზიდან ჯერ „ინტერი" ჩამოიცილა, შემდეგ „ეინდჰოვენი" და ფინალში „ლივერპულს" შეხვდა. იტალიელებმა პირველი ტაიმი. შთამბეჭდავად ჩაატარეს, მალდინისა და კრესპოს (2) გოლებით 3:0 დაწინაურდნენ. მსაჯმა შესვენება გამოაცხადა თუ არა, სინათლე ჩაქრა. დიდხანს ველოდე, სიბნელეში ისტორია გადავქექე, ვთქვი, „ანდერლეხტმა" შესაძლოა 3:0 დაწინაურების შემდეგ „ვერდერთან" 3:5 წააგოს, მაგრამ „მილანი" ასეთ უპირატესობას როგორ გაანიავებს-მეთქი და დასაძინებლად დავწექი.

მეორე დილას გაზეთის პირველ გვერდზე ჩემპიონთა თასით „ლივერპულის" ფეხბურთელები იწონებდნენ თავს. თურმე, ბრიტანელებს „შუქის ჩაქრობით უსარგებლიათ" და მეორე ტაიმში 3 გოლი გაუტანიათ, ხოლო პენალტების სერიაში „მილანი" 3:2 დაამარცხეს.

სპორტულ თემას გადავუხვევ: გერმანიიდან საქართველოში სტუმრად ბავშვი ჩამოიყვანეს. იგი იმდენად მიეჩვია უწინდელ ქართულ ყოფას, რომ გერმანიაში დაბრუნების შემდეგ ონკანში წყალო რომ დაინახა, გახარებულმა დაიძახა - დედა სწრაფად, ჭურჭელი წყლით ავავსოთ, თორემ დაწყდებაო...

ვფიქრობ და ძალიან მაინტერესებს, რას დაწერდა გერმანელი ჟურნალისტი ჩემს ადგილას? ვერც შიშხინა ტელევიზორს ახსენებდა, ვერც აკუმულატორს, მაგრამ გგონიათ მის სტატიას მარილი დააკლდებოდა? არა, ბატონო - გაიხსენებდა, ათენის ოლიმპიურ სტადიონზე 1994 წელს როგორი ემოციებით უყურა ჩემპიონთა ლიგის ფინალს „მილანსა" და „ბარსელონას" შორის (4:0), შოტლანდიელთა გარემოცვაში პრესლოჟიდან როგორ ნახა 2000 წლის ფინალში ზიდანის გოლი-შედევრი („რეალი"-"ლევერკუზენი" 2:1) და ა.შ.

ქართველი NBA-ში

## ქორებმა ორლანდოსთან გაინავარდეს

**ზაზა ფაჩულიამ** ყოფილი კლუბის „ორლანდო მეჯიქის" წინააღმდეგ ფლორიდაში ითამაშა და შინ ამაღლებული განწყობით გაბრუნდა. ზაზას „ატლანტამ" მეორე პერიოდიდან საგრძნობი უპირატესობა მოიპოვა და საბოლოოდ 108:76 გაიმარჯვა.

ქართველმა ცენტრმა 17 წუთი ითამაშა და ნაყოფიერადაც იშრომა. მის ანგარიშზე 8 ქულა, 6 მოხსნა და 1 შედეგიანი გადაცემაა. „ჰოქსის" გამარჯვებაში 30 ქულიანი წვლილი შეიტანა **ჯოშ სმიტმა**, ხოლო 26 ქულა ჩააგდო **ელ ჰორფორდმა.**

ჯორჯიელები მომდევნო შეხვედრას 20 თებერვალს ჩაატარებენ - „მაიამის" უმასპინძლებენ. მანამდე კი NBA-ში ყველა იმ კალათბურთელთათვის, ვინც „ოლ სტარში" არ მიიღებს მონაწილეობას, დასვენებაა გამოცხადებული.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო
GEORGIA

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის განცხადება

საქართველოს ოლიმპიური კომიტეტისთვის, ქართული სპორტული საზოგადოებრიობისთვის, სპორტის გულშემატკივრებისთვის მეტად მოულოდნელი და სამწუხარო იყო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება ჭიდაობის სახეობების (თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) ოლიმპიურ პერსპექტივასთან დაკავშირებით. 2013 წლის 12 თებერვალს მიღებული დადგენილების თანახმად, სოკ-ის აღმასრულებელმა საბჭომ, სპეციალური კომისიის დასკვნის საფუძველზე, რეკომენდაციით მიმართა სოკ-ის 125-ე სესიას, სპორტის ძირითადი ოლიმპიური სახეობის რიგებიდან, შესაბამისად კი - 2020 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამიდან ამოიღოს თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.

როგორც ირკვევა, ამგვარი რეკომენდაციის მიღებისას, სოკ-ის აღმასრულებელმა საბჭომ გაითვალისწინა მსოფლიოს ცალკეულ ქვეყნებში ჭიდაობის სახეობების თითქოსდა დაბალი პოპულარობა და სატელევიზიო რეიტინგი, ბილეთების რეალიზაციასთან, დოპინგის გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემები, ასევე სხვა მეტ-ნაკლებად აქტუალური საკითხები.

ჩვენი აზრით, ამ საკითხთა რიგში ასევე შედის ჭიდაობის მაღალჩინოსნების და მსაჯების კორუფციულ გარიგებებში შესაძლო მონაწილეობა, დიდ შეჯიბრებებზე, მათ შორის - ოლიმპიურ თამაშებზე ალებმიცემობის გახშირებული, ოღონდ დაუდასტურებელი შემთხვევები, რისი მსხვერპლნიც, სხვებთან ერთად, არაერთხელ გამხდარან ქართველი სპორტსმენები. ამ და სხვა საჭირბოროტო პრობლემებს თავად ჭიდაობის სამყარომ უნდა მიხედოს და რაც შეიძლება სწრაფად მოაგვაროს.

მაგრამ აქვე გვინდა განვაცხადოთ, რომ ჭიდაობა, როგორც ტრადიციული, ანტიკური ოლიმპიური თამაშებიდან მოყოლებული ერთ-ერთი ძირითადი ოლიმპიური და ათეულობით ქვეყანაში, მათ შორის - საქართველოში მეტად გავრცელებული და პოპულარული სახეობა, რა თქმა უნდა, აუცილებლად უნდა დარჩეს ოლიმპიური თამაშების პროგრამაში.

ჩვენ გვჯერა, რომ სწორედ ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 125-ე სესია.

ახლო მომავალში იგეგმება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტების ოფიციალური შეხვედრა, სადაც ჩვენი სპორტის აქტუალურ საკითხებთან ერთად, სოკ-ის აღმასრულებელი საბჭოს 12 თებერვლის გადაწყვეტილებაზეც იქნება საუბარი.

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი**

®

რეგიონი. ინტერვიუ გურამ პაპიტაშვილთან

# შევისისხლხორცოთ ქართული ჭიდაობა!

**„ლელომ“ 2012 წლის საუკეთესო სპორტსმენის დაჯილდოებისას სხვადასხვა ნომინაციაში საუკეთესოებიც გამოავლინა. მათ შორის იყო „ქართული ძიუდოს პაპად“ წოდებული გურამ პაპიტაშვილი, რომელიც სპორტის ამ სახეობის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის დაჯილდოვდა. ამაგდარი სპეციალისტის შეხედულება ამა თუ იმ საკითხზე მუდამ გასათვალისწინებელია. ბატონი გურამი ინტერვიუზე ამჯერადაც სიამოვნებით დაგვთანხმდა. საუბრის დასაწყისში კი გვითხრა:**

- ძალიან დიდი მადლობელი ვარ თქვენი გაზეთის მხრიდან აღიარებისა, რადგან მე კარგად ვიცი, „ლელო“ რა გაზეთია და რა პასუხისმგებლობაა მისგან ჩემი დაჯილდოება. სამწუხაროდ, უშუალოდ ცერემონიალს ვერ დავესწარი, თუმცა შინ მივიღე ნომინაციაში გამარჯვებულისთვის განკუთვნილი ჯილდო. ასეთი დაფასების დროს მუდამ ვგრძნობ დიდ პასუხისმგებლობას და ვცდილობ კვლავაც გამოვადგე ქართულ სპორტს, ქვეყანას.

**- შარშან ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის მრჩეველთა საბჭოს წევრი იყავით, წლეულს სპორტის მინისტრმა ფიზიკური კულტურის მოღვაწეთაგან შემდგარი ასეთივე ბიუროს წევრად დაგასახელათ...**

- უახლოეს მომავალში სპორტის მინისტრთან შევიკრიბებით და ვიმსჯელებთ საქართველოში ფიზიკური კულტურის განვითარებაზე. ვფიქრობ, რომ ზრუნვა ამ მხრივ არის მოდუნებული და შევეცდებით ჩვენი წვლილი შევიტანოთ სწორი მიმართულების მიცემაში საბავშვო ბაღებიდან დაწყებული, უმაღლესო სასწავლებლებით დამთავრებული.

**- ბატონო გურამ, ძიუდოს წესებში განხორციელებულ ბოლო ცვლილებებს როგორ აფასებთ?**

- პირდაპირ ვამბობ, - ძალიან გახარებული ვარ! ამით მსოფლიო ძიუდოში იწყება სასიკეთო გარდატეხის პერიოდი. კარგია, რომ იაპონელებმა მაინც მიაღწიეს თავისას და ფეხში შესვლა აკრძალეს. როდესაც საბჭოთა კავშირსა და კერძოდ საქართველოში ძიუდო შემოვიდა, დღევანდელის დარი წესები მოქმედებდა. ფეხში შესვლა ევროპელების და აზიის ზოგიერთი ქვეყნის (მაგალითად, მონღოლეთი) წარმომადგენელთათვის მისაღები სტილი იყო და მათი ინიციატივით დაემატა ძიუდოს წესებში. არადა თავდაპირველად ძალიან ჰგავდა ქართულ ჭიდაობას. ავიღოთ თუნდაც 1962 წლის ევროპის ჩემპიონატის მაგალითი, როდესაც ესენში (გერმანია) ანზორ ქიბროწაშვილმა და ანზორ კიკნაძემ ჩემპიონის ოქროს მედლები მოიპოვეს. სსრკ-ის ნაკრებმა სპეციფიკური ვარჯიშები ძიუდოში იმ წლის იანვრიდან დაიწყო, შეჯიბრება კი მაისში ჩატარდა. ნაკრების შემადგენლობაში ყველა სამბისტი იყო, შულცი, დვოინიკოვი, ციპურსკი, სტეპანოვი და ქართველები - ქიბროწაშვილი, კიკნაძე. ჩვენები ყველაზე მალე და ოლად მოერგნენ ძიუდოს, რადგან იგი ძალიან ჰგავდა ქართულ ჭიდაობას, თორემ სამ თვეში რა უნდა ესწავლათ ჩვენებს ისეთი, რომ ევროპის ჩემპიონები გამხდარიყვნენ? სწორედ რომ, ქართულის გამო გახდნენ. 1964 წელს ასევე ევროპის ჩემპიონატზე დურმიშხან ბერუაშვილი თავისი ქართული ჭიდაობის ლალი, ესთეტიკური სტილით ეკვეთა ანტონ გეზინგს (ჰოლანდია). ჰოლანდიელი ნამდვილი გიგანტი და ყველა დროის ტიტულოვან ძიუდოისტთა შორისაა. ჩემი თვალით ვნახე ქედმოხრით როგორ ხვდებოდნენ მას იაპონელები. დურმიშხანი ისე ჩაეჭიდა გეზინგს, იფიქრებდით ხე უნდა მოჰგლიჯოს ფესვებიანადო, დააბორძიკა, მაგრამ ვერ გადააგდო.



გურამ პაპიტაშვილი

**ფალავნებს მივმართავდი: ახლა უკვე, ვინც კარგად იცის ქართული ჭიდაობა, ის კარგი ძიუდოისტიცაა, ამიტომ შეისისხლხორცეთ ჩვენი ეროვნული საჭიდაო სახეობა!**

ჰოლანდიურ პრესაში გამოქვეყნებულ მისი და ბერუაშვილის შეხვედრისადმი მიძღვნილ წერილს კი სათაურად ჰქონდა: „გეზინგის ტახტი შეირყა“! ჩვენი ძველი ფალავნები სწორედ ქართულ ჭიდაობაზე დაყრდნობით ჭიდაობდნენ, თუნდაც შოთა ჩოჩიშვილის მიერ მიუნხენის ოლიმპიადაზე განვლილი გზის გახსენება რად ღირს. მეორე მხრივ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენს ფალავნებს „ფეხიდან ჭიდაობა“ უჭირდათ, რა თქმა უნდა, არა. თუნდაც ჩემს შეგირდს როინ მაღალთაძეს გავიხსენებ, რომელიც ერთდროულად ორივე ფეხში შედიოდა ეფექტურად. იგი 1968 წელს კონტინენტის ჩემპიონიც გახდა. მაგრამ ქართველებს ეროვნული ჭიდაობა სულაც სისხლში გვაქვს გამჯდარი და მეტ წარმატებებს სწორედ მისი სტილი მოგვიტანს.

**- თბილისის საერთაშორისო ტურნირზე ახალი წესებით ჭიდაობა როგორ მოგეწონათ?**

- ჯერ ძიუდოისტებს ადაპტაციის პერიოდი აქვთ გასავლელი. თბილისის ტატამზე 167 ძიუდოისტისგან ახალი წესების დარღვევისთვის შვიდი მოხსნეს შეჯიბრებიდან. ვნახოთ, რა მოხდება პარიზის და პრაღის ტურნირებზე. თუმცა ყველა შეეჩვევა ნელ-ნელა. მე გორის დარბაზებში მომუშავე სპეციალისტებს მივეცი მითითება, რომ კიდევ უფრო გაიღრმაონ ქართული ჭიდაობის ცოდნა. სიმართლე ვთქვათ, ძიუდოს განსაკუთრებით თანამედროვე სპეციალისტებს ნაკლებად აქვთ ქართული ჭიდაობის სკოლა გავლილი. ფალავნებს კი მივმართავდი: ახლა უკვე, ვინც კარგად იცის ქართული ჭიდაობა, ის კარგი ძიუდოისტიცაა, ამიტომ შეისისხლხორცეთ ჩვენი ეროვნული საჭიდაო სახეობა!

**- ადრე აღნიშნავდით, რომ საქართველოს ნაკრებში უცხოელი მთავარი მწვრთნელის დანიშვნას არ მიესალმებოდით. ირაკლი უზნაძეს თუ შეხვდით?**

- რასაკვირველია, თბილისის ტურნირზე მასაც ვესაუბრე, საკითხებისადმი თვალთახედვით ირაკლიმ ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. შეხვედრებისას მე მზად ვარ გარკვეულ თემებზე ჩემი მოსაზრებებიც გავუზიარო. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ ცალსახად გასათვალისწინებელია ჩემი აზრი, მაგრამ მწვრთნელის მოვალეობაც ისაა, აზრები შეაჯეროს და ანალიზით სასიკეთო დასკვნები გამოიტანოს. ქართველ სპორტსმენებთან მუშაობა უფრო რთულია, ვიდრე სხვებთან. წარსულის ერთ მაგალითსაც გავიხსენებ. სტუდენტთა საკავშირო ნაკრების მწვრთნელობისას, რუსი ძიუდოისტი სტეპანოვიც მყავდა გუნდში. მერე ის ერთ-ერთ მაღალ თანამდებობაზე დანიშნეს მოსკოვში. რომელიღაც შეჯიბრებაზე შევხვდით და მან მომიყვა: *„ერთხელ ვარჯიშზე მაგვიანდებოდა, თქვენ დარბაზის კარებში იდექით და საათზე იყურებოდით, ვინმე ხომ არ აგვიანებსო. აბა, პირდაპირ მოსვლას როგორ შემოგბედავდით - უკანა ფანჯრიდან თანაგუნდელებმა გადაბმული ზეწარი ჩამომიშვეს და ისე გადავედი დარბაზში“.* რუსები ყოველთვის ასე უფრთხოდნენ წესრიგის დარღვევას. მათი დამორჩილება გაცილებით იოლი იყო, ქართველი ფალავნებისა კი ორმაგ ენერგიას მოითხოვს.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან
*დავით ასპანიძის ფოტო*



ეს ქართული ჭიდაობაა!



ეს ძიუდოა!

**„ქართული ჭიდაობის ილეთები დამკვიდრებულია ჭიდაობის სხვა სახეობებში (ძიუდო, სამბო, ბერძნულ-რომაული და თავისუფალი). ამ ილეთების წყალობით ქართველმა ფალავნებმა შორს გაითქვეს სახელი. მათ შორის ბევრია ევროპის, მსოფლიოს და ოლიმპიური ჩემპიონი“.**

**სპორტის ენციკლოპედია**



# ვალენტინ ნედაშკოვსკი

საქართველოს მძლეოსნობის ოჯახმა კიდევ ერთი ღვაწლმოსილი სპეციალისტი დაკარგა - 82 წლისა უეცრად გარდაიცვალა ვალენტინ ნედაშკოვსკი.

მძლეოსნობას ყმაწვილობაში ეზიარა. 1949 წელს, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტში განაგრძო მძლეოსნობის სპეციალობაზე. გახდა საქართველოს მძლეოსანთა ნაკრები გუნდის წევრი თარჯრბენებში.

1953 წელს წარჩინებით დაამთავრა ინსტიტუტი და იქვე დარჩა ასპირანტურაში. შემდეგ კი მასწავლებლად ტოვებენ მძლეოსნობის კათედრაზე, სადაც 2007 წლამდე მუშაობდა.

1990-1994 წლებში, უკვე სპორტის აკადემიაში, მძლეოსნობის კათედრის გამგის მოვალეობას ასრულებდა. ბოლოს სპორტის აკადემიაში, ხოლო მანამდე ფიზკულტურის ინსტიტუტში იყო სამეცნიერო საბჭოს აქტიური წევრი. ეწეოდა მწვრთნელობას და რომის ოლიმპიური თამაშებისათვის მზადებაში ეხმარებოდა ალექსანდრე შერბინას, რომელმაც ოლიმპიადაზე დაიკავა IV ადგილი 50 კმ-ზე სპორტულ სიარულში.

ვ. ნედაშკოვსკიმ ათეულობით ნაშრომი შექმნა, მოხსენებებით გამოდიოდა საბჭოთა კავშირის მასშტაბით თუ საქართველოში გამართულ სამეცნიერო კონფერენციებში და ყოველთვის დადებით შეფასებებს იმსახურებდა. ეს ლოგიკურიც იყო, მისი თემები ხომ მუდამ გამოირჩეოდა აქტუალობით და ხელს უწყობდა მძლეოსნობის განვითარებას.

მძლეოსნობის სამყაროში როგორც მაღალკვალიფიციურმა მსაჯმაც გაითქვა სახელი, გახდა ეროვნული და საკავშირო კატეგორიის არბიტრი. წილად ხვდა პატივი, ემსაჯა მოსკოვის XXII ოლიმპიურ თამაშებზე და მაღალი შეფასებაც დაიმსახურა.

სპორტში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის წოდება. იყო საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, ასოცირებული პროფესორი.

ვ. ნედაშკოვსკის სახელი სამუდამოდ დარჩება საქართველოს მძლეოსნობის ისტორიაში. მისი ნათელი ხსოვნა დავიწყებას არ მიეცემა.

**საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაცია**

პანაშვიდი: 15. 02. დაკრძალვა: 16.02. 14 სთ. მისამართი: ა. წერეთლის გამზ. კორპ. IV.

● კრივი



# მუშტები რინგზე და რინგს მიღმა

სამი დღის დამუხტულმა დარბაზმა გუშინ იფეთქა - მუშტებმა წამიერად რინგს მიღმაც გაიელვა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც 75 კილოში მოკრივეთა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ფინალურ პაექრობაში გამარჯვებულად **გიორგი გიორგაძე** გამოცხადდა. დამარცხებული სპორტსმენის - **ბექა ხარძიანის** მწვრთნელმა, არბიტრის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო **რამაზ ფალიანმა** მსაჯზე გაიწია. მას მხარი ხარძიანის ქომაგებმაც დაუჭირეს და... დაცვამ დროულად შეძლო სიტუაციის განმუხტვა. რომელი მხარეც უნდა იყოს მართალი, მიგვაჩნია, რომ ასეთი ფაქტი ქართულ სპორტს დიდს ვერაფერს შესძენს. თუმცა ისიც გულახდილად უნდა ითქვას, რომ ჩვენთან მსაჯობის პრობლემა აშკარად მწვავედ დგას. გუშინ ეს 81 კილოგრამი წონითი კატეგორიის ფინალურ პაექრობაშიც გამომჟღავნდა. *„შეჯიბრების დაწყების წინ არბიტრებს ვთხოვეთ, მაქსიმალურად ობიექტურად ემსაჯათ, რათა ნაკრებისთვის ღირსეული კანდიდატები გამოგვევლინა, - გვითხრა საქართველოს მოკრივეთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა* ***ბონდო მამულაშვილმა.*** *- დარწმუნებული ვარ, საამისოდ მათ ცდაც არ დაუკლიათ, მაგრამ ხარვეზები მათი დაბალი კვალიფიკაციის ბრალია. თუმცა ეს ყველაზე არ ითქმის, რადგან ისეთი არბიტრებიც გვყავს, რომლებიც საერთაშორისო სარბიელზეც თითით საჩვენებლები არიან. სწორედ მათი და უცხოელი სპეციალისტების დახმარებით გეგმავს ჩვენი ფედერაცია არბიტრების გადამზადებას და მწვრთნელებისაც, რომელთა დაბალი კვალიფიკაციაც არანაკლებ ვნებს საქმეს“.*

ახლა კი მოკრივეთა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ფინალურ ორთაბრძოლებს დავუბრუნდეთ, რომლებსაც დილმის მასივში შოთა ჩოჩიშვილის ძიუდოს აკადემიის დარბაზმა უმასპინძლა.

**49 კილოგრამ** წონით კატეგორიაში აშკარა იყო ფოთელი დავით ნანავას უპირატესობა, რომელმაც თბილისელ მიხეილ კაზანჯიანს 38:8 აჯობა და ჩემპიონობა მოიპოვა. **52 კილოში** კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ფოთელი ავთანდილ ჭუბაბრია. მისი ფინალური პაექრობა მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების მონაწილე სევერიანე ჭილაძესთან (თბილისი) ფრედ - 8:8 დამთავრდა. არბიტრების გადაწყვეტილებით ოქროს მედალი ზღვისპირელ სპორტსმენს ერგო.

**56 კილოში** ფოთელმა გიორგი გოგატიშვილმა 16:12 აჯობა ქუთაისელ მერაბ თურქაძეს, რომელმაც შარშან თურქეთის სალიცენზიო საერთაშორისო ტურნირზე ლონდონის ოლიმპიადის საგზური მოიპოვა...

**60 კილოში** გიორგი გელაშვილმა (ქუთაისი) ალეკო ლურსმანაშვილს (გორი) 17:13 მოუგო და ჩემპიონობა მოიპოვა. **64 კილოში** უბრძოლველად დაიმსახურა ოქროს მედალი ლევან შალამბერიძემ, რადგან ფინალში მისმა მეტოქე ირაკლი ჭინჭარაულმა (რუსთავი) დილით წონა ვერ ჩააბარა. ამის მიუხედავად, რიონისპირელ ჭაბუკზე ალალია ჩემპიონობა, რადგან მან სამი დღის განმავლობაში სპეციალისტთა მოწონება და ყველაზე ტექნიკური მოკრივის პრიზიც დაიმსახურა.

**69 კილოში** თავიდანვე ფავორიტად 2011 წლის ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორსა და 23-წლამდელებში 2012 წლის ევროპის პირველობის ვერცხლისმედალოსან ზაალ კვაჭატაძეს მიიჩნევდნენ და მანაც ქომაგთა იმედები გაამართლა - ყველა ორთაბრძოლა დიდი უპირატესობით მოიგო, მათ შორის ფინალური - ლევან კაჟაშვილთან 20:9.

**75 კილოგრამ** წონით კატეგორიასთან დაკავშირებულ ინციდენტზე ზემოთ მოგახსენეთ. ახლა კი გაუწყებთ, რომ გადამწყვეტ პაექრობაში გიორგი გიორგაძემ ბექა ხარძიანს 27:20 მოუგო. ამ წონაში არ გამოდიოდა 2011 წლის ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი ჯაბა ხოსიტაშვილი. იგი იაგო კიზირიასთან **(81 კგ)** ერთად ბაქოში იმყოფება და AIBA-ს პროფესიონალ მოკრივეთა საკლუბო ჩემპიონატისთვის ემზადება. როგორც საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბონდო მამულაშვილმა გვითხრა, ქვეყნის პირველი ნაკრები რამდენიმე დღე თბილისში მოემზადება და მერე აზერბაიჯანის დედაქალაქში საერთაშორისო ტურნირზე გამოვა. ასპარეზობის ორგანიზატორებთან შეთანხმებით, 75 და 81 კილოს პირველ წრეში საქართველოს ჩემპიონები გიორგი გიორგაძე და რომან თავაძე სწორედ ხოსიტაშვილსა და კიზირიას დაუპირისპირდებიან. გამარჯვებულები ეროვნულ ნაკრებში პოზიციებს განიმტკიცებენ.

რაც შეეხება თავაძის **(81 კგ)** ჩემპიონობას, გუშინ სწორედ მისმა მოგებამ გამოიწვია აყალმაყალი. ქუთაისელმა სპორტსმენმა რუსთაველ ალექსანდრე დოკვაძეს მინიმალური უპირატესობით (15:14) აჯობა, რაც სადავო გახდა.

ასევე, ერთი ქულით მოუგო ირაკლი გვენეტაძემ (ქუთაისი, **91 კგ**) ალექსანდრე კარტოზიას (თბილისი).

**მძიმე წონაში** კი ევროპის 2011 წლის ბრინჯაოსმედალოსანმა მიხეილ ბახტიძემ (ქუთაისი) უპრობლემოდ სძლია ახალგაზრდა გიორგი პურიჭამიაშვილს (თბილისი).

**გურამ ლორთქიფანიძე,** შეჯიბრების მთავარი მსაჯი: - ფედერაციის არჩევნების შემდეგ ეს მოკრივეთა პირველი შეჯიბრება იყო. ფინალების დღეს იმ ორმა ინციდენტმა გუნება-განწყობილება გაგვიფუჭა. ამ ფაქტიდანაც ნათელია, რომ მსაჯებთან და მწვრთნელებთან ბევრი სამუშაო გვაქვს. ახლა მთავარია, ევროპის ჩემპიონატისთვის სათანადოდ მოვემზადოთ. დრო ცოტაა დარჩენილი. სამუშაო კი ბევრია, რადგან ამ ჩემპიონატმაც ნათლად გვაჩვენა, რომ ჩვენს სპორტსმენებს როგორც ტექნიკური, ისე ფიზიკური მომზადებისთვის დიდი ჯაფა მართებთ. არადა, კარგი თაობა მოდის - შალამბერიძე, დოკვაძე... არიან სხვებიც.

**დავით კვაჭაძე,** საქართველოს კრივის ფედერაციის პრეზიდენტი: მაისის მეორე ნახევარში მინსკი ევროპის პირველობას უმასპინძლებს. ეროვნული ჩემპიონატის შედეგების გათვალისწინებით, მეეჭვება, რომ გუნდი სრული შემადგენლობით გაემგზავროს, რადგან სპორტსმენთა მომზადების თვალსაზრისით, შემიძლია ვთქვა, რომ საგანგაშო მდგომარეობაა. თუმცა ჯერ დრო არის და, იქნებ, ხარვეზების გამოსწორება მოვასწროთ. ცოტა ხანში აზერბაიჯანის დედაქალაქში გავემგზავრებით საერთაშორისო ტურნირზე, შემდეგ კი მასპინძლებთან ერთობლივ საწვრთნელ შეკრებას ჩავატარებთ. იქ გამოჩნდება, რისი შემძლენი ვართ. თუ დაფინანსება იქნება, ევროპამდე ბიჭებს კიდევ ერთ საერთაშორისო ტურნირში გამოვცდით.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა დანელიამ**

● სამთო თხილამურობა

# ქართველები მსოფლიოზე



იასონ აბრამაშვილი

ავსტრიის საკურორტო ქალაქ შლადმინგში გრძელდება მსოფლიოს ჩემპიონატი სამთო სათხილამურო სპორტში. გუშინ შეჯიბრებაში ქართველი სპორტსმენებიც ჩაებნენ. გიგანტური სლალომის საკვალიფიკაციო ეტაპზე **იასონ აბრამაშვილმა** 2.26,67-ით მე-9 ადგილი დაიკავა, **ჯაბა გელაშვილი** (2.28,29) კი მე-17 ადგილით დაკმაყოფილდა. პირველი-მესამე ადგილები ტომოია იშიმ (იაპონია, 2.23,89), კრისტარს ზვეინიეკსმა (ლატვია, 2.24,14) და ნიკოლა ჩონგაროვმა (2.25,48) გაინაწილეს. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ **სოსო ჯაფარიძე** და **ალექსი ბენიაიძე.** ჩვენებურებმა ტრასა ბოლომდე ვერ გაიარეს და შეჯიბრებას გამოეთიშნენ, სამაგიეროდ, გიგანტური სლალომის ფინალურ ეტაპზე მედლებისთვის იასონ აბრამაშვილი და ჯაბა გელაშვილი იბრძოლებენ. პაექრობები დღეს 10 საათზე დაიწყება.

ქალთა გიგანტურ სლალომში ცდიდა ძალებს **ნინო წიკლაური,** რომელმაც ასპარეზობა (1.14,89) 52-ე ადგილით დაასრულა.

● ჭადრაკი

# პირველობის შანსი შეინარჩუნა

თბილისელი დიდოსტატი , საქართველოს ექსჩემპიონი **თორნიკე სანიკიძე** წარმატებით თამაშობს გერმანული ბადენ-ბადენის საერთაშორისო ტურნირში. გუშინ მე-8 ტურში მან რუსი ალექსანდრ კარპაჩევი დაამარცხა და 6 ქულა მოაგროვა. ამდენივე ქულა აქვთ პარიმარჯან ნეგის (ინდოეთი), რომელმაც ვიორელ იორდაჩესკუს (მოლდოვა) აჯობა თეთრი ფიგურებით, და ეტიენ ბაკროსგან (საფრანგეთი) ძლეულ რუბენ ფელგაერს (არგენტინა). 6,5 ქულით ერთპიროვნულად ტურნირის რეიტინგფავორიტი ბაკრო მეწინავეობს. დღეს ბოლო ტურში ქართველი მოჭადრაკე თეთრი ფიგურებით სწორედ ფრანგს დაუპირისპირდება, ფელგაერი 5,5-ქულიან ბორის ჩათალბაშევთან (ბულგარეთი) გაარკვევს ურთიერთობას, ხუთ-ხუთქულიანი ბენჯამინ ტერეიკი (გერმანია) და ალექსანდრ კარპაჩევი, შესაბამისად, პარიმარჯან ნეგისა და ვიორელ იორდაჩესკუსთან მოსინჯავენ ძალებს.



მარცხნიდან: სალომე მელია და ნინო ბაციაშვილი

# დღეს მეორე წრე დაიწყება

საჭადრაკო კლუბ **ნტნ**-ში გრძელდება მოჭადრაკე ქალთა შესარჩევი მინიტურნირი. როგორც გაუწყეთ, მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატზე გასამგზავრებლად ეროვნული ნაკრების ორ ვაკანტურ ადგილზე მოსახვედრად სამი დიდოსტატი იბრძვის. გუშინ პირველი წრის ბოლო შეხვედრა გაიმართა: ბათუმელებმა - სალომე მელიამ და ნინო ბაციაშვილმა კაროკანის დაცვა გაითამაშეს. 68 სვლის განმავლობაში უპირატესობას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია და მეტოქეები დაზავდნენ.

პირველი წრის შემდეგ ასეთი სატურნირო მდგომარეობაა: **ნინო ხურციძე** - 1,5, **სალომე მელია** - 1, **ნინო ბაციაშვილი** - 0,5 ქულა.

დღეს მეორე წრის პირველ ტურში მელია და ხურციძე ითამაშებენ, ბაციაშვილი დაისვენებს.

● ჩოგბურთი

# ფინალში ითამაშებენ

ანტალიაში დასასრულს უახლოვდება ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი), რომელშიც 2 ქართველი სპორტსმენიც ჩაება. ერთეულთა თანრიგში **სოფიო ქვაცაბაიამ** და **ეკატერინე გორგოძემ** სტარტზე, შესაბამისად, იი ჩენსა (ტაივანი) და შაილა ერგიელანს (უნგრეთი) სძლიეს, მეორე წრეში კი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. მე-7 ნომრად განთესილმა ქვაცაბაიამ ორ სეტში აჯობა (6:4, 6:3) თანამემამულეს, თუმცა მეოთხედფინალში თავად რუმინელ ბიანკა ჰინკუს დანებდა - 5:7, 1:6. სამაგიეროდ, ქართველებმა წყვილთა პაექრობაში უწიეს ფინალს. ქვაცაბაიას და გორგოძის დუეტი პირველ ნომრადაა განთესილი. ჩვენებურებმა ჯერ ინდია მეგენს (ბელგია) და ანი ვანგელოვას (ბულგარეთი) აჯობეს, შემდეგ იტალიელები - ჯულია ბრუზონე და მარტინა კარეგარო ჩამოიშორეს გზიდან - 6:4, 4:6, 11:9, გუშინ ნახევარფინალში ტაივანურ (იი ჩენი)-ჩინური (კაი-ლინ ჟანი) ტანდემი დაჯაბნეს - 6:3, 6:1 და ფინალში გავიდნენ, სადაც მეორე ნომრად განთესილ ტეოდორა მირჩიჩსა (სერბეთი) და რალუკა ელენა პლატონს (რუმინეთი) გაუწევენ მეტოქეობას.



ეკა გორგოძე

■ ■ ■

კოლუმბიის ქალთა ტურნირზე (საპრიზო ფონდი 125.000 დოლარი) ცდიდა ძალებს თბილისელი **ოქსანა კალაშნიკოვა.** ერთეულებში მან საკვალიფიკაციო ეტაპი ვერ გადალახა. წყვილებში ძირითადი ბადის სასტარტო პაექრობა რუს ნინა ბრატჩიკოვასთან ერთად კონი პერინთან (შვეიცარია) და მაშა ზეს-პესკირიჩთან (სლოვენია) დათმო - 6:7, 1:6 და შეჯიბრებას გამოეთიშა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

● ინტერვიუ ნიკო ქავქავაძესთან

# არმია უფრო შეკრული, მობილიზებული და ორგანიზებულია

**საქართველოს ჩემპიონი და თასის მფლობელი „არმია“ ახლახან თურქეთში გამართული საწვრთნელი შეკრებიდან დაბრუნდა. არმიელები ამ ქვეყნის სპორტულ ბაზებს მოსამზადებლად უკვე მეორედ ეწვივნენ. აქვე საწვრთნელ შეკრებას გადიოდნენ რუსული კლუბებიც, რომლებთანაც „არმიამ“ რამდენიმე სპარინგ-მატჩი გამართა. თურქული მზადებისა და მომავლის გეგმებზე „არმიას“ მთავარ მწვრთნელს ნიკო ქავქავაძეს ვესაუბრეთ.**

- თურქეთში, ალანიას მახლობლად, შეკრება საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა. შარშან ბელეკში ვიყავით, სადაც რუსეთის ჩემპიონი კრასნოიარსკის „ენისეი“ გადიოდა საწვრთნელ შეკრებას. მათი თხოვნით წლეულსაც ერთად გვქონდა ვარჯიშები. იქვე იმყოფებოდა კიდევ ერთი რუსული კლუბი ყაზანის „აგროუნივერსიტეტი“, რომელიც კრასნოიარსკელებზე ოდნავ სუსტია, ის ახალი გუნდია და ახლა ყალიბდება.

**- როგორ ფიქრობთ, რამდენად წაადგება „არმიას“ რუსულ გუნდებთან ერთად საწვრთნელი პროცესის გავლა?**

- „ენისეი“ ძალიან კარგი გუნდია. წლეულს სულ სხვა, უფრო მაღალი დონის რაგბის თამაშობდა, ვიდრე შარშან. სპარინგ-მატჩებისას აქცენტი ძირითადად დაცვაში თამაშის დახვეწაზე გვქონდა გადატანილი. ვფიქრობ, ჩვენმა მორაგბეებმა კარგი გამოცდილება მიიღეს. ამასთან ერთად, „ენისეისთან“ მეგობრული ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა და, გამორიცხული არ არის, მალე მათ მიერ ორგანიზებულ ტურნირში მივიღოთ მონაწილეობა.

**- რა ტურნირზეა ლაპარაკი და რამდენად მაღალი დონის იქნება ის?**

- „ენისეიმ“ ოფიციალურად დაგვპატიჟა ტურნირში „გუბერნატორის თასი“, რომელიც აგვისტოში კრასნოიარსკში გაიმართება. ამ შეჯიბრებაში მათ გარდა კრასნოიარსკის კიდევ ერთი, საკმაოდ ძლიერი გუნდი „კრასნი იარი“ იასპარეზებს. მოლაპარაკება მიმდინარეობს ახალზელანდიური „კრუსეიდერზისა“ და სამხრეთაფრიკული „ნატალ შარქსის“ ახალგაზრდულ გუნდებთან. შესაძლოა ტურნირში მონაწილეობა მიიღოს იაპონიის „პანასონიკმა“ და ერთ-ერთმა რუმინულმა კლუბმა.

ამ ეტაპზე მხოლოდ მოლაპარაკებები მიმდინარეობს, თუმცა ყველა შემთხვევაში, ოთხთა ტურნირი მაინც მოეწყობა, რომელშიც აუცილებლად ვითამაშებთ. ვფიქრობ, ჩვენი გუნდის განვითარებისთვის ასეთ შეჯიბრებებში ასპარეზობა აუცილებელია.

**- ხვალ საქართველოს ჩემპიონატი განახლდება. „არმია“ ამჟამად მეორე ადგილზეა და პირველივე მატჩში ლიდერს, თბილისის „ლელოს“ ეთამაშება...**

- თურქეთში ჩვენი მზადების მიზანი, სწორედ ამ შეხვედრისთვის სათანადოდ მომზადება იყო. „ლელო“ ძალიან კარგი გუნდია. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ლელოელები ახლა საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფებიან და ჩვენთან სათამაშოდ ემზადებიან. ცხადია, ჩვენი დაპირისპირება ძალიან დაძაბული იქნება. ქომაგებს ვპირდებით, რომ კარგ სანახაობას ვუჩვენებთ. ორივე გუნდი ხომ გაშლილი, ლაღი თამაშის მიმდევარია. ცხადია, ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ჩვენი ძირითადი კონკურენტი „ლელოა“.

**- „არმია“ მოქმედი ჩემპიონია. ამ ტიტულის შენარჩუნებისთვის ბრძოლაში კონკურენტებად მარტო „ლელო“ მიგაჩნიათ?**

- არა, რატომ? ჩვენ სტარტზე ორი რთული მატჩი გველის. „ლელოსთან“ დაპირისპირების შემდეგ, თბილისის „არმაზს“ ვეთამაშებით, რომელიც წლეულს შესანიშნავად ასპარეზობს და დიდი ამბიციები აქვს. ამიტომ აქცენტი ამ გუნდებზე გვაქვს გადატანილი, თორემ, რა თქმა უნდა, ყველა გუნდს პატივს ვცემთ და სათანადოდ ვაფასებთ. ყველა მათგანთან მაქსიმალურად მობილიზებულნი გავალთ სათამაშოდ. ჩემპიონობა, ცხადია, კარგია, მაგრამ მისი დაცვა ძალიან ძნელია.

**- რა ცვლილებები მოხდა გუნდში ზამთრის არდადეგებზე?**

- დავიწყოთ იმით, რომ ტრავმების გამო დიდი დანაკლისი გვაქვს. დაშავებულია და ჯერაც ვერ გამოჯანმრთელდა გუნდის კაპიტანი ლაშა თავართქილაძე, მეორეხაზელი დავით ჩიტიძე, გარემარბი რატი ნუცუბიძე, მგეზავი ლაშა ბაირამაშვილი. რეაბილიტაციის კურსს გადის გარემარბი გიორგი შკინინი, რომელიც ჩემი გადაწყვეტილებით მოთამაშე-მწვრთნელად დაინიშნა და უკანახაზელების განვრთნაში მეხმარება. კარგი იქნება, თუ მისი რეაბილიტაციის პროცესში საქართველოს რაგბის კავშირიც დაგვეხმარება. ვფიქრობ, შკინინი ნაკრებს კიდევ გამოადგება.

„არმია“ დატოვეს და რუმინულ „ტიმიშოარაში“ გადაბარგდნენ ცხრა ნომერი ბიძინა სამხარაძე და პირველხაზელი გიორგი ხოსიტაშვილი. „არმაზში“ თამაში არჩია ფულბეკმა საბა ნიკოლავამ. მათ ნაცვლად არავინ დაგვიმატებია. ჭაბუკთა A ლიგის გუნდიდან ძირითადში გადმოვიყვანეთ ახალგაზრდული ნაკრების წევრი გიორგი აფციაური. ამასთან ერთად, აქტიურად განვაგრძობთ მუშაობას, რათა „არმიამ“ შევსება საკუთარი ბავშვთა და მოზარდთა გუნდებიდან მიიღოს.

**- ძალიან ბევრი კრიტიკული მოსაზრება გამოითქვა საბიუჯეტო და საუწყებო გუნდების თაობაზე. ამბობდნენ, რომ მათ სეზონის დასრულების შემდეგ დაფინანსება უნდა შეუწყდეს. რა პრობლემების წინაშე დადგა „არმია“ ამის გამო?**

- ჩვენთან ცვლილება არ მომხდარა. ჩამოვაყალიბეთ არასამეწარმეო, არაკომერციული რაგბის კლუბი „არმია“, რომელიც თავდაცვის სამინისტროსთან არსებობს. ატმოსფერო გუნდში შესანიშნავია, პირიქით, კიდევ უფრო ორგანიზებულნი გავხდით, საკლუბო პრინციპებით უფრო აქტიურად ვმუშაობთ. კვირაში ერთხელ კლუბში მომუშავე მწვრთნელებს სემინარს ვუტარებთ. ყველაფერს დეტალურად ვგეგმავთ და ინტენსიურად ვმუშაობთ ჭაბუკთა A და B ლიგის გუნდებთან.

**- რამდენად გამართულია თქვენი კლუბის საქმიანობის სტრუქტურა. გყავთ თუ არა ყველა საშეჯიბრებო ასაკში გუნდები?**

- როგორც უკვე გითხარით ჭაბუკთა A და B ლიგებში დაარსების დღიდან ვასპარეზობთ. წლეულს გამოვალთ საფესტივალო ასაკის გუნდების შეჯიბრებაშიც. ესპუარების, ანუ სათადარიგოთა გუნდი ჯერ არ გვყავს. სექტემბრიდან ვაპირებთ ეს გუნდი მხოლოდ ჯარისკაცებით დავაკომპლექტოთ და ისე გამოვიყვანოთ საასპარეზოდ.

სამხედრო ნაწილებში ჩვენი მწვრთნელები ლელიკო ჯაში, ლაშა თავართქილაძე, გიორგი ლუაშვილი, ბექა თოფურია, ირაკლი სულთანიშვილი, ზურაბ დუგლაძე და გიორგი გოგისვანიძე აქტიურად საქმიანობენ და, ვფიქრობ, კარგი გუნდი უნდა შეიქმნას.



შარშანდელი ჩემპიონი არმია

● მეტოქეები



ვალერი ცნობილაძე არგენტინელთან ბრძოლისას

# ცნობილაძეები საქართველოს წინააღმდეგ არ თამაშობენ

**საქართველოს ნაკრები ერთა თასის გათამაშების მესამე ტურის მატჩს 23 თებერვალს, სტუმრად გამართავს სოჭში რუსეთის ეროვნულ გუნდთან. ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმა განვლილ ორ ტურში ერთი მატჩი მოიგეს და ერთშიც დამარცხდნენ. „ბორჯღალოსნები“ კი, ორი თამაშიდან ორი მოგებით, გათამაშებას რუმინეთის ნაკრებთან ერთად ლიდერობენ.**

რუსეთის ეროვნული გუნდის უელსელმა თავკაცმა **კინგსლი ჯოუნზმა** გუნდის გაფართოებული 30-კაციანი შემადგენლობა გააცხადა, რომელიც 17 თებერვლიდან სოჭში საწვრთნელ შეკრებაზე ჩვენს ნაკრებთან სათამაშოდ მოემზადება. რუსთა რიგებში არ არიან ქართველი პირველხაზელები, ძმები **გრიგორ და ვალერი ცნობილაძეები.** როგორც ცნობილია, თავის დროზე, მათ რუსეთის ნაკრებში ასპარეზობაზე თანხმობა ერთი პირობით განაცხადეს, ისინი არასდროს ითამაშებდნენ საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ.

რუსების შემადგენლობაში სხვა ცვლილება არ არის. ტრავმის გამო წინა ორი შეხვედრა გამოტოვა და ვერც „ბორჯღალოსნების“ წინააღმდეგ ითამაშებს უკანახაზელი **დენის სიმპლიკევიჩი.**

ამასობაში, ასევე გაფართოებული შემადგენლობები დაასახელეს ჩვენმა მომავლმა მეტოქეებმა რუმინეთისა და ესპანეთის ნაკრებებმა, რომლებიც 23 თებერვალს ერთმანეთს ხიხონში დაუპირისპირდებიან. „სტეუარის“ უელსელმა თავკაცმა **ლინ ჰოულსმა** ამჯერად გამოცდილ მგეზავ **იონუც დიმოფტეს** უხმო, სამაგიეროდ, „მუხის ფოთლებს“ ვერაფრით დაეხმარება მესამეხაზელი **ოვიდიუ ტონიცა.** გუნდში დაბრუნდნენ ძმები **ანდრეი** და **ვალენტინ ურსაკეები.**

ესპანეთის ნაკრები და მათი ახალზელანდიელი თავკაცი **ბრაის ბევინი** დილემის წინაშე დგას. მესამე ტურში რუმინეთის ნაკრებთან მარცხი მსოფლიოს თასზე თამაშის ოცნებასთან გამოთხოვების ტოლფასია. „ლომებს“ მეოთხე ტურში საქართველოში უწევთ სტუმრობა. ოთხ შეხვედრაში სამი მარცხითა და ერთი ფრედ დამთავრებული მატჩით „ლომები“ შორს ვერ წავლენ. ამიტომ, ესპანელებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შარშანდელი გმირობა გაიმეორონ და შინ რუმინეთის ნაკრებს სძლიონ. ამით ისინი ჩვენს წისქვილზეც დაასხამენ წყალს.

სწორედ ამიტომ არის, რომ ბრაის ბევინმა გაფართოებულ შემადგენლობაში ბევრ ძველ, გამოცდილ მოთამაშეს უხმო. მათ შორის გამოვარჩევდით ცხრა ნომერ **პაბლო ფეიხოოს** და მორკინალ **ხავიერ კანოსას.**

## რუსეთი

ვასილი არტემევი (ნორსჰემპთონი), მიხაილ ბაბაევი, ალექსანდრ ვოიტოვი, ალექსეი ვოლკოვი, იგორ კლუჩნიკოვი, სერგეი ტრიშინი, ალექსანდრ იანუშკინი (ყველა-ვვა), პაველ ბუტენკო, დიმიტრი გერასიმოვი, ინოკენტი ზიკოვი, იგორ კურაშოვი, ევგენი პრონენკო, ანდრეი ტემნოვი, ალექსეი შერბანი (ყველა-ენისეი), ანდრეი გარბუზოვი, ვიქტორ გრესევი, მაქსიმ კისილიოვი, ალექსეი მაკოვეცკი, ანდრეი ოტროკოვი, ანტონ რიაბოვი, მაქსიმ სტურზა, მაქსიმ ტიმოშუკი (ყველა-კრასნი იარი), ანდრეი იგრეცოვი (ფილი), პაველ კვერნაძე (სპარტაკი), კირილ კულემინი (ლონდონ ველში), იური კუშნარიოვი (ყუბანი), ანდრეი პოლოვალოვი, არტიომ ფატახოვი, სერგეი იანუშკინი (სამივე-აგროუნივერსიტეტი), სერგეი სუგრობოვი (სლავა).

## ესპანეთი

მეთიუ კუკი, ხავიერ კერიონი (ორიველა ვილა), მატიას ტუდელა (ტატამი), ხუან ანაია, ხავიერ კანოსა, მარტინ ერედია, ფაკუნდო სონა (ოთხივე-ატლეტიკო), კორი სმითი (კახასოლი), გაბრიელ ორტისი, მანუელ მორა (ორივე-ინდეპენდიენტე), ხუან ტუდელა, კორი სიმპსონი (ორივე-ორდიზია), ხუან მაგუნასელაია (გერნიკა), პაბლო ფეიხოო (ბერა ბერა), კრისტიან ფუენტესი (ოვიედო) ჯეკი კარტე, დანიელ მარონი, სესარ სემპერე (სამივე-ელ სალვადორი), პედრო მარტინი, გლენ ლუსი (ორივე-ვალიადოლიდი), ხოსე ბლანკო (ვიგო), ხესუს მორენო (ლიმოჟი), ხესუს რეკუერდა (ლილი), ლიონელ პარდო (ბეზიე), ჯო ხატჩინსონი, ხაიმე ნავა (ორვებურგ ან ბრესი), ანიბალ ბონანი (ბაგნერე), ბენატ ოზქუი (ტრუა), პაბლო გარსია (არასი), დავით გურგენიძე (არმია).

## რუმინეთი

**შერკინება:** ევგენ კაპატანა, ჰორციო პუნეგა, დანიელ კარპო (სამივე-ტიმიშოარა), ანდრეი რადოი (ბაია მარე), პაულიკა იონი (ლონდონ ველში), პეტრუ ტამბა (კარდიფი), ანდრეი ურსაკე (კარკასონი), ვალენტინ ურსაკე (ოიონაქსი), კორნელ ტატუ, ვიორელ ლუკაჩი (ორივე-სტიაუა), მარიუს სირბე (ტარბი), ალინ კოსტე (ბურგ ან ბრესი), მიჰაი მაკოვეი (სენ ნაზერი), ალექსანდრუ მიტუ (ბუქარესტი).

**უკანა ხაზი:** ფლორინ სურუჯუ (ბუქარესტი), სიპრიან კაპლესკუ (დინამო), დორინ მანოლე (ორტეზი), ფლორინ ვლაიკუ, რობერტ დესკალუ (ორივე-სტიაუა), მიჰაი როსკა, ჩაბა გალი, იონუც ნიასუ (სამივე-ბაია მარე), ადრიან აპოსტოლი (ფარული), კატალინ ფეკუ (ტიმიშოარა), ადრიან მატეი (ლიმოჟი), იონუც დიმოფტე (რუენი).

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი


ჰედო თურქოგლუ

# თურქს დოპინგი მიუღია

ცნობილია, რომ სპორტის სათამაშო სახეობებში დოპინგსკანდალებს ნაკლებად აქვს ადგილი, მაგრამ გამონაკლისებიც არსებობენ. გუშინ, ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ 20-მატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა "ორლანდო მეჯიქის" ფორვარდი **ჰედო თურქოგლუ**.

კალათბურთელის სისხლში აღმოჩნდა აკრძალული პრეპარატი – მეტენოლონი, რომელიც ანაბოლური სტეროიდების კატეგორიაში გადის. თურქმა აღიარა დანაშაული და ბოდიში მოიხადა NBA-ის, გუნდისა და გულშემატკივრების წინაშე.

თურქოგლუს სიტყვებით, მან მეტენოლონი გასულ წელს მიიღო მხრის ტრავმის მკურნალობის დასაჩქარებლად. ჰედომ განაცხადა, რომ მას უნდა შეემოწმებინა NBA-ში აკრძალული პრეპარატების სია და შემდეგ მიეღო სტეროიდები, მაგრამ დაავიწყდა ამის გაკეთება.

მიმდინარე სეზონში თურქმა 11 მატჩი ჩაატარა "ორლანდოს" რიგებში და საშუალოდ 2.9 ქულა და 2.4 მოხსნა დააგროვა. წლევანდელი რეგულარულის სტარტი მან ხელის მოტეხილობის გამო გამოტოვა.

თურქოგლუ მერვე კალათბურთელია NBA-ის ისტორიაში, ვინც დისკვალიფიკაცია მიიღო აკრძალული პრეპარატის გამოყენების გამო.

# წელს როუზს ვერ ვნახავთ?

"ჩიკაგო ბულზის" ლიდერი **დერიკ როუზი**, რომელიც აღდგენით კურსს გადის მუხლის ჯვარედინი მყესების გაწყვეტის შემდეგ, შესაძლოა, ამ სეზონში საერთოდ არ გამოჩნდეს მოედანზე. შარშანწინდელი სეზონის MVP-მ აღნიშნა, რომ მანამ არ განაახლებს თამაშს, სანამ ასი პროცენტით არ გამოჯანმრთელდება. შეგახსენებთ, რომ როუზი უკვე მონაწილეობს ვარჯიშებში, მაგრამ ჯერ სრულად დატვირთვა არ შეუძლია.


დერეკ როუზი

*"ყველაფერი დამოკიდებულია ჩემს გადაწყვეტილებაზე, - ამბობს როუზი. - თუ თავს 110 პროცენტით მზად არ ვიგრძნობ, მოედანზე არ გავალ. სრულიადაც არ ვიღელვებ სეზონის სრულად გამოტოვებას. თუ ჯანმრთელობა საშუალებას არ მომცემს, არ გავრისკავ და არ ვიჩქარებ კარიერის განახლებას".*

# გარნეტის ბოლო ოლ სტარი


კევინ გარნეტი

"ყველა ვარსკვლავის მატჩმა", რომელიც 17 თებერვალს ჰიუსტონში გაიმართება, შესაძლოა, "ნიუ იორკ ნიქსის" ლიდერის **კარმელო ენტონის** გარეშე ჩაიაროს, - იტყობინება ESPN. ფორვარდმა მარჯვენა ხელის ტრავმა "ტორონტოს" წინააღმდეგ გუშინდელ მატჩში მიიღო.

ტკივილის მიუხედავად, ენტონიმ მატჩი ბოლომდე ითამაშა და შემდეგ მიმართა ექიმებს. როგორც კალათბურელმა აღნიშნა, თუ ტკივილი არ გაივლის, ის არ გარისკავს თავის ჯანმრთელობას და არ ითამაშებს "ოლ სტარზე".

შეგახსენებთ, რომ "ყველა ვარსკვლავის მატჩში" მონაწილეობას ვერ მიიღებს "ბოსტონის" გამთამაშებელი **რაჟონ რონდო**, რომელიც სეზონის ბოლომდეა დამტვრეული. ასევე საეჭვო ჰიუსტონში "ჩიკაგოს" ცენტრის **ჟოაკიმ ნოას** თამაში.

■ ■ ■

ამასობაში გაირკვა, რომ **კევინ გარნეტი** წელს უკანასკნელად ითამაშებს „ყველა ვარსკვლავის მატჩში". „ბოსტონის" ვეტერანმა ფორვარდმა ამის შესახებ „ჩიკაგოსთან" მატჩის შემდეგ მიანიშნა. წელს, კეი ჯი მეთხუთმეტედ გამოვა „ოლ სტარზე".

*„ძალზე მოხარული ვარ, რომ ისევ მიხილავთ ამ შოუზე, სადაც მეგობრებს შევხვდები და ოჯახთან ერთად დროს სასიამოვნოდ გავატარებ. არ მოვიქცევი ისე, თითქოს ისევ ვაპირებ „ყველა ვარსკვლავის მატჩში" მონაწილეობის მიღებას. უბრალოდ, მინდა ვისიამოვნო"*, - ამბობს ESPN-ისთან კომენტარში გარნეტი.

# გადარჩენილი სპურსი, ბრწყინვალე კლიპერსი

დიდი სათამაშო დღე შედგა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში და ვიხილეთ 2007 წლის ფინალის მინი-რიმეიქი. აუტსაიდერის სტატუსის მიუხედავად, „კლივლენდმა" კინაღამ მოახერხა „სან ანტონიოს" დამარცხება, რომელშიც, როგორც იქნა, სამივე ლიდერმა (**დანკანი, ჯინობილი, პარკერი**) ერთად ითამაშა. საერთო ჯამში, „კლივლენდს" ორმა შეცდომამ არ მისცა სრულიად დამსახურებული გამარჯვების მოპოვების საშუალება. თავიდან, სირენამდე წუთ-ნახევრით ადრე, მასპინძლებმა შეტევაში აალებინეს მოხსნა დანკანს. ვეტერანმა სწრაფად მიაწოდა ბურთი **ნილს**, რომელმაც ზუსტი სამქულიანით გაათანაბრა ანგარიში.

ცხრა წამით ადრე, **უეიტერსის** ურთულესი ტყორცნის შემდეგ, „კლივლენდმა" დაიბრუნა ლიდერობა, მაგრამ ამჯერად, **სკოტის** შეგირდებმა დაცვაში დაუშვეს უპატიებელი შეცდომა. მათ დიდი ყურადღება დაუთმეს **პარკერის** მეურვეობას და მიავიწყდათ **ლეონარდი**, რომელიც მარტო იდგა მოედნის კუთხესთან. ზუსტი სამქულიანი და „სან ანტონიომ" მინიმალური უპირატესობა მოიპოვა, რაც ბოლომდე შეინარჩუნა.

■ ■ ■

დაცვითი თამაშის ზეიმი ვიხილეთ „ბოსტონისა" და „ჩიკაგოს" მატჩში. ამასთან, „კელტებმა" ახალი ფურცელი ჩაწერეს ლიგის ისტორიაში, როცა მეორე და მესამე მეოთხედებში მხოლოდ 19 ქულა აილეს - ეს არის ისტორიაში მესამე ყველაზე უარესი შედეგი მატჩის ამ მონაკვეთში დაგროვილი ქულების რაოდენობით.

გუნდებს ანტირეკორდების დამყარების კარგი შანსი ჰქონდათ, რადგან სირენამდე 5 წუთით ადრე, ანგარიში 59:54 იყო „ბოსტონის" სასარგებლოდ. ეს ის რიცხვებია, რომელიც, უფრო ხშირად, პირველი ტაიმის შემდეგ ფიქსირდება. თავად ეს ანგარიში მასპინძლების 10:0 გაქცევის შემდეგ დაფიქსირდა. ბოლო ხუთ წუთში კი გუნდები შედეგიანად ათამაშდნენ. „კელტებში" სამქულიანები ჩაიწერეს აქტივში **პირსმა** და **ტერიმ**, „ხარები" კი ქულებს ფარქვეშიდან და საჯარიმოს ხაზიდან აგროვებდნენ. საბოლოოდ, „ბოსტონს" გამარჯვება მოუტანა **გარნეტის** საშუალო ტყორცნამ სირენამდე 20 წამით ადრე. ამის შემდეგ, სტუმრებს სამქულიანი სჭირდებოდათ, მაგრამ **რობინსონის** შორეული ტყორცნა მიზანს აცდა.

■ ■ ■

„კლიპერსმა" 10-ქულიანი სხვაობით მოუგო „ჰიუსტონს", მაგრამ ის არ ასახავს იმ უპირატესობას, რაც კალიფორნიელებს აღნიშნულ შეხვედრაში გააჩნდათ. „როკეტსს" სასტიკი განადგურება არ ასცდებოდა, ლოსანჯელესელებს პირველ მეოთხედში აღებული ტემპი ბოლომდე რომ შეენარჩუნებინათ. სადებიუტო 12 წუთში „კლიპერსმა" 46 ქულა დააგროვა, რომელთაგანაც 17 **კერონ ბატლერის** ანგარიშზე იყო. ასეთი სტარტი საკმარისი აღმოჩნდა გამარჯვების მოსაპოვებლად. მასპინძლებმა აშკარად ძალები დაზოგეს, რადგან მათ წინ ჰქონდათ „ლეიკერსთან" პრინციპული დუელი. „ჰიუსტონისგან" კი ამ მატჩში ისედაც არავინ ელოდა მოგებას, რადგან „რაკეტებს" ტრავმის გამო აკლდათ ლიდერი **ჯეიმს ჰარდენი**.


ბოსტონი-ჩიკაგო

■ ■ ■

„ტორონტომ" ზედიზედ მეოთხე გამარჯვება მოიპოვა: „დენვერთან" საშინაო ტრიუმფის შემდეგ, კანადურმა კლუბმა სტუმრად დაამარცხა „ნიუ იორკი". ბრწყინვალე მატჩი ჩაატარა „რეპტორზის" რეზერვისტმა **ანდერსონმა**, რომელმაც რვიდან ექვსი სამქულიანი ჩააგდო და 26 ქულა დააგროვა. მან ღირსეულად შეცვალა **ლოური**, რომელიც ზედმეტი ტექნიკური ჯარიმებისთვის ნაადრევად გაისტუმრეს მოედნიდან.

„ტორონტომ" შთამბეჭდავი სპურტი მოაწყო მესამე მეოთხედში, რითაც საკმარისი ჰანდიკაპი შეიქმნა და ის მატჩის ბოლომდე არ დათმო. ამასთან, კანადელებმა შესანიშნავად იმუშავეს **კარმელო ენტონის** წინააღმდეგ, რომელმაც თამაშიდან 24-ჯერ ისროლა და ხუთი ბურთი მოათავსა კალათში.

**ნიუ იორკი-ტორონტო 88:92**

18:14, 24:23, 18:28, 28:27

**ნ-ი:** სმიტი (26), ფელტონი (16+5 პასი+4 ჩაჭრა), ენტონი (12+12 მოხსნა), ჩენდლერი (10+9 მოხსნა), სტაუდმაიერი (10+7 მოხსნა).

**ტ:** ანდერსონი (26), დეროზანი (20), ლოური (12), ლუკასი (12), გეი (11+8 მოხსნა), ფილდსი (4+10 მოხსნა).

**დეტროიტი-ვაშინგტონი 96:85**

21:19, 23:26, 21:23, 31:17

**დ:** კალდერონი (24+5 მოხსნა), ბაინუმი (20+8 პასი), მონრო (16+18 მოხსნა), სინგლერი (12+7 მოხსნა), ვილანუევა (11+5 მოხსნა).

**ვ:** ოკაფორი (20+9 მოხსნა), უოლი (16+9 პასი), ნენე (10), არიზა (10), ბილი (10).

**მილუოკი-ფილადელფია 94:92**

18:28, 25:22, 29:25, 22:17

**მ:** ელისი (27+5 პასი), ჯენინგსი (21+5 პასი), დალემბერი(17+14 მოხსნა+3 დაფარება), დანლივი (11), მბა ა მუტე (10+8 მოხსნა).

**ფ:** ტერნერი (20), ჰოიესი (19+9 მოხსნა), ჰოლიდეი (16+5 მოხსნა+12 პასი), ნ. იანგი (14+5 მოხსნა).

**ნიუ ორლეანი-პორტლენდი 99:63**

19:14, 19:12, 29:18, 32:19

**ნ-ო:** დევისი (21+11 მოხსნა), ანდერსონი (14+7 მოხსნა), სმიტი (13), ამინუ (10+9 მოხსნა), ვასკესი (10+5 მოხსნა+8 პასი).

**პ:** ლილარდი (12), კლავერი (11+6 მოხსნა), ჰიქსონი (10+5 მოხსნა).

**მინესოტა-იუტა 93:97**

17:10, 23:32, 23:26, 30:29

**მ:** უილიამსი (24+16 მოხსნა), პეკოვიჩი (19+13 მოხსნა), რუბიო (18+9 მოხსნა+10 პასი+4 ჩაჭრა), რიდნური (18).

**ი:** მილსეპი (21+8 მოხსნა), ჯეფერსონი (20+11 მოხსნა+3 ჩაჭრა), კეროლი (11+5 მოხსნა), ფოიე (10), კანტერი (10).

**დალასი-საკრამენტო 123:100**

30:27, 29:17, 33:33, 31:23

**დ:** კარტერი (26+5 მოხსნა), კოლისონი (18+9 პასი), ნოვიცკი (17+8 მოხსნა+6 პასი+3 ჩაჭრა), კრაუდერი (11), მაიო (10+3 ჩაჭრა).

**ს:** ტ. ევანსი (23+3 ჩაჭრა), კაზინსი (17+13 მოხსნა), ტომპსონი (17+9 მოხსნა), ჯონსონი (16+6 მოხსნა), ტომასი (12).

**კლიპერსი-ჰიუსტონი 106:96**

46:28, 23:21, 19:23, 18:24

**კ:** გრიფინი (20+11 მოხსნა+5 პასი+4 ჩაჭრა), ბატლერი (19), ბილაპსი (19), კროუფორდი (13), პოლი (10+11 პასი+3 ჩაჭრა).

**ჰ:** პარსონსი (17+6 მოხსნა), ლინი (14+7 პასი), ანდერსონი (14+5 მოხსნა), მოტეიუნასი (13), პატერსონი (12+6 მოხსნა), მორისი (10+6 მოხსნა).

**ორლანდო-ატლანტა 76:108**

19:25, 17:32, 20:33, 20:18

**ო:** ნიკოლსონი (10+6 მოხსნა), ნელსონი (10).

**ა:** სმიტი (30+10 მოხსნა+5 პასი), ჰორფორდი (26+12 მოხსნა+5 პასი), ტიგი (7+11 პასი).

**კლივლენდი-სან ანტონიო 95:96**

22:21, 32:25, 19:28, 22:22

**კ:** უეიტერსი (20+6 მოხსნა), ზელერი (16+9 მოხსნა), ტომპსონი (10+7 მოხსნა), მაილზი (10+5 მოხსნა).

**ს-ა:** პარკერი (24+6 მოხსნა+7 პასი), ნილი (15), ლეონარდი (13+10 მოხსნა+4 დაფარება), დანკანი (13+6 მოხსნა+5 დაფარება), ბლეირი (12+5 მოხსნა).

**ინდიანა-შარლოტი 101:77**

30:29, 19:17, 21:14, 31:17

**ი:** ჯორჯი (23+12 მოხსნა+12 პასი), ჰენსბრო (19+10 მოხსნა), ჰილი (11), ჰიბერტი (10+8 მოხსნა+3 დაფარება), პენდერგრაფი (10+8 მოხსნა), მაინმი (10+5 მოხსნა+3 ჩაჭრა).

**შ:** მალენსი (19), ჰენდერსონი (14), სეშენსი (13), ბიიომბო (5+16 მოხსნა+4 დაფარება), ედრიენი (2+10 მოხსნა).

**ბოსტონი-ჩიკაგო 71:69**

24:15, 11:21, 8:13, 28:20

**ბ:** ბასი (14+9 მოხსნა), გარნეტი (12+11 მოხსნა), ტერი (12), ბრედლი (10).

**ჩ:** ბელინელი (12), ბუზერი (11+11 მოხსნა), ბატლერი (11+6 მოხსნა), ნოა (10+16 მოხსნა).

**ბრუკლინი-დენვერი 119:108**

23:26, 39:31, 33:24, 24:27

**ბ:** ჯონსონი (26+9 პასი), უოტსონი (25+6 პასი), ლოპესი (23+8 მოხსნა), ჰემფრიზი (14).

**დ:** ლოუსონი (26+9 პასი), ჰემილტონი (15), მაკგი (14), ბრიუერი (12), ჩენდლერი (11+7 მოხსნა), მილერი (8+10 პასი).

# ვინსმა ლარის გადაასწრო

„დალას მავერიქსის" ვეტერანმა ფორვარდმა **ვინს კარტერმა** NBA-ის ყველა დროის ბომბარდირთა სიაში უკან ჩამოიტოვა ლეგენდარული ლარი ბერდი. 36 წლის კარტერს 21 796 ქულა დაუგროვდა, რაც ყოფილი ბოსტონელის მონაგარზე ხუთი ქულით მეტია. ამის შესახებ წერს NBA-ის ოფიციალური ვებგვერდი. კარტერმა სნაიპერთა სიაში 29-ე ადგილზე გადაინაცვლა.


ვინს კარტერი

კარტერმა ბერდის შედეგი „საკრამენტოსთან" მატჩის დროს გააუმჯობესა. ამ შეხვედრაში „დალასმა" 123:100 მოიგო და ვინსმა თავის გუნდს 26 ქულა შესძინა. ყველაზე უკეთ ფორვარდს მესამე მეოთხედი გამოუვიდა, რომელშიც ხუთი სამქულიანი ჩააგდო.

მოქმედ კალათბურთელებს შორის კარტერი მეშვიდე ადგილზეა. მასზე წინ არიან: **კობი ბრაიანტი, კევინ გარნეტი, დირკ ნოვიცკი, პოლ პირსი, რეი ალენი** და **ტიმ დანკანი**.

ყველა დროის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელია **ქარიმ აბდულ-ჯაბარი**, რომელმაც 38 387 ქულა დააგროვა. მეორეზეა **კარლ მელოუნი**, მესამეზე - **მაიკლ ჯორდანი**.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჩოგბურთი

# რაფა და დავიდი მოიხსნენ

ესპანელმა **რაფაელ ნადალმა** და არგენტინელმა **დავიდ ნალბანდიანმა** გადაწყვიტეს აღარ გააგრძელონ სან პაულუს ტურნირზე წყვილთა თანრიგში გამოსვლა. უარის მიზეზი გახდა ნადალის სურვილი არ გადატვირთოს მუხლები და მხოლოდ ერთეულთა თანრიგში გამოსვლაზე გაამახვილოს ყურადღება.

ნადალი გუშინ, გვიან ღამით უნდა შეხვედროდა თავის პირველ მეტოქეს, ბრაზილიელ **ჟოაო სოუზას**. ნალბანდიანმა კი უკვე ჩაატარა სან პაულუში პირველი შეხვედრა - მან სამ სეტში მოუგო ჩილელ **ხორხე აგილარს**. 2 საათი და 12 წუთის ბრძოლის შემდეგ ასეთი ანგარიში დაფიქსირდა - 7:5, 5:7, 6:3.

■ ■ ■

ამ კვირას მიმდინარეობს ტურნირი როტერდამში. იქ ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ პირველი მატჩი ჩაატარა შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა**. მსოფლიოს მეორე ჩოგანის მეტოქე იყო სლოვენიელი **გრეგა ჟემლია**.

როჯერმა 57 წუთში გაანადგურა თავისი მეტოქე - 6:3, 6:1. ფედერერმა ოთხჯერ აილო მეტოქის მოწოდება, ჟემლიას კი ორი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ ვერც ერთი შანსი ვერ გამოიყენა.

მეორე რაუნდში ფედერერის მეტოქე იქნება ჰოლანდიელი **ტიმო დე ბაკერი**.



რაფა და დავიდი

დოპინგი

# დოპინგს ყველა იყენებს

## WADA-ს გენერალური დირექტორის ხმაურიანი განცხადება

ამ დღეებში, ლონდონში მიმდინარეობდა მედიასიმპოზიუმი, სადაც ხმამაღალი განცხადება გააკეთა მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს (WADA) გენერალურმა დირექტორმა **დევიდ ჰოუმენმა**. მან ჩინეთი მოიხსენია აკრძალული პრეპარატების წარმოების ცენტრად და აღნიშნა, რომ მთელი პროფესიული სპორტის ერთ მეოთხედს ჩრდილოვანი სტრუქტურები და ორგანიზებული დანაშაულის ჯგუფები აკონტროლებენ.

*„აკრძალული პრეპარატებისთვის საჭირო მასალის 99 პროცენტი ჩინეთში იწარმოება და მას დოპინგის დამამზადებლები ინტერნეტის მეშვეობით უკვეთენ. შემდეგ ეს „საქმოსნები" თავიანთ სასწაულ პრეპარატებს ამზადებენ, დოზებად აფასოებენ და მომხმარებლებს შორის ახდენენ რეალიზაციას. შავი ბაზარი აწვდის მთელ მსოფლიოს ფარმაკოლოგიური პროდუქციის უდიდეს რაოდენობას. ეს ის „ცუდი ბიჭები" არიან, რომლებიც არაერთხელ დაფიქსირებულან ჩვენს დოკუმენტებში. ყველაფერთან ერთად, ისინი დაკავებულნი არიან უკანონო ფსონებით, ჩაწყობილი მატჩების ორგანიზებით, მექრთამეობითა და კორუფციით"*, - ამბობს ჰოუმენი.

*„ახლა, იმისთვის, რომ დოპინგი შეიძინო, განსაკუთრებული ძალისხმევა არ არის საჭირო. საკმარისია სატრენაჟორო დარბაზში მისვლა და იქ კუთხეში ყოველთვის დგას ახალგაზრდა ადამიანი, რომელიც აკრძალულ პრეპარატს მოგყიდის. ამით სპორტულ ფორმას გაიუმჯობესებთ. დღეს დოპინგს მხოლოდ ელიტური სპორტსმენები არ მოიხმარენ, ის ჩვეულებრივი მოვლენაა სკოლის მოსწავლეებისთვისაც კი, რომლებსაც სურვილი აქვთ, თავი მოიწონონ მეგობრებს შორის. დოპინგს იყენებენ დაცვის კერძო სტრუქტურების თანამშრომლები და საპენსიო ასაკის ადამიანებიც, რომლებსაც სურთ თავიანთი სიბერის გახანგრძლივება.*

*„მთელი პროფესიული სპორტის 25 პროცენტი, ასე თუ ისე ჩრდილოვანი სტრუქტურების გავლენის ქვეშ იმყოფება. მე ამ ციფრს უბრალოდ არ ვასახელებ - ეს დადასტურებულია სანდო დოკუმენტების მეშვეობით. თუ ეს რიცხვი არ შეესაბამება სინამდვილეს, ის შესაძლოა, უფრო დაბალი იყოს"*, - ასრულებს თავის სიტყვას მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს გენერალური დირექტორი.

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# სენატორთა დიდი დანაკლისი



ერიკ კარლსონი

სერიოზული დანაკლისი განიცადა "ოტავა სენატორზმა". "პიტსბურგთან" გუშინდელ შეხვედრაში (2:4) სერიოზული ტრავმა მიიღო ლიგის ერთ-ერთმა საუკეთესო მცველმა **ერიკ კარლსონმა**. ერთ-ერთ ეპიზოდში "პიტსბურგის" თავდამსხმელი **მეტ კუკი** ციგურით დაეჯახა "სენატორების" მცველს. საბოლოოდ, მატჩის შემდეგ ჩატარებულმა სამედიცინო შემოწმებამ კარლსონს აქილევსის მყესის გაწყვეტა დაუდგინა.

ასე რომ, კარლსონს უახლოეს პერიოდში ოპერაცია ელის, ხოლო აღდგენის ვადები ჯერჯერობით უცნობია. შვედმა 2012-13 წლების სეზონში 14 მატჩი ჩაატარა და 10 ქულა (6+4) დააგროვა.

■ ■ ■

რაც შეეხება გუშინდელი სათამაშო დღის სამ ვარსკვლავს, ლიგამ შემდეგი მოთამაშეები გამოარჩია:

პირველი ვარსკვლავი გახდა "კალგარის" ფორვარდი **მაიკლ კამალერი**, რომელმაც ჰეთ-თრიკი შეასრულა "დალასთან" მატჩში და ამას ერთი საგოლე პასიც დაუმატა.

მეორე ვარსკვლავია "პიტსბურგის" ფორვარდი **ჯეიმს ნილი**. მან ორი გოლი და ერთი შედეგიანი პასი მიითვალა "ოტავასთან" შეხვედრაში.

დაბოლოს, მესამე ვარსკვლავის სტატუსი მიითვალა "სენტ ლუისის" ფორვარდმა **კრის სტიუარტმა**, რომლის ანგარიშზე გოლი და შედეგიანი გადაცემა მოდის.

**დეტროიტი-სტ. ლუისი 3:4 (ო)**

2:1, 1:2, 0:0, 0:1

**გოლები:** 1:0 ტატარი-1 (ივსი-2), 2:0 დ. მილერი-1 (ტუტუ-2, კინდლი-1), 2:1 ბერგლუნდი-6 (ოში-6), 2:2 ტარასენკო-6 (კ. სტიუარტი-3, ენდი მაკდონალდი-8), 2:3 კ. სტიუარტი-6 (პიეტრნაჯელო-9), 3:3 დაციუკი-6 (ფილპულა-5, ჯ. ერიქსონი-4), 3:4 სტინი-3 (ჯეკმენი-1, ბეკსი-7).

**პიტსბურგი-ოტავა 4:2**

1:0, 1:2, 2:0

**გოლები:** 1:0 დუპუი-5 (კროსბი-13, კუნიტცი-10), 1:1 და კოსტა-1 (ალფრედსონი-5, გონჩარი-6), 1:2 ო'ბრაიენი-4 (კონდრა-3), 2:2 ჯ. ნილი-9 (კროსბი-14, მარტინი-6), 3:2 ჯ. ნილი-10 (კუკი-3, ენგელანდი-2), 4:2 კროსბი-6 (მარტინი-7, ჯ. ნილი-3).

**კალგარი-დალასი 7:4**

4:1, 2:2, 1:1

**გოლები:** 1:0 ბოუმისტერი-3 (კამალერი-6, სტემპნიაკი-3), 2:0 ჰუდლერი-4 (ტანგეი-6, ვიდემანი-6), 3:0 კამალერი-1 (იგინლა-6, ჩერვენკა-3), 3:1 ნისტრიომი-2 (ფიდლერი-4, გარბუტი-2), 4:1 ჩერვენკა-2 (ტანგეი-7, ბროდი-4), 4:2 მოროუ-2 (იაგრი-6, ბენი-5), 5:2 კამალერი-2 (სტემპნიაკი-4, ჯორდანო-2), 5:3 მოროუ-3 (ოლეკსიაკი-1, იაგრი-7), 6:3 გლენკროსი-5 (იგინლა-7, ჯონსი-1), 6:4 იკინი-1 (რაიდერი-2, გოლიგოსკი-6), 7:4 კამალერი-3.

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | ო-წ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ნიუ ჯერსი* | 13 | 8 | 2 | 3 | 19 |
| 2. ბოსტონი* | 11 | 8 | 1 | 2 | 18 |
| 3. კაროლინა* | 12 | 7 | 4 | 1 | 15 |
| 4. პიტსბურგი | 14 | 9 | 5 | 0 | 18 |
| 5. ტორონტო | 13 | 8 | 5 | 0 | 16 |
| 6. ოტავა | 14 | 7 | 5 | 2 | 16 |
| 7. მონრეალი | 12 | 7 | 4 | 1 | 15 |
| 8. რეინჯერსი | 12 | 7 | 5 | 0 | 14 |
| 9. ტამპა ბეი* | 12 | 6 | 5 | 1 | 13 |
| 10. ფილადელფია | 14 | 6 | 7 | 1 | 13 |
| 11. ვინიპეგი | 12 | 5 | 6 | 1 | 11 |
| 12. ბაფალო | 14 | 5 | 8 | 1 | 11 |
| 13. ფლორიდა | 12 | 4 | 6 | 2 | 10 |
| 14. აილენდერსი | 12 | 4 | 7 | 1 | 9 |
| 15. ვაშინგტონი | 13 | 4 | 8 | 1 | 9 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | ო-წ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიკაგო* | 13 | 10 | 0 | 3 | 23 |
| 2. ანაჰაიმი* | 12 | 9 | 2 | 1 | 19 |
| 3. ვანკუვერი* | 12 | 8 | 2 | 2 | 18 |
| 4. სან ხოსე | 13 | 7 | 3 | 3 | 17 |
| 11. დეტროიტი | 13 | 7 | 4 | 2 | 16 |
| 6. ნეშვილი | 13 | 6 | 3 | 4 | 16 |
| 5. სტ. ლუისი | 13 | 7 | 5 | 1 | 15 |
| 8. დალასი | 14 | 7 | 6 | 1 | 15 |
| 9. ფინიქსი | 13 | 6 | 5 | 2 | 14 |
| 7. ედმონტონი | 13 | 5 | 5 | 3 | 13 |
| 10. მინესოტა | 13 | 6 | 6 | 1 | 13 |
| 15. კალგარი | 11 | 4 | 4 | 3 | 11 |
| 12. ლოს ანჯელესი | 11 | 4 | 5 | 2 | 10 |
| 14. კოლამბუსი | 13 | 4 | 7 | 2 | 10 |
| 13. კოლორადო | 11 | 4 | 6 | 1 | 9 |

*- დივიზიონის ლიდერი

**ლიდერები**

**გოლი+პასი**

| | |
|---|---|
| ტომაშ ვანეკი (ბაფ) | 23 (11+12) |
| პატრიკ კეინი (ჩიკ) | 20 (9+11) |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 20 (6+14) |
| ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტ) | 18 (5+13) |
| სტივენ სტემკოვი (ტ-ბეი) | 17 (7+10) |
| მაიკ რიბეირო (ვაშ) | 17 (5+12) |
| მარტინ სან ლუი (ტ-ბეი) | 17 (3+14) |
| ერიკ სტაალი (კარ) | 16 (8+18) |
| ევგენი მალკინი (პიტ) | 16 (3+13) |
| კრის კუნიტცი (პიტ) | 16 (6+10) |

**გოლი**

| | |
|---|---|
| ტომაშ ვანეკი (ბაფ) | 11 |
| ჯეიმს ნილი (პიტ) | 10 |
| პატრიკ მარლო (ს-ხოს) | 10 |
| დევიდ კლარკსონი (აილ) | 9 |
| პატრიკ კეინი (ჩიკ) | 9 |
| ერიკ სტაალი (კარ) | 8 |
| ჯეიმს ვან რიმსდიკი (ტორ) | 8 |

**პასი**

| | |
|---|---|
| მარტინ სან ლუი (ტ-ბეი) | 14 |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 14 |
| ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტ) | 13 |
| ევგენი მალკინი (პიტ) | 13 |
| ტომაშ ვანეკი (ბაფ) | 12 |
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 12 |
| მაიკ რიბეირო (ვაშ) | 12 |
| კევინ შატენკირკი (სტ. ლ) | 12 |
| პატრიკ ელიაში (ნ-ჯერ) | 12 |

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ვოლერენგა-კალმარი | 0:1 |
| ესბერგი-ცრვენა ზვეზდა | 2:1 |
| შენიცა-სონდერიისკი | 3:0 |
| ბოტევი-როსტოვი | 3:2 |
| ლილესტრიომი-ცსკა | 0:2 |
| სლოვანი-გურნიკი | 1:0 |
| მიალბიუ-ნომე | 1:0 |
| უიპეშტი-ჩერნომორეცი | 3:0 |
| ლუგოგორეცი-ლეგია | 0:1 |
| სტარტი-ნორდსიელანდი | 2:1 |
| ინტერი (ტ)-ვაასა | 0:1 |
| იურგორდენი-ლაჰტი | 3:2 |
| მიდტიულანდი-ფარენსე | 2:0 |

**პორტუგალია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ბენფიკა B-ავეში | 2:1 |

**კალათბურთი**

**ევროლიგა**

| | |
|---|---|
| ცსკა-პანათინაიკოსი | 86:69 |
| ალბა-უნიკახა | 65:67 |
| მაკაბი-ბარსელონა | 77:82 |
| ეფესი-რეალი | 74:72 |
| ბამბერგი-ჟალგირისი | 87:88 |

**ხელბურთი**

**ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| შაფჰაუზენი-ფიუხსე | 35:40 |

**ჰოკეი**

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| სპარტა-რუსენბორგი | 5:1 |
| ვოლერენგა-ტონსბერგი | 9:4 |
| სტორჰამარი-ფრისკ ასკერი | 2:3 |
| სტრიერნენი-ლილეჰამერი | 3:4 |
| სტავანგერი-ლორენსკოგი | 2:5 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ილვესი-ჰამეენლინა | 1:4 |
| კალპა-ჰიფკ | 4:0 |
| კერპეტი-ესპოო | 1:3 |
| საიპა-ლუკო | 3:0 |
| ტპს-იოკერიტი | 5:3 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| აიკ-მოდო | 3:1 |
| ვექსიო-ფერიესტადი | 1:2 |
| ლინჩოპინგი-როგლე | 6:0 |
| ტიმრა-ლულეო | 1:3 |
| ჰვ71-შელეფტეო | 4:0 |

**ჩოგბურთი**

**ATP. როტერდამი**

| | |
|---|---|
| ნიემინენი-**ბაზინგერი** | 6:3, 5:7, 6:3 |
| გასკე-**ბალდატისი** | 4:6, 4:6 |
| **დელ პოტრო**-გულბისი | 7:6, 6:3 |
| **ფედერერი**-დე ბაკერი | 6:3, 6:4 |
| სისლინგი-**კლიჟანი** | 2:6, 4:6 |

**ATP. სან ხოსე**

| | |
|---|---|
| **ისტომინი**-ბეკერი | 6:3, 6:7, 6:2 |
| მატოშევიჩი-**ფალა** | 4:6, 4:6 |

**ATP. სან პაულუ**

| | |
|---|---|
| მონაკო-**ბოლელი** | 5:7, 2:6 |
| **ბერლოკი**-რამოსი | 7:6, 6:4 |
| ანდუხარი-**მონტანიესი** | 5:7, 2:6 |
| **ალმაგრო**-კაპდევილე | 6:4, 6:7, 6:2 |
| **ნალბანდიანი**-პელა | 6:4, 6:2 |
| ბელუჩი-**ვოლანდრი** | 3:6, 2:6 |

**WTA. დოჰა**

| | |
|---|---|
| **ა. რადვანსკა**-ივანოვიჩი | 6:1, 7:6 |
| **ვოზნიაცკი**-ბარტელი | 7:6, 6:3 |
| ჰანტუხოვა-**ერანი** | 5:7, 7:5, 2:6 |
| **აზარენკა**-მაკჰეილი | 6:0, 6:0 |
| **სტოსური**-კუზნეცოვა | 6:4, 7:5 |
| ზაკოპალოვა-**შარაპოვა** | 3:6, 3:6 |
| **კვიტოვა**-პეტროვა | 4:6, 6:4, 6:3 |
| უ. რადვანსკა-**ს. უილიამსი** | 0:6, 3:6 |

TV პროგრამა

**15 თებერვალი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. I მატჩი. ზენიტი-ლივერპული.
12:00 ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. I მატჩი. ბორუსია (მ)-ლაციო.
14:00 ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. I მატჩი. ნაპოლი-პლზენი.
16:00 ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. I მატჩი. ლევერკუზენი-ბენფიკა.
18:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXII ტურის მიმოხილვა.
19:00 ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. I მატჩი. ტოტენჰემი-ლიონი.
21:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
23:00 ტელეჟურნალი – FOOTBALL MUNDIALL.
23:30 გერმანიის ჩემპიონატი. XXII ტური. ვოლფსბურგი-ბაიერნი (LIVE).
01:30 ინგლისის ჩემპიონატი. XXVI ტურის მიმოხილვა.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბორუსია (მ)-ლევერკუზენი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ოკლაჰომა-მაიამი.
15:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ვესტ ბრომვიჩი.
17:00 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ლენსტერი-ექსეტერი.
19:00 სპორტ-NEWS.
19:15 ყველაზე სწრაფები.
19:30 მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. ბოსტონ სელტიქსი. 1983-84 წლები.
20:45 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
21:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ოკლაჰომა-მაიამი.
23:45 კალათბურთი. ევროლიგა. TOP 16. VII ტური. მონტეპასკი-კახა ლაბორალი (LIVE).
01:45 NBA ACTION.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. როტერდამი. ჰოლანდია.
14:30 სპორტ-NEWS.
15:00 საჩოგბურთო მიმოხილვა.
15:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. როტერდამი. ჰოლანდია (LIVE).
19:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ატლანტა-ბრუკლინი.
21:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
22:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. როტერდამი. ჰოლანდია (LIVE).

ბიატლონი

# ნორვეგია დომინირებს

ერთდღიანი შესვენების შემდეგ, ჩეხეთის ქალაქ ნოვო მესტოში განახლდა მსოფლიოს ჩემპიონატი ბიატლონში. მედლების მორიგი კომპლექტი ქალებმა ინდივიდუალურ რბოლაში გაითამაშეს. თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ ამ ჩემპიონატზე უკრაინის ნაკრების ბრწყინვალე გამოსვლა – ამ გუნდმა უკვე ოთხ მედალს მოუყარა თავი, რომელთაგანაც ერთი ოქროსი გახლავთ. ამჯერად, ბრინჯაოს პრიზიორი გახდა **ვალია სემერენკო**. უკრაინელთა წარმატების ფონზე კი უნდა ვთქვათ რუსეთის ნაკრების ფიასკოს შესახებ – უკვე ექვს დისციპლინაში გაიმართა სტარტი და რუსებს ჯერ ერთი მედალი არ აქვთ მოპოვებული.

სხვათა შორის, ამ სტარტამდე მედალი არც გერმანიას ჰქონდა, მაგრამ სიტუაცია გამოასწორა ვეტერანმა **ანდრეა ჰენკელმა**. ის ოთხივე სასროლეთზე უშეცდომო იყო და ამან 35 წლის გერმანელს დამსახურებული ვერცხლი მოუტანა.

ჩემპიონობა კი ნორვეგიელმა **ტორა ბერგერმა** მოიპოვა, რომლისთვისაც ეს არის მერვე პოდიუმი ამ სეზონში. აბსოლუტურად სუფთა სროლამ სკანდინაველს ამ ჩემპიონატზე მესამე ოქრო მოუტანა. შეგახსენებთ, რომ ასეთივე შედეგი აქვს ნორვეგიელი მამაკაცების ლიდერ **სვენდსენს**.



ინდივიდუალური რბოლის პოდიუმი

საერთოდ, ნორვეგია ნოვო მესტოში დომინირებს – არც ერთ რბოლაში ეს გუნდი მედლის გარეშე არ დარჩენილა. უფრო მეტიც – ამ გუნდის ბიატლონისტები ოქროს ან ვერცხლის მედლებზე ნაკლებს არ კადრულობენ.

**ინდივიდუალური**

**ქალები**

1. **ტორა ბერგერი** (ნორვეგია) - 44:52.5 (0); 2. **ანდრეა ჰენკელი** (გერმანია) - +52.7 (0); 3. **ვალია სემერენკო** (უკრაინა) - +1:42.5 (1); 4. **ანასტასია კუზმინა** (სლოვაკეთი) - +1:55.0 (2); 5. **ვალია სემერენკო** (უკრაინა) - +2:25.9 (1); 6. **ოლგა ზაიცევა** (რუსეთი) - +2:30.9 (2)...

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ტრაგედია

# ტრაგიკული ვალენტინობა

## ოსკარ პისტორიუსმა შეყვარებული 14 თებერვალს მოკლა

სენსაციური ინფორმაცია გავრცელდა გუშინ სამხრეთ აფრიკიდან. პოლიციამ დააკავა ცნობილი ამპუტანტი მორბენალი, პარალიმპიური თამაშების ჩემპიონი **ოსკარ პისტორიუსი.** მან თავისი შეყვარებული მძარცველად აღიქვა და ის ცეცხლსასროლი იარაღით სიცოცხლეს გამოასალმა. ამ ინფორმაციას სამხრეთაფრიკულ პრესაზე დაყრდნობით სააგენტო "ფრანს-პრესი" ავრცელებს.

წერენ იმის შესახებ, რომ ღამით პისტორიუსმა თავისი მეგობარი გოგონა, ყოფილი მოდელი, 30 წლის **რივა სტინკამპი** მძარცველად მიიღო. არადა, ჯერ კიდევ ოთხშაბათს სტინკამპმა, რომელიც 2012 წლის ნოემბრიდან ხვდებოდა მძლეოსანს, თავის „ტვიტერზე" დაწერა იმის შესახებ, თუ რა საჩუქარს უმზადებდა თავის შეყვარებულს წმინდა ვალენტინის დღეს. როგორც აღმოჩნდა, ეს იყო რივას ბოლო ჩანაწერი საკუთარი მიკრობლოგზე.

სიურპრიზმა, რომელსაც ის მოულოდნელად უმზადებდა სპორტსმენს, ტრაგიკული გაგრძელება პოვა. დანაშაულის ადგილას პოლიციამ აღმოაჩინა 9 მმ კალიბრის პისტოლეტი. სწორედ ამ იარაღიდან გაისროლა პისტორიუსმა ოთხჯერ და შეყვარებულს თავისა და ხელის არეში მოახვედრა ტყვიები.

სამხრეთ აფრიკის პოლიციამ უკვე წარუდგინა მკვლელობის ბრალდება პისტორიუსს. დღეს მძლეოსანი სასამართლოს წინაშე წარდგება და იქ განისაზღვრება მისი სასჯელის სიმძიმე. პოლიციის პრესმდივანმა **დენის ბეკესმა** განაცხადა, რომ სამართალდამცავი ორგანოები წინააღმდეგი არიან, რომ სპორტსმენი თავდებში გაათავისუფლონ. ბეკესმა ასევე დაამატა, რომ ეს პირველი ინციდენტი არ არის პისტორიუსის სახლში, თუმცა დეტალების გამხელისგან თავი შეიკავა.

როგორც ბრიტანული გამოცემა „დეილი ტელეგრაფი" წერს, პისტორიუსი შოკირებულია მომხდარით, მაგრამ გამოძიებასთან თანამშრომლობს.

პარალიმპიური თამაშების ვარსკვლავი ქალაქ პრეტორიას იმ რაიონში ცხოვრობს, რომელსაც გაძლიერებული დაცვა ჰყავს მიჩენილი. ეს იმის გამო, რომ სამხრეთ აფრიკაში მაღალია დანაშაულის დონე. თავად პისტორიუსი ლონდონის ოლიმპიადამდე ჰყვებოდა, რომ ხშირად თავის სახლში პისტოლეტთან ერთად სძინავს, ფანჯარასთან კი ავტომატური იარაღიც აქვს.

სხვათა შორის, მკვლელობის შემდეგ პოლიციამ ჩხრეკა ჩაატარა სპორტსმენის სახლში. იქ აღმოჩნდა ბეისბოლისა და კრიკეტის ჯოხები, პისტოლეტი, საიდანაც განხორციელდა ფატალური ოთხი გასროლა და ტყვიამფრქვევი, რომელიც საძინებლის ფანჯარასთან იყო დამაგრებული.

სამხრეთ აფრიკაში ყოველწლიურად სახლების გაძარცვის ათასობით შემთხვევა ფიქსირდება. და არის შემთხვევები, როცა მცხოვრებლებს შეცდომით ოჯახის წევრები მძარცველებში ერევათ და მათი მიმართულებით ცეცხლსასროლი იარაღიდან ისვრიან. სამხრეთ აფრიკაში მოქმედი კანონის თანახმად, სახლის მფლობელი თავისუფლდება სროლის გამო პასუხისმგებლობისგან, თუ მის სამფლობელოში მძარცველი შეიჭრება. სროლა შეიძლება გაუთანაბრონ თავდაცვას იმ შემთხვევაშიც, თუ ქურდი უიარაღოდაა, მაგრამ სახლის მფლობელს მიაჩნია, რომ ის ხიფათს წარმოადგენს.

2012 წელს, 26 წლის პისტორიუსი გახდა პირველი სპორტსმენი ამპუტირებული კიდურებით, ვინც ოლიმპიურ თამაშებში მიიღო მონაწილეობა. გარდა ამისა, 2011 წელს მან ვერცხლის მედალი მოიგო მსოფლიოს ჩემპიონატზე. პარალიმპიურ თამაშებზე მას ექვსი ოქრო აქვს მოპოვებული სხვადასხვა დისტანციაზე.

**გია თვალაბეიშვილი**



პისტორიუსი პოლიციაში მიჰყავთ



სახლი, სადაც ტრაგედია მოხდა



რივა სტინკამპი



რივა და ოსკარი



ოსკარ პისტორიუსი სარბენ ბილიკზე




დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.** *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* **გია ტუხაშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

**პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:45
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემაში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608